

ინტელექტუალური განვითარების დაგეგმვა  
აზროვნებისა და გონების კონსტრუქცია

MAPPING INTELLECTUAL BUILDING

AND THE CONSTRUCTION OF THOUGHT AND REASON



FATHI HASAN MALKAWI

იასი-ს წიგნების სერია

# ინტელექტუალური ბანკოთარების დაბეჭდვა

აზროვნებისა და გონების  
კონსტრუირება

**ფათჰი ჰასან მალკავი**

შემოკლებულია ბანან ფ. მალკავის მიერ



International Institute  
of Islamic Thought



გამომცემლობა „უნივერსალი“  
თბილისი 2022

ინტელექტუალური ბანკოთარების დაბეჭდვა  
აზროვნებისა და გონების კონსტრუქციები (Georgian)  
ფათჰი ჰასან მალკავი  
იასი-ს ნიგნების ადაპტირებული სერია

© ისლამური აზროვნების საერთაშორისო ინსტიტუტი (იასი)  
ცოდნის ინტეგრაციის ინსტიტუტი  
1444ჰ /2022  
Paperback ISBN: 978-9941-33-279-1

**Mapping Intellectual Building  
And the construction of Thought and Reason (Georgian)**

*Fathi Hasan Malkawi*  
*IIIT Books-In-Brief Series*

© International Institute of Islamic Thought,  
1442AH/2020CE  
Paperback ISBN: 978-1-56564-444-1  
IIIT  
P.O. Box 669  
Herndon, VA 20172, USA  
www.iiit.org

ინგლისურიდან თარგმნა: თამარ ლუტიძემ  
რედაქტორი: მანანა ნიჭარაძე  
ცოდნის ინტეგრაციის ინსტიტუტი  
საქართველო, თბილისი ც. დადიანის №7 ბიზნეს და სავაჭრო ცენტრი  
ქარვასლა A-508  
ikiacademy.org

პუბლიკაცია მომზადებულია გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტთან თანამშრომლობით.  
ნიგნი დაცულია საავტორო უფლებებით. ექვემდებარება კანონით დადგენილ გამონაკლისს და შესაბამის კოლექტიურ სალიცენზიო ხელშეკრულებას, რომლის თანახმად, დაუშვებელია ნებისმიერი ნაწილის გამრავლება წერილობითი ნებართვის გარეშე.  
ნიგნში გამოთქმული შეხედულებები და მოსაზრებები ეკუთვნის ავტორს და არა გამომცემელს.

გამომცემლობა „**ნიკეოსალი**“, 2022

---

თბილისი, 0186, ა. ჰოლიბაოვსკაიას №4, ☎: 5(99) 17 22 30, 5(99) 33 52 02  
E-mail: universal505@gmail.com; gamomcemlobauniversal@gmail.com

## იასი-ს წიგნების სერია

იასი – წიგნების მოკლე სერიული გამოცემა – ინსტიტუტის მიერ მომზადებული პუბლიკაციების ამსახველ ღირებულ კოლექციას წარმოადგენს, რომელიც ორიგინალის, სრული ტექსტის, მკითხველი საზოგადოებისთვის მარტივად აღქმის მიზნით შემოკლებული ფორმითაა დაწერილი. აღნიშნული ნაშრომი, დროის დაზოგვის თვალსაზრისით, გამარტივებული სახითაა წარმოდგენილი – მოკლედ, ფართო მასებისთვის გასაგები ენითაა გადმოცემული. თანმდევი მასალა დიდი პუბლიკაციების ყურადღებით დაწერილ დეტალურ მიმოხილვას გვთავაზობს, რაც იმის იმედს გვიტოვებს, რომ ჩვენი ნაშრომი მკითხველში ორიგინალის ნაკითხვის ინტერესს აღძრავს.

„აზროვნების“ მნიშვნელობის სწორად გააზრებისა და განმარტების საკითხი კომპლექსურია, ხოლო მისი ფორმა და კონსტრუქცია თანამედროვე დისკურსის მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს. ვინ წარმართავს მას და რატომ? რა იგულისხმება „აზროვნების“ კონცეპტში? რა ადგილი უჭირავს მას და რა თვალსაზრისით უკავშირდება ცოდნის, კულტურის, ფილოსოფიისა და ფიკციის (სიღრმისეული გაგება, განჭვრეტა, სამართალმცოდნეობა) კონცეპტებთან? სად უნდა მოვიძიოთ სასკოლო და საუნივერსიტეტო განათლებაში „აზროვნების“ კონცეპტი? როგორ უნდა იყოს გაგებული მისი ევოლუცია ისლამურ მემკვიდრეობაში? რა სასწავლო პროგრამები ან ინსტრუმენტები შეიძლება გამოიყენონ მათ, ვისაც სურთ ინტელექტუალური მონაცემები გაიუმჯობესონ და გახდნენ მოაზროვნეები? როგორ შეგვიძლია შევქმნათ ინტელექტუალური კონსტრუირების დონის საზომი ინდივიდებში, ჯგუფებსა თუ საზოგადოებებში? რა კავშირია აზროვნებასა და ენას შორის და რას ნიშნავს „აზროვნების“ სკოლები?

არ არის ადვილი სპეციფიკური პასუხების მოძიება იმ უამრავ კითხვაზე, რომლებიც გონებაში ჩნდება აზროვნების საკითხზე მსჯელობისას. თუმცა, შეიძლება ითქვას, რომ მუსლიმ ახალგაზრდობას ყელში აქვს ამოსული ის დაბნეულობა, რაც უმმას მეცხრამეტე საუკუნიდან მოყოლებული აზიანებს. ისინი ამჟამად იმედგაცრუებული მოქალაქეები არიან იმ ინტელექტუალური ელიტების წყალობით, რომლებიც აგრძელებენ „რენესანსის“ იდეის ხელახლა შემუშავებას, მისი რეალურად შექმნისთვის პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმის გარეშე.

ინტელექტუალური კონსტრუქცია არის ქმნილება, რომელიც ხასიათდება ორგანიზებულობითა და ერთიანობით, დამონების ფუძემდებლური ჩარჩოთი. ეს კი მას სპეციფიკურ სახეს ანიჭებს და განასხვავებს სხვათაგან. მიუხედავად მისი ერთიანობისა და სტაბილურობისა, ამ ინტელექტუალურ ქმნილებას გარკვეულ დონეზე ფიქსირებული სიდიდე და ხარისხი არ ახასიათებს და სივრცისა თუ სიღრმის მიხედვით უწყვეტად იცვლება: როგორც კი რომელიმე ელემენტი ღირებულებას კარგავს, ის შეიძლება ახალმა ელემენტმა ჩაანაცვლოს.

ზემოთ აღნიშნული კონსტრუქციების საგანი არის აზროვნება – ადამიანების ის განმასხვავებელი ნიშანი, რომლითაც შემოქმედმა დააჯილდოვა და ღირსჰყო ისინი. ეს არის ნდობა, რომელზეც თითოეულმა ინდივიდმა მაქსიმალურად უნდა იზრუნოს – მისი განხორციელებისაკენ ისწრაფოს – ჯანსაღი ზრდის, განვითარებისა და სრულყოფის მიზნით.

### **ფათჰი ჰ. მალკავის ორიგინალი ვერსიის შემოკლებული გამოცემა**

*ინტელექტუალური განვითარების დაგეგმვა – აზროვნებისა და გონების კონსტრუქცია*

ISBN hbk: 978-1-56564-384-0

ISBN pbk: 978-1-56564-373-4

2020

## ავტორის წინასიტყვაობა

ბოლო რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში, მუსლიმი ახალგაზრდობა სულ უფრო და უფრო მეტად იკვლევს აზროვნებასთან დაკავშირებულ საკითხებს. აღნიშნული კვლევა-ძიების პროცესის წარმმართველი ფაქტორები მოიცავს იმედგაცრუებას მეცნიერულ-სამართლებრივი ორიენტაციისგან, რაც ახასიათებს ინტელექტუალურ მოძრაობას ისლამური გამოლვიძების ხანიდან („ალ-ჰაჰვა ალ-ისლამიდა“), ანუ მეოცე საუკუნის ბოლო მეოთხედიდან, რომელიც უპირველესად არატრადიციული ინტელექტუალური პროექტების რაოდენობის ზრდის სახით გამოიხატა მუსლიმურ გარემოში.

ისლამური ინტელექტუალიზმის მიმართ მზარდი ინტერესი „ადამიანის განვითარების“ პროექტების აღორძინებას დაემთხვა. ის ასევე დომირებად ორმაგ წინააღმდეგობებასთან მებრძოლი მუსლიმი თემის („უმმა“) ინტელექტუალური კრიზისით გამოწვეული იმედგაცრუების შედეგია: მემკვიდრეობა / მოდერნულობა; დამოუკიდებლობა / დამოკიდებულება; ჩამორჩენილობა / პროგრესი; იდენტობა / გლობალიზაცია; რელიგიური / სამოქალაქო და ასე შემდეგ... ამ გარემოებამ მრავალი კითხვა წამოჭრა იდეების, მოაზროვნების, ინტელექტუალური პროგრამებისა და სკოლების, ამ კონცეპტების ურთიერთმიმართებულისა და მათი შედეგების შესახებ.

სიღრმისეული კონცეპტუალიზაციის წარმოდგენისა და ინტელექტუალური განვითარების დაგეგმვის თვალსაზრისით, ამ

ნიგნში შემუშავებული მეთოდი, თემის კონცეპტებთან მიმართებით, არც შემზღუდავია და არც ამომწურავი. ეს ნიგნი მოგვიწოდებს დაფიქრებისა და სათანადო საშუალებების გამოყენებისკენ, რათა განავითაროს მკითხველის ინტელექტუალური კონსტრუირების პროცესი აზროვნების, ცოდნის, კულტურის, ფილოსოფიის, ლიტერატურისა და რელიგიის თვალსაზრისით, ისლამურ მემკვიდრეობაში მის განვითარებას, საზოგადოებასა და „უმმაში“ მის როლს, ენასთან ურთიერთობას, ინივიდებსა და საზოგადოებებში ინტელექტუალური განვითარების განსაზღვრის საშუალებებსა და აზროვნების სკოლებისა და კვლევითი ცენტრების მნიშვნელობაზე კითხვების დასმის მეთოდით.

## თავი პირველი აზროვნება ისლამურ წყაროებში

კონკრეტულად ისლამური აზროვნების გამოცალკევებით განხილვისას, ჩვენი წარმოდგენათა სისტემა თავსდება ისლამური დამონებების ჩარჩოს კონტექსტში, რომელიც მის მთავარ წყაროებზე, ყურანსა და სუნაზეა დაფუძნებული. ამას მოყვება ისლამის სწავლულებს მიერ ამ პირველადი წყაროების გაგება სხვადასხვა ეპოქებში, ანუ ისლამური მემკვიდრეობა ან ტრადიცია. ისლამური ისტორიის განმავლობაში, აზროვნების საკითხთან მიმართებით, განსხვავებული პერსპექტივები გამოიკვეთა. შესაბამისად, ჩვენ თავიდან ავიცილებთ აზროვნების („ფიქრ“) მნიშვნელობის შეზღუდვას ისლამურ მემკვიდრეობაში, სადაც ის, ნაწილობრივად სწორად, ნაწილობრივად კი მცდარად გაიაზრეს.

### აზროვნება ყურანსა და სუნაში

ფიქრი („ფიქრ“) მავანის მოქმედებით გამოხატულ შინაგან პროცესს და ამგვარი მოქმედების ნაყოფს ეწოდება. ფიქრი არის აზროვნების შედეგი, გამჭრიახობა და დაკვირვება („*იმპლ ალ-ნაზარ*“) ან განჭვრეტა, სიღრმისეული ფიქრი („*თაფაქ-ქურ*“). ფიქრი („ფიქრ“) არაბულ ენაში მენტალური აქტივობის განხორციელებას ნიშნავს. აქედან გამომდინარე, პიროვნება მოაზროვნება („*მუფაქქირ*“). იფიქრო რაიმე საკითხის შესახებ, ნიშნავს განჭვრიტო ის. უფალი ბრძანებს: „*რამეთუ მან იფიქრა („ფაქქარა“)* და მან [განსაჯა]“ (74:18).



ფიქრი მენტალური აქტივობაა, რომელიც უცნობის გასაგებად ნაცნობს ეყრდნობა. *ფიქრის* კონცეპტი ყურანში თვრამეტ ადგილას გვხვდება, ხუთი სხვადასხვა ფორმით და აქედან ყველა ზმნაა. ესენია: „*ფაქქარა*“ – ერთხელ (74:18); „*მათაფაქქარუ*“ – ორჯერ (7:184), (30:8); „*თათაფაქქარუ*“ – ერთხელ (34:46); „*მათაფაქქარუნ*“- თერთმეტჯერ: (3:191), (7:176), (10:24), (13:3), (16:11, 44, 69), (30:21), (39:42), (45:13), (59:21) და „*თათაფაქქარუნ*“ – სამჯერ (2:219,266), (6:50).

„*თაფაქქური*“ გონებისთვის აზრების ჩვეულებრივი გზით გადაცემას არ გულისხმობს, არამედ აღნიშნავს გაცნობიერებას, ძიებას, მუდმივ ფიქრს და განსახილველ საკითხში ჩანვდომას. ეს ტერმინი მიესადაგება როგორც მყოფადის ესქატოლოგიურ და ინდივიდთა თავიანთ ღმერთთან ურთიერთობის საკითხებს, ასევე იმ ამქვეყნიურ საქმეებს, რომელთაც სარგებელი მოაქვთ პიროვნების, საზოგადოებისა და მუსლიმური თემისთვის („*უმმა*“) ამ და იმქვეყნად, ვინაიდან როგორც ღმერთი ბრძანებს ალ-ბაყარას სურაში: „ასე განგიმარტავთ ალლაჰი თავის აიათებს, იქნებ დაფიქრდეთ სააქაო და საიქიო ცხოვრებაზე“ (2:219:220).

მეტიც, *ფიქრისა* და „*თაფაქქურის*“ მნიშვნელობით ყურანში ხშირად სხვა ტერმინებიც გვხვდება, როგორებიცაა: „*თადაბურ*“ (წინასწარგანჭვრეტა), „*ი'თიბარ*“ (დასწავლა), „*აკლ*“ (გონება/ინტელექტი) და „*ნა ზარ*“ (ხედვა). აზროვნებასთან დაკავშირებულ ყურანის აიებიდან შესაძლოა გამოიყოს ჯგუფი სპეციფიკური მითითებებით, რომლებიც კონცეპტის მნიშვნელობას გადმოსცემენ:

- ეს არის მენტალური ძალისხმევის გამომჟღავნების ან საქმეში გონების ჩართვის პროცესი, რომელიც ახალი სპეციფიკური მიზნების მისაღწევად გამოიყენება;
- ეს არის აქტივობა, რომელიც ხორციელდება ინტელექტუალურ საქმიანობაში მონაწილეობის განმეორებითობით, გაგრძელებით ან გააზრებით – სასურველი შედეგების მიღწევის მიზნით;
- „თაფაქქურისთვის“ არსებობს მასალა, რომელიც მოითხოვს გონების კონცენტრირებას და მისი შემადგენელი ნაწილებისა და შედეგების განჭვრეტას.
- ის, რაც მნიშვნელოვანია, არის „თაფაქქურის“ შედეგი: გაკვეთილის მიღება და სწავლა, რომელიც ახალი ცოდნის მოპოვებაა და რასაც შემდგომში ამ ცოდნის გამოყენება მოსდევს.

სამოციქულო ტრადიციის თანახმად, აზრის კონცეპტი სუნას კრებულებში მრავლად გვხვდება, სადაც მნიშვნელობა სხვადასხვა ტერმინებითაა შეცვლილი, როგორიცაა: „აკლ“, „ნაჯარ“ და „თადაბბურ“. ტერმინი „თაფაქქური“ ჰადისის თემატიკაში შედის: „განჭვრიტეთ და დაფიქრდით ყველაფერზე, მაგრამ არა ღმერთის ნამდვილ არსზე.“<sup>1</sup>

### აზროვნება ისლამურ მემკვიდრეობაში

ისლამურ მემკვიდრეობაში („თურანს“), ტერმინები „ფიქრ“ და „თაფაქქური“ სწავლულთა არაერთი ნაშრომის სათაურში გვხვდება და მათში იგულისხმება, რომ მათ ავტორთა მიერ განხორციელებული ძალისხმევა მათი ნააზრევის შედეგია. ეს იმას არ ნიშნავს, რომ „აზროვნება“ თავისთავად მათი წიგნების მთა-

ვარი საკითხია. მრავალი სხვა წიგნი, სწორედაც „ფიქრის“ საკითხს ეხება, რაც კარგად ჩანს წიგნებში სხვადასხვა მეცნიერებათა შესახებ, როგორიცაა: 'აკრდა (მრწამსი), ქალამ (ისლამური თეოლოგია), „უტულ ალ-ფიკჰ“ (იურისპრუდენციის საფუძვლები), „თაფსირ“ (ყურანის ეგზეგეზა), რომ აღარ ვახსენოთ სუფიური და „თაზქვას“ ტრაქტატები. მნიშვნელოვანია იმის გაცნობიერება, თუ როგორ აღიქმებოდა ეს საკითხი ისლამურ მემკვიდრეობაში, როგორ იყო განმარტებული მისი მნიშვნელობები და რომელი კონტექსტების მიხედვით განვითარდა ტერმინი სხვადასხვა კონცეპტუალურ ვარიაციებში.

აქ საკმარისი იქნებოდა იმ სამი სწავლულის დამონშება, რომლებიც ისლამური ისტორიის სრულიად განსხვავებულ პერიოდებში მოღვაწეობდნენ. თითოეული მათგანი განსხვავებული წარმომავლობისა იყო, ეკუთვნოდნენ სხვადასხვა აზროვნების სკოლებს და ჰქონდათ სხვადასხვა პირობები. და, მაინც, მათ მიერ აღწერილი გონისა და აზროვნების საკითხები თითქმის თანმთხვევია. ესენი არიან: ალ-ჰარის ალ-მუჰსაბირ (გარდ. 243 წ. ჰ.), აბუ ჰამიდ ალ-ლაზალი (გარდ. 505 წ. ჰ.), იბნ კადამ ალ-ჯავზია (გარდ. 751 წ. ჰ.).

„ქიტაბ ალ-‘აკლ ვა ფაჰმ ალ-კურ’ანში“ (ყურანის აზრისა და განმარტების წიგნი), იმამ ალ-მუჰსაბირ აყალიბებს თავის პოზიციას გონის შესახებ ჰადისების უტყუარობის არგუმენტაციასთან დაკავშირებით. იგი ეხება ჰადისში განხილულ გონს, „აკლ“, რომელიც მისი ეპოქის კულტურის საპასუხოდაა დაწერილი და რომელიც ცნობილია, როგორც „მუთაზილიტური აზროვნების“ ეპოქა (რაციონალობის ეპოქა). იგი ხაზს უსვამს მორწმუნისათვის გონით იმის გააზრების აუცილებლობას

(*დაკილ*), რაც დავანებულია ალაჰის წიგნში. ეს არის მისი სიღრმისეულად გაცნობიერება და აღქმა.<sup>2</sup>

„აკლის“ მნიშვნელობისა და წინამავალი როლის შესახებ მსჯელობისას, ალ-მუჰჰსაბიბი ამტკიცებს, რომ ინდივიდებს არ ძალუძთ აზროვნების, ასახვისა და დამახსოვრების გარეშე დამოუკიდებლად მოქმედება. მხოლოდ ხანგრძლივი და გულდასმით ნაფიქრის, განსჯის და მუდმივად ფიქრის საშუალებით აღწევს ადამიანი სიბრძნეს, აძლიერებს საკუთარ ცოდნასა და იყალიბებს მსოფლმხედველობას.<sup>3</sup> ღმერთის მტკიცე რწმენა ყურანის აიების ამგვარი განჭვრეტის გზითა და საბოლოო შედეგების წინასწარი გააზრებით მიიღწევა.<sup>4</sup> ისინი, ვინც ამგვარ სულიერ-მენტალურ აქტივობებს ახორციელებენ, გონიერი და რაციონალური ადამიანები არიან: „ულუჟ ალ-ალბაბ.“<sup>5</sup> ღმერთი შეიცნობა მხოლოდ გონებით და მისი მორჩილება შესაძლებელია მხოლოდ ცოდნით.<sup>6</sup> ალ-მუჰჰსაბიბი ასკვნის, რომ რწმენის დონე განსაზღვრავს რაციონალურობისა და აღქმადობის დონეს, ხოლო რაციონალურობის დონე – ცოდნის შეძენის დონეს.<sup>7</sup>

აბუ ჰამიდ ალ-ლაზაღლიმ თავის სახელგანთქმულ ნაშრომში, „იჰიზ‘ ულუჟმ ად-დინ“ (რელიგიური მეცნიერებების აღორძინება), შეიტანა მნიშვნელოვანი თავი, სახელად „ქითაბ ალ-თაფაქჟური“ (წიგნი განჭვრეტის შესახებ), რომელშიც განიხილავს განჭვრეტის ძალას, განმარტავს აზროვნების ქმედითობა-შედეგებსა და ღმერთის შემოქმედების განჭვრეტის მეთოდს.<sup>8</sup> ის ამტკიცებს, რომ აზროვნება არის ყოველგვარი სიკეთის საწყისი და გასაღები. ნებისმიერი მეცნიერება, ცოდნა, ქმედებები და ყველაფერი მათთან დაკავშირებული, აზროვნების პროდუქტია. აზრი გარდაიქმნება ცოდნად, ცოდნა გზას უკაფავს გულს, რაც გავლენას ახდენს მავანის ქმედებებზე.<sup>9</sup>

იბნ კაიმ ალ-ჯავზიამ ასევე დაწერა დიდი მოცულობის წიგნი ცოდნის, აზრისა და განჭვრეტის მნიშვნელობაზე, სახელად „მიფთაჰ დარ ას-საწადა ვა მანშურ ვილამათ აჰლ ალ-‘ილლმ ვა ალ-ირნადა“ (ბედნიერების მოსაპოვებელი გასაღები და ცოდნისა და ნებელობის სუვერენობის განცხადება). იგი მიიჩნევს, რომ ბედნიერებისა და წარმატების მაღალი დონე ორი საშუალებით მიიღწევა: ცოდნითა და ნებელობით, როდესაც ნებელობა ბედნიერების მისაღწევი კარიბჭეა, ხოლო ცოდნა ამ კარიბჭის გასაღებია.<sup>10</sup>

ალ-ჯავზიამა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „თაფაქქური“ (სიღრმისეული ფიქრი, განჭვრეტა) და „თაზაქქური“ (მეხსიერება), თავიანთი გამოვლინებით ყურანში, ღვთაებრივი წინამძღოლობის და წარმატების საფუძველი, ასევე ბედნიერების ორი საყრდენი წერტილია. განჭვრეტა გულის ძიებაა, რომლის მიზანია, უკვე მოპოვებული ცოდნით ჯერ კიდევ მიუღწეველ ცოდნის დაუფლება. ეს ცოდნა ეხმარება ადამიანებს იმის გარკვევაში, თუ რა უნდა ეძიონ და რას უნდა განერიდონ.<sup>11</sup>

### **აზროვნება, როგორც თავჭირდი, თავქედია და ‘უმრბნ**

„თაზქედიას“ (თვითგანწმენდა) საკითხებზე მსჯელობისას, ჩვენ ხაზს ვუსვამთ, რომ პიროვნების მიერ პასუხისმგებლობის აღება რაციონალიზმზე, განჭვრეტასა და მახსოვრობაზე, რათა მიაღწიოს „თაკვას“ (ღვთისმოსაობა), „ზუჰდს“ (ასკეტიზმი ან ამქვეყნიურ სიამეზე უარის თქმა) და ეძიოს საიქიო ცხოვრება, იმას არ ნიშნავს, რომ მავანს ამქვეყნიურ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი წილი არ უნდა ჰქონდეს. ამქვეყნიურ ცხოვრებაში მონაწილეობის მიღება მოიცავს ურთიერთკავშირს სწავლულებ-


თან, მოგზაურობას ცოდნის ძიებაში, სურსათ-სანოვარის მოპოვებასა და ისეთი პროფესიული უნარების დაუფლებას, როგორებიცაა ვაჭრობა, სოფლის მეურნეობა და რომელთაგან ყველა საჭიროებს გონების, აზროვნებისა და მეხსიერების პრაქტიკულ გამოყენებას. განჭვრეტა და დამახსოვრება ძირითადი პრაქტიკებია მორწმუნეთა დაჯილდოების მიზნით, რომელიც, დედამიწაზე („*უმრწმ*“) ცხოვრების განვითარების თვალსაზრისით, აუცილებელ მოქმედებებს წარმოადგენს.

ყურანის აიებზე დაფიქრება, ამ აიებთან დაკავშირებული უნივერსალური და კოსმიური ნიშნების განჭვრეტა, აგრეთვე წარსული თაობებისგან მიღებული გაკვეთილების გააზრება, განაპირობებს რწმენას შემოქმედის, მისი ერთადერთობისა და მისი ატრიბუტების მიმართ. („*თავჰადი*“). ამის შემდგომ, სულის განმენდისკენ სწრაფვა („*თაჰქღია*“) იმ მიზნით, რომ ამ ერთადერთი შემოქმედისთვის სიამოვნების მინიჭება ეძიო და მისი უკმაყოფილება თავიდან აიცილო, ბუნებრივ შედეგად იქცევა. ეს მოგზაურობა გულისხმობს გახანგრძლივებულ განჭვრეტას, ფიქრს და გაკვეთილების მიღებას, რასაც მივყავართ აზროვნების, ცოდნის, გაგებისა და აღმოჩენის ჩამოყალიბებისკენ. ცივილიზაციური ჩვეულებები, კანონები და თეორიები წარმოიქმნება ასეთი ცოდნისა და აღმოჩენების ინტელექტუალური დამუშავებისგან. ამ მეცნიერებებისა და აღმოჩენების ფასეულობას განსაზღვრავს მათი პრაქტიკული გამოყენება და მათი კულტივაციისგან მიღებული რეალური სარგებელი დედამიწაზე (*უმრწმ*). მორწმუნეები ამ სამყაროში არსებულ მკაფიო საკითხების ცოდნას აერთიანებენ ფაქტთან, რომ ეს არის გზა საიქიო ცხოვრებისაკენ.

თუ „თავჭირდის“, „თაზქიძას“ და „უმრანის“ სამმხრივი უნისონი გამოცოცხლდება, მაშინ კოსმიური, ფსიქოლოგიური, სოციალური და ისტორიული ნიშნები, ისე როგორც მთლიანად ყურანის მითითებები, გააზრების, შორსმჭვრეტელობის, მიღებული გაკვეთილებისა და ისეთი კვლევების თემები გახდება, რომლებიც გააფართოებს ცოდნის საზღვრებს და აამაღლებს მუსლიმ საზოგადოებებს წინსვლისა და განვითარების მიზნით, რათა ისინი მართლაც გახდნენ გზის გამკვალავები.

### აზროვნება, როგორც რწმენა, ცოდნა და ქმედება

თუ ისლამი თავისი არსით არის რწმენა, ცოდნა და ქმედება, მაშინ რა ადგილს იკავებს იგი ამ სამ კონცეპტთან მიმართებით? მართლაც, აზროვნება ამ სამი კომპონენტის ფუნდამენტური ელემენტია და როგორც იბნ ალ-კაიძამი ამბობს: „ყველა თეორიული ცოდნის და პრაქტიკული ქმედებების საფუძველი იდეები და ფიქრებია.“<sup>12</sup>



ა. ურთიერთდამოკიდებულება რწმენასა და ცოდნას შორის

კავშირი რწმენასა და ცოდნას შორის, სინამდვილეში, რწმენასა და აზროვნებას შორის კავშირია, ვინაიდან ისლამში რწმე-

ნა ინტელექტუალური პასუხისმგებლობაა, რომელიც რეალიზდება რწმენის სუბიექტების რაციონალიზაციის საშუალებით, მისი ქვეშარიტების ცოდნით და მისი ძირითადი ელემენტების მეხსიერებაში ჩართვით. ამგვარად, რწმენა ამ ცოდნის გარეშე ადამიანის პასუხისმგებლობის დეგრადაცია და მისი ღირსების ხელყოფაა. ამ კავშირში მცოდნენი და უმეცარნი არ არიან თანაბარ პირობებში, რადგან მცოდნე დაცულია მისივე რწმენის ნყალობით, მაშინ როდესაც უმეცრის რწმენა პირველივე განსაცდელის ჟამს ირყევა; ღმერთი ბრძანებს: „უთხარი: ‘განა თანასწორნი არიან განსწავლულნი და უვიცნი?!’ უეჭველად, შეიგონებენ მხოლოდ ბრძენკაცნი!“ (39:9).

არაერთ ყურანის აიაში ღმერთი აკავშირებს „რმწმენს“ (რწმენა) „ილმთან“ (ცოდნა), მაგალითად: „და რომელთაც ებოძათ ცოდნა და რწმენა ეტყვიან: ‘ალლაჰის წიგნის შესაბამისად დაჰყავით იქ აღდგომის დღემდე. აი, ეს არის აღდგომის დღე, მაგრამ თქვენ არ შეიმეცნეთ““ (30:56). „ილმ“ ისლამური მსოფლალქმის მიხედვით, არის ცოდნა ფართო ყურანისეული მნიშვნელობით, რომელიც მოიცავს მეცნიერებას ბუნების შესახებ (საბუნებისმეტყველო და ფიზიკის მეცნიერებები), ქცევის შემთხვევების შესახებ, ფსიქოლოგიას, საზოგადოების (ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებები) და მრწამსის, ცოდნისა და რწმენის საკითხებს (რელიგიური მეცნიერებები). საზოგადოება, რომლის შექმნისკენაც ისწრაფვის ისლამი, ის ერთადერთია, რომელშიც რწმენა და ცოდნა ურთიერთშემავსებელი და ინტეგრირებულია, სადაც არსებობს კავშირი ყველა სამეცნიერო სპეციალიზაციის „სწავლულთა რწმენასა“ და მათში დახელოვნებულ „მორწმუნეთა ცოდნას“ შორის.



ბ. ურთიერთდამოკიდებულება რწმენასა და ქმედებას შორის

ყურანში არის 51 აია, რომლებშიც რწმენა კეთილ ქმედებასთან ასოცირდება, მაგალითად: „აღლაჰმა აღუთქვა თქვენგან მათ, რომელთაც ირწმუნეს და ჰქმნეს სიკეთენი, მემკვიდრეობა ქვეყნისა (24:55).“ და კიდევ არაერთი აიაა, რომლებიც რწმენასა და ქმედებას შორის დისასოცოციაციასა და დისჰარმონიას გამოხს.

„რომელთაც ირწმუნეს და ჰქმნეს სიკეთენის“ მსგავსი ფრაზები ყურანის უმეტეს აიებში მრავლობითი ფორმით გვხვდება. ისინი, ვისაც სწამს, ერთი ჯგუფია, სიკეთის მქმნელნიც ასევე ჯგუფია. მორწმუნეთა თემი ცოდნის საფუძველზე ერთიანდება და მისი საქმეები ამ ცოდნის შესაბამისად მატერიალიზდება. ეს მნიშვნელოვანი მინიშნებაა „უმმას“ ცივილიზაციური აღორძინების რეალიზების თვალსაზრისით, რაც თემისთვის საერთო ხედვის ჩამოყალიბებას გულისხმობს. ეს ხედვა არის რწმენა და ეს რწმენა ღვთისნიერი საქმეების კატალიზატორია.<sup>13</sup>

გ. ურთიერთდამოკიდებულება ცოდნასა და ქმედებას შორის

ისლამში „იბნდას“ (ღვთის თაყვანისცემა) კონცეპტი ფართოა. იგი გულისხმობს ნებისმიერ ნებაყოფლობით ქმედებას, რომელსაც ცალკეული ინდივიდი ღვთისგან ჯილდოს ბოძების ძიებაში ახორციელებს რელიგიის მინერლობების და კანონების შესრულებით. იმის შეცნობის მიზნით, აახლოებს თუ არა განხორციელებული ქმედებები ადამიანს ღმერთთან, საჭიროა ჯერ ღვთის მოწოდებების გაცნობიერება, შემდგომ კი მათი შესრულება. ამგვარად, რელიგიის სწავლულები ყურადღებას ამახვილებენ „იკთიდჰ“ ალ-‘ილმ ალ-‘ამალ-ზე“ (ცოდნა ქმედების აუცილებლობას ქმნის) და ცოდნასა და ქმედებას შორის არსებით კორელაციაზე.<sup>14</sup> არ-რწლიბ ალ-ისფაჰნანი ამბობს:

„ღვთის თაყვანისცემა ორ ასპექტს მოიცავს: ცოდნასა და ქმედებას.“ ეს ორი ერთმანეთთან უნდა იყოს დაკავშირებული, ვინაიდან ცოდნა საძირკველია, ქმედება კი – შენობა. საძირკველი შენობის გარეშე უსარგებლოა, შენობა საძირკვლის გარეშე კი მყარად ვერ იდგება. შესაბამისად, ცოდნა უსარგებლოა, ქმედება თუ არ ახლავს თან, ქმედება კი ფუჭია ცოდნის გარეშე.<sup>15</sup>

ამ საკითხის მნიშვნელოვნება ყველაზე თვალსაჩინო შუამავლის (საას)<sup>1</sup> სიტყვებით ხდება, რომელიც ამბობს, რომ ცოდნა ქმედებაა: „...მცირე შრომაც ნაყოფიერია თუ მას ცოდნა ახლავს თან და ფუჭია ბევრი შრომა თუ ის უმეცრებას ემყარება.“<sup>16</sup> ცოდნის კავშირი ქმედებასთან, რწმენის ისლამთან (მორჩილებასთან) კავშირის მსგავსია, სადაც რწმენა (*იმან*) ცოდნით, ეგზოთერული ისლამი კი ქმედებით იზომება.

ღმერთის გზავნილები მოციქულებისათვის რეფორმატორული იდეებია – ისეთი მსოფლმხედველობის ჩამომყალიბებელი, რომლებიც ადამიანებს უნდა მიეღოთ და რომლებიც დაკავშირებულია შემოქმედსა და ქმნილებებთან, ცხოვრებასა და ადამიანის ცხოვრების საზრისთან. ეს გზავნილები, მოიცავს ხალხებს შორის ურთიერთობის სისტემებსა და რეგულაციებს უსაფრთხოების, სამართლიანობისა და მატერიალური კეთილდღეობის, ასევე საყოველთაო კეთილდღეობის მისაღწევად. ეს არის ღვთის განსჯის საზომი იმქვეყნიურ ცხოვრებაში. აღნიშნული გზავნილები წარმოადგენს იდეებსა და ამ იდეების პრაქ-

---

<sup>1</sup> (صلى الله عليه وسلم)-სალლა ლლაჰუ 'ალაჰჰი ვა სალლამ ალაჰის ლოცვა და მშვიდობა მას.ეს არის ისლამური თეოლოგიური ფორმულა რომელიც გამოიყენება მუჰამად შუამავლის სახელის ხსენებისას.

ტიკულ სავარჯიშოებს. დღემდე, ასობით მილიონი ადამიანი იზიარებს ამ იდეებს და პრაქტიკაში იყენებს მათ.

ურთიერთდამოკიდებულება ცოდნასა და აზროვნებას შორის შესაძლოა შემდეგნაირად შევაჯამოთ:

ა) ცოდნას, დადასტურების მიზნით, განსჯა სჭირდება. ცოდნა არალეგიტიმურია იმ შემთხვევაში, თუ ის სარგებლის მომტანი არაა და თუ არ მოიცავს აზროვნებასაც.

ბ) იმისათვის, რომ აზროვნების პროცესი იყოს სანდო, მას ცოდნა ესაჭიროება. აზროვნება გამოუსადეგარია, თუ მსჯელობა რეალური, ფაქტებზე დამყარებული არ არის. ის რეალობას მოკლებულია ცოდნის გარეშე.<sup>17</sup>

ურთიერთდამოკიდებულება რწმენას, ცოდნასა და ქმედებას შორის, შეიძლება ამგვარად შეჯამდეს: ცოდნა განაპირობებს და ზრდის რწმენას, რწმენა კი ვლინდება ქმედებისა და განხორციელების სახით.

### **ტერმინი „ისლამური აზროვნება“**

„ისლამური აზროვნება“ თანამედროვე ტერმინია, რომელმაც მნიშვნელობა მეოცე საუკუნეში შეიძინა, განსაკუთრებით კი იმის განსასაზღვრად, თუ რას მიიჩნევენ მუსლიმი მოაზროვნეები იმპორტირებული დასავლური ნააზრევის ელემენტების ავთენტურ ალტერნატივად. ეს ტერმინი ისლამურ მემკვიდრეობისთვის უცნობია, მიუხედავად იმისა, რომ აზროვნებისა და განჭვრეტის ცნება ყურანსა და ისლამურ ტრადიციაში ფესვგადგმული და ხანგრძლივი ისტორიის მქონე კონცეპტია.

ის, რასაც ჩვენ ამჟამად „ისლამურ აზროვნებაში“ ვგულისხმობთ, ისლამური ისტორიის ადრეულ წყაროებში ჩვეულებრივ სხვა ტერმინებით აღინიშნებოდა, როგორებიცაა „*ილმ*“ (ცოდნა) და „*ფიკჰ*“ (სიღრმისეული გაგება). სანამ ტერმინი „ფიკჰი“ რელიგიური მეცნიერებების კონკრეტული კატეგორიის (იურისპრუდენციის) აღმნიშვნელი გახდებოდა, იგი ზოგადი „აბსოლუტური გაგების“ მნიშვნელობით გამოიხატებოდა, რაც ყურანისა და ჰადისების ტექსტებიდან მომდინარეობს.

მუსლიმმა თემის („უმმა“) მიერ გვიანდელ საუკუნეებში ზედიზედ განცდილმა მარცხებმა, პოლიტიკურმა დანაწევრებამ, ინტელექტუალურმა ქაოსმა და კოლონიალიზმმა, უბიძგა ზოგიერთ მუსლიმ სწავლულს განეხილა ისლამურ აღმოსავლეთსა და ევროპულ დასავლეთს შორის ურთიერთობებები, დასავლური მეცნიერებებით სარგებლის მიღების საჭიროება და რენესანსის საკითხი („*ნაჰდა*“). მათ ნაშრომებში იკვეთებოდა სულ უფრო მზარდი განსხვავება ტრადიციული ისლამური იურისპრუდენციის სწავლებისაგან, რაც კრისტალიზდა „ისლამური აზროვნების“ კონცეპტში, „დასავლური აზროვნებისგან“ საპირისპიროდ.

უამრავი ტრადიციული ისლამური ჯგუფი კვლავაც უარყოფითადაა განწყობილი ტერმინ „ისლამური აზროვნების“ მიმართ. ისინი ისეთ ისლამურ მეცნიერებებში ჩართულობას ამჯობინებენ, რომლებიც ტრადიციულ ჩარჩოებში ექცევა, რადგან ისინი „ჰიჯრის“ პირველი ხუთი საუკუნის მანძილზე ჩამოყალიბდა. ბევრი მათგანი ტერმინ „*ფიქრს*“ ჭეშმარიტი ცოდნისგან გადახრის მნიშვნელობას ანიჭებს. მათი თვალსაზრისები ფოკუსირებულია ისლამური აზროვნებაზე, რომელიც რაციონალური კრიტიციზმისა და „*მაკჰსიდიდან*“ (რელიგიის მიზნები)

იღებს სათავეს. ეს კი წმინდა ტექსტების დაკნინებას და მათი მოთხოვნებისგან გაქცევას ნიშნავს.

მიუხედავად ამისა, უამრავი მწერალი და აქტივისტი არსებობდა, რომელთა ისლამურ იდენტობასა და კუთვნილებაში ეჭვის შეტანა არ შეიძლება და რომელთაც ღირებული ინტელექტუალური, სამეცნიერო და პრაქტიკული წვლილი შეიტანეს ისლამისა და მუსლიმი თემის („უმმა“) მსახურებაში. ამ პირებს სხვადასხვა პროფესიული გამოცდილება აქვთ. ისინი არიან ინჟინრები, ექიმები, ქიმიკოსები, ფიზიკოსები, ფსიქოლოგები და ასე შემდეგ. თუმცა, ზოგიერთი პიროვნება, ვინც საკუთარი თავის იდენტიფიცირება ისლამურ აზროვნების სფეროში სცადა, სინამდვილეში ისლამური ნააზრევის შემბლაღავი იყო. მათ თავიანთ წრეებში მარგინალური ბრძოლები და დაპირისპირებები გააღვივეს, რაზეც უზარმაზარი დრო და ძალისხმევა დაიხარჯა. შესაძლოა, ასეთი დაპირისპირებები მცდარი ინტელექტუალური გადაწყვეტილებების და გულწრფელი, მაგრამ უმეცარი მცდელობების შედეგი იყო. და მაინც, იყვნენ ბოროტი ზრახვებით მოტივირებულნიც, რომელთაც მიზნად ჰქონდათ მუსლიმურ საზოგადოებებში ინტელექტუალური ქაოსისა და დაბნეულობის შეტანა.

მეექვსე: აზროვნება და ემოცია

ინტელექტუალური განვითარება არ არის მარტივი, ემოციებსა და გრძნობებს მოკლებული, მოსაწყენი, გონებრივი სავარჯიშო, არამედ ეს არის რწმენა, რომელიც ასაზრდოებს ქმედებას; ეს არის მენტალური და ცნობიერი მდგომარეობა, რომელიც შეიმუშავებს ქცევისა და ურთიერთქმედების მეთოდებს იდეებთან, საგნებთან და ხალხთან მიმართებით. მაშინ, როდესაც აზროვნება ადამიანის თვითცნობიერება და საკუთარი გა-

რემოს გაცნობიერებაა, ადამიანის გრძნობები მისი თვითობისა და ყოფიერების არსებითი ელემენტია. ამ გრძნობების გააზრება იმ ცოდნის გაცნობიერებაზე არანაკლებ მნიშვნელოვანია, რომელიც საჭიროა შესაბამისი გადაწყვეტილებების მისაღებად და კონკრეტული ქმედებების განსახორციელებლად. როდესაც აფასებ, იდეა კარგია თუ ცუდი და *წყვეტ* პოზიტიურია თუ ნეგატიური ეს იდეა, განა ეს იმას არ ნიშნავს, რომ პასუხს სცემ კითხვას: რას გრძნობ ასეთი იდეის მიმართ?

იმამ ალ-ბუხარის გადმოცემს შუამავლის ნათქვამს: „მსაჯულმა გაბრაზებულ გულზე ორ ადამიანს შორის დავის შესახებ გადაწყვეტილება არ უნდა მიიღოს.“<sup>18</sup> ეს ჰადისი მნიშვნელოვნად ამარტივებს აზროვნებასა და ემოციას შორის ურთიერთმიმართების გააზრებას. ცნობილია, რომ როდესაც ადამიანი აღელვებული, გაბრაზებული, იმედგაცრუებული ან შერცხვენილია და ტკივილისა და სიმწრის განცდებს ებრძვის, მისი ნებისმიერი, ზემოთ აღნიშნული მდგომარეობა გონივრული აზროვნების უნარს უშლის ხელს. ფსიქოთერაპიის სფეროში არსებული რესურსები წინ წამოწევენ კოგნიტიური ბიჰევიორისტული თერაპიის წარმოდგენას, რომლის მიხედვითაც „თქვენ შეგიძლიათ შეცვალოთ თქვენი გრძნობები თქვენი ფიქრების შეცვლით.“<sup>19</sup> ადამიანისთვის მნიშვნელოვანია დააკვირდეს, თუ როგორ ამახინჯებენ გრძნობები აზროვნებას და როგორ ინვევენ მასში ცდომილებებსა და ცვლილებებს, რაც ადამიანის სანყის ფსიქოლოგიურ გრძნობებს აღრმავებს. სათანადო ქმედებებისა და მეთოდების გამოყენება, შესაძლოა, ადამიანს დაეხმაროს, იაზროვნოს უფრო დაბალანსირებული და მონიფული სახით და გააკეთოს უფრო გონივრული არჩევანები.<sup>20</sup>

მაშინ, როდესაც ყურანში, არაერთგან, აზროვნების პროცესებზეა საუბარი – როგორიცაა განჭვრეტა, მეხსიერება და წინდახედულობა, ყურანში ემოციების, გრძნობებისა და რეაქციების მაგალითები არანაკლებ მნიშვნელოვანია სულის წინამძღოლობისა და ადამიანის პიროვნული დაბალანსების თვალსაზრისით. ყურანში უხვად გვხვდება სიყვარულზე, ზრუნვაზე, თანაგრძნობაზე, ერთგულებაზე, სიკეთესა და წყალობაზე აქცენტირება: მეუღლეებს, მშობლებსა და შვილებს, ნათესავებსა და რწმენით და-ძმებს შორის, ასევე, კაცთმოყვარეობის თვალსაზრისით, პარტნიორებს შორის, რომ არაფერი ითქვას ცხოველებისადმი მონყალებასა და ზრუნვის შესახებ. უფრო მეტიც, ყურანი დაბეჯითებით მიიჩნევს გულს („კალბ“) გაგების, შეცნობის, რაციონალურობის და აღქმის, ისევე როგორც რწმენისა და ურწმუნოების საშუალებად (მაგალითისთვის იხილეთ აიები 22:46, 7:179, 4:155, 5:41). შუამავლის ჰადისები, ასევე, დაბეჯითებით მიანერს გულს როგორც სამართლიანობას, ისე გარყვნილებას; „რა თქმა უნდა, სხეულში არის ხორცის ნაჭერი; თუ იგი ჯანსაღია, მაშინ მთელი სხეული ჯანსაღია, ხოლო თუ იგი გარყვნილია, მაშინ გარყვნილია მთელი სხეული და, რა თქმა უნდა, გული.“<sup>21</sup>

## თავი მეორე

### ინტელექტუალური განვითარება და მისი ღონეუბი

ინტელექტუალური განვითარება არის „პროცესი“, რომელიც კონკრეტულ კონცეპტუალიზაციის შესატყვისად მიმდინარეობს, გადის თანმიმდევრულ ეტაპებს და მრავალგვარ დონეებს აღწევს. ინტელექტუალური განვითარების პროცესში ვარიაცია არ არის შეზღუდული ინდივიდებით – შეიძლება მიესადაგებოდეს ჯგუფს, საზოგადოებას ან „უმმას“. ეს ვარიაციები ვლინდება ინტელექტუალურ სიმდიდრესა და გაკოტრებას შორის არსებული სხვადასხვა დონეების სახით. ასევე, იგი არ შემოიფარგლება ინტელექტუალური კონსტრუირების დონით და შესაძლოა იდეების სამყაროში ინტერესის დონეს დაუკავშირდეს, საგნების სამყაროში და ადამიანების სამყაროში ინტერესის დონისაგან განსხვავებით.

#### ინტელექტუალური განვითარება: აზროვნების კონსტრუირება

ინტელექტუალური განვითარება ორი სიტყვისგან შემდგარი სათაურია: შენება და აზროვნება. ადამიანურ საქმიანობაში ორივე საკვანძო სიტყვაა, რომელთაგან თითოეული „კეთების“ ზმნური სახელია – მოიცავს და მოქმედებასა და ამ მოქმედების შედეგს. აზროვნების პროცესში ჩართულობა ერთ-ერთია კეთილშობილურ მცდელობათაგან. აზრი ინდივიდში არ აღმოცენდება, როგორც ერთი სრულქმნილი კონსტრუქცია, იგი არც ერთჯერადი მცდელობით არ მოგეცემათ, არამედ იგება ინდივიდის მიერ ერთი აგურის მეორეზე დადებით.




შენების კონცეპტს თან ახლავს დაგეგმვა, დიზაინი, ორგანიზება, რაც უპირისპირდება არაშემთხვევით განლაგებასა და თავმოყრას. აზროვნების კონცეპტის თანმდევია ცოდნა, რომელიც საფუძვლიანია; კულტურა, რომელიც ყოვლისმომცველია; სწორად მართული ცნობიერება, რაც საპირისპიროა საფუძველს მოკლებული იმიტირებული ცოდნისა, დამოკიდებულებისა წინამძღოლობის გარეშე ან ბრმა ფანატიზმისა შესატყვისი გააზრების გარეშე. პიროვნებების ქმედებები აზროვნების გარეშე, სხვა არაფერია, თუ არა ახირება, იქნება ეს საკუთარი თუ სხვისი.

ინტელექტუალური კონსტრუქცია ადამიანური ყოფის ამსახველი მოცემულობაა, რომელიც ხასიათდება მოძრაობით, განვითარებით, ცვლილებითა და ზრდით, რითაც ყალიბდება ინდივიდის პიროვნება ინტელექტუალური და ფსიქოლოგიური განვითარების საფუძველზე. და მაშინ, როდესაც ინტელექტუალური განვითარება რწმენისა და რაციონალური შეხედულებების ასპექტებთანაა დაკავშირებული – რაც მოიცავს ფაქტებს, ცნებებს, პრინციპებსა და თეორიებს – ფსიქოლოგიურ კონსტრუქციას, მეორე მხრივ, კავშირი აქვს ემოციურ და რეაქციულ ასპექტებთან, როდესაც სურვილი, მოტივები და გრძნობები მართავენ ადამიანის პრაქტიკულ ქცევას. ადამიანებს სჭირდებათ განათლება და განვითარება როგორც ინტელექტუალურ-რაციონალური, ასევე ფსიქოლოგიურ-ემოციური თვალსაზრისითაც, რომელთაგან თითოეულს, განათლებისა და განვითარებისთვის საჭირო, საკუთარი მასალა და ტექნიკა გააჩნია.

აზრი ფიქრის პროცესის შედეგია, ფიქრის პროცესი კი შინაგანი მენტალური აქტივობაა, რომელსაც ადამიანი ახორციელებს ცნობიერად თუ გაუცნობიერებლად. ეს პროცესი მოიცავს აზრების, წარმოდგენებისა და მგრძნობიარე აღქმების გადაცემას, რასაც წინ უსწრებს ან თან ახლავს პიროვნების გამომჟღავნებული ქცევა. ამგვარად, აზროვნება ადამიანის ძალისხმევაა, რომელიც შეიძლება იყოს სწორი ან არასწორი. ასე,

რომ მას არ ახასიათებს შეუცდომლობა ან სინმინდე. ზღვარი – სანამ ეს აზრი დაფუძნებულია ჭეშმარიტ გამოცხადებასა და გონივრულ მიზეზებზე და შესაბამისობაშია ფაქტებთან და ბუნებასთან, განსაზღვრავს მის სიახლოვეს სისწორესთან და სიშორეს ცდომილებიდან.



### ინტელექტუალური კონსტრუირების ეტაპები და დონეები

მუსლიმი ფსიქოლოგი, მალიქ ბადრი, ისლამური პერსპექტივის გადმოსახედიდან იკვლევს განჭვრეტის საკითხს. მორწმუნეთა ღმერთთან ურთიერთობის საკითხის კვლევისას, იგი ასკვნის, რომ ადამიანის აზროვნება ოთხ ეტაპს გადის. პირველ და მეორე ეტაპს ყველა გაივლის, იქნება იგი მორწმუნე თუ ურ-

წმუნო, მესამეს – მხოლოდ მორწმუნენი, მეოთხეს კი ამ მორწმუნეთაგან მხოლოდ რამდენიმე თუ გადალახავს. ბადრი პირველ სამ საფეხურს რაიმე განსაკუთრებულ სახელს არ არქმევს, მეოთხეს კი „სულიერ შემეცნებას“ (შუჰუდ) უწოდებს.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში, ბადრის მიერ აღწერილი განჭვრეტის ოთხი ეტაპია წარმოდგენილი.<sup>22</sup>

ცივილიზაციური კონსტრუქციის განხილვისას მალიქ ბენნაბი განასხვავებს შენებას და ერთ ადგილზე შეყრას. იგი მიიჩნევს, რომ მუსლიმური ცივილიზაცია „ისტორიის მიღმა“ რჩებოდა დიდი ხნის განმავლობაში, მანამ, სანამ, მეცხრამეტე საუკუნის ბოლოსა და მეოცე საუკუნის დასაწყისში რეფორმატორული მიმართვებით არ განხორციელდა ცივილიზაციური აღორძინების მოწოდება. თუმცა, ასეთმა ძალისხმევამ მხოლოდ სხვა ცივილიზაციების მიღწევათა შემოტანის საკითხი გადაჭრა. ცივილიზაცია ისეთი მატერიალური პროდუქტებისგან შედგება, რომელთაც საკუთარი არსი, აზრი

ეტაპების მახასიათებლები	განჭვრეტის ეტაპები
<p>სენსორული აღქმითა და აბსტრაქტული წარმოსახვით მოპოვებული ცოდნის განჭვრეტა. შედეგად, თეორიული ცოდნის მიღება, რომელზეც ადამიანი პრაქტიკული გამოყენების გზას დააშენებს. ეს წმინდა მენტალური ეტაპია, რომელიც, ხშირად, ემოციურ ასპექტებსაა მოკლებული.</p>	<p>ეტაპი 1: მატერიალური აღქმა</p>
<p>პროგრესი – აღქმული ობიექტების უბრალო გაცნობიერებიდან ამ ობიექტების მშვენიერებისა და სრულყოფილების ემოციურ აღქმამდე. შედეგად, სწორი შეფასებისა და რეაქციული აღქმის მდგომარეობის მოპოვება.</p>	<p>ეტაპი 2: რეაგირებადი შეფასება</p>


<p>პროგრესი – ქმნილების მშვენიერების აღქმიდან, ამ სრულყოფილი მშვენიერების შემოქმედის მოძიებამდე, მისი სიდიადისა და წყალობის შეცნობამდე, მორჩილებამდე და თაყვანისცემამდე.</p>	<p>ეტაპი 3: რწმენა</p>
<p>პროგრესი – შემოქმედის აღქმისა და თაყვანისცემიდან ემოციური გამჭვირვალობისა და მაღალი ცნობიერების მდგომარეობამდე, ზეციური სამყოფლის შეგრძნებამდე და სიტყვებს მიღმა გამოცდილების მიღებამდე. ეს არის ეტაპი, რომელსაც სუფიები „შუჰუდს“ უწოდებენ.</p>	<p>ეტაპი 4: სულიერი შემეცნება</p>

მეთოდები და სისტემები გააჩნია, ანუ ის, რისი ყიდვაც ან სესხებაც შეუძლებელია, რადგან ისინი იმ საზოგადოების შინაგანი მახასიათებლებია, რომელმაც ისინი შექმნა. საზოგადოება, რომელიც სხვისგან იღებს პროდუქტებს მათ ნააზრევთან და არსთან ერთად, დაკარგავს საკუთარ ცივილიზაციურ იდენტობას და იმ საზოგადოების დანამატი ხდება, რომლისგანაც სესხულობს. საზოგადოება, რომელსაც ცივილიზაციის პროდუქტები შემოაქვს მათი არსისა და აზრის გარეშე, უბრალოდ, აგროვებს არსს მოკლებულ სტრუქტურებს და აზრმოკლებულ ნივთებს. ბენაბის აზრით, ცივილიზაცია, ნებისმიერ საზოგადოებაში, საკუთარ პროდუქტებს წარმოშობს და მათ საკუთარი არსით, სულითა და აზროვნებით ჟღენთს. მუსლიმთა სამყარომ წარუმატებლობა განიცადა ცივილიზაციის შექმნაში, რადგან მან საკუთარი თავი მატერიალური პროდუქტების დაგროვებით შემოიზღუდა.<sup>23</sup>

ცივილიზაციური აღმშენებლობა-განვითარების პროცესი საზოგადოებაში რეალური ხდება მაშინ, როდესაც ადამიანები ანახლებენ იდეათა სფეროს, რასაც შემოქმედებისთვის იყენე-

ბენ. ყველა ადამიანი კვდება, ნივთების უმრავლესობა ცვდება და მათი ფასეულობა მცირდება, ზოგიერთი იდეა კი, დროის გასვლის მიუხედავად, სიცოცხლისუნარიანი, გამძლე და უცვლელი რჩება. ზოგიერთი მკვდრადშობილი იდეაა და ისინი შეიძლება დანაკარგის გარეშე უგულებელვყოთ, მაშინ როცა მათი ნაწილი ფატალურია და უნდა განადგურდეს.

ის ფაქტი რომ, ინდივიდუალურ დონეზე, მოაზროვნეთა წრეში აზროვნების სხვადასხვა დონეებს შორის ჰარმონია არსებობს, არ ნიშნავს იმას, რომ ამ წრის ყველა წევრი, აზროვნების პროცესში, ერთსა და იმავე მეთოდოლოგიას იყენებს. მათ აზროვნებაზე გავლენის მქონე ან მათ ნააზრევში ჩართული ფაქტორებიც განსხვავებულია, ვინაიდან ინდივიდებს გამორჩეული ინტელექტუალური და ქცევითი მახასიათებლები გააჩნიათ. ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოაჩენს ამ განსხვავებებს.



ამ მახასიათებლებს შორის არ არსებობს გამყოფი საზღვრები და პრეფერენციებზე დამყარებული იერარქია, შესაბამისად, მარტივია ისეთი ინდივიდების ამოცნობა, რომლებიც თითოეუ-

ლი კატეგორიისთვის დამახასიათებელ სხვადასხვა დონეზე დგანან. არსებობს სხვა აღწერებიც, რომლებიც ამ კატეგორიების შიგნით ან გარეთ შეიძლება განთავსდეს, მაგალითად – ლიტერატორი, მკვლევარი, მწერალი, ანალიტიკოსი, კონსულტანტი, ექსპერტი, ტექნიკოსი და ასე შემდეგ. აზროვნება ცნებაა, რომელიც ისეთ პიროვნებებს ახასიათებთ, რომლებსაც ჩვენ მოაზროვნეებს ვუწოდებთ. ამ ცნების ნაწილი, სხვადასხვა დონეებზე, შესაძლოა, სხვა პიროვნებებსაც მიესადაგოს. თითოეულ ამ პიროვნებაში მოაზრებული შინაარსი იმდენად მკაფიო და სტაბილურია, რომ აღწერს მათ ინტელექტუალურ ბაზისს და მათი ინტელექტუალური სიმდიდრის, სიღარიბისა და მრავალფეროვნების ხარისხს ამ კატეგორიის სხვა წარმომადგენლებთან შედარებით.

მახასიათებლები	კატეგორია
ის, ვინც სპეციალიზებულია ცოდნის რომელიმე კონკრეტულ კატეგორიაში, როგორებიცაა: ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებები და მათი ქვედარგები (მაგალითად; რელიგიური მეცნიერება).	სპეციალისტი
ის, ვისი სპეციალიზაციაც ემსახურება ერთმანეთთან დაკავშირებული თეორიების წარმოქმნას, შესაბამისად, სიახლეების დანერგვას ამ სფეროში, მისი ჰორიზონტის გაფართოებასა და პრობლემების გადაჭრას.	სწავლული
ის, ვინც რომელიმე კონკრეტული სფეროს სპეციალისტი და სწავლულია, მაგრამ სხვა ინტერესებიც აქვს, მაგალითად, ენა, ხელოვნება და პოლიტიკა. ამ ინტერესების დაკმაყოფილება პირადი ძალის-	ინტელექტუალი

<p>ხმევით უფრო მიიღწევა (კითხვა, დიალოგები სხვა ადამიანებთან), ვიდრე ფორმალური აკადემიური სწავლებით.</p>	
<p>ის, ვინც სპეციალობას, კულტურასა და აზროვნების უნარს ფლობს და ამას იმისთვის იყენებს, რომ გავლენა მოახდინოს სხვებზე და მათი აზროვნება და ქმედებები იმისკენ მიმართოს, რასაც თავად იცავს.</p>	<p>დპ'ია (ადვოკატი)</p>
<p>ის, ვისაც განსაზღვრული ხედვა აქვს არსებული რეალობის რეფორმირების საკითხზე, შეცვლასა და მისი პრობლემების გადაჭრაზე. კერძოდ, სოციალურ, ეკონომიკურ, პოლიტიკურ, საგანმანათლებლო და რელიგიურ თემებთან მიმართებით.</p>	<p>რეფორმატორი</p>
<p>ის, ვინც გარკვეულ საკითხებზე აგებს თეორიულ შეხედულებებს, წამოჭრის ზოგად კითხვებს, აკრიტიკებს გაბატონებულ ინტელექტუალურ ფორმულირებებს, გამოკვეთს არსებულ წინააღმდეგობებს და ავითარებს ახალ კონცეპტუალურ სისტემებს. მათი ყურადღება მიმართულია უნივერსალურზე და არა კონკრეტულზე, რაც გულისხმობს მეტ ფიქრს, კვლევას, გაბატონებული ან პირველადი ცოდნის გადახედვას.<sup>24</sup></p>	<p>ფილოსოფოსი</p>

რამდენადაც ჩვენ შეგვიძლია განვიხილოთ ინტელექტუალური სიმდიდრე, შესაბამისად, შეგვიძლია, ინტელექტუალური სიღარიბე, სიცარიელე, მარცხი და უუნარობაც გავანალიზოთ, რათა აღვწეროთ ინტელექტუალური სისუსტის მდგომარეობა,

რომელიც ინდივიდს, საზოგადოების ნაწილს ან ადამიანთა კონკრეტულ თაობას ახასიათებს.

### ცოდნისა და აზროვნების დიალოგი

ადამიანის აზროვნება მიდრეკილია იყოს სწორი ან მცდარი. ჩვენი მიზანია გავაცნობიეროთ, თუ რა არის სწორი აზროვნების პროცესში იმ ისლამური შეხედულებების სისტემის შესაბამისად, რომელსაც ჩვენ ვიცნობთ. აზრი, რომელიც სწორად მიიჩნევა ისლამური აზროვნების სფეროში, სწორად იმიტომ ითვლება ამგვარად, რომ იგი რელიგიურ მიწერილობებს შეესაბამება. იმისათვის, რომ აზრი სწორად ჩაითვალოს, ის სიღრმესა და სარგებელს უნდა სძენდეს ცხოვრებას.

არავის ძალუძს აზროვნების განხილვა ცოდნისგან იზოლირებულად. ცოდნის ზოგიერთი მაძიებელი, განსაკუთრებით რელიგიის მეცნიერებებში, ტერმინ „ილმის“ (ცოდნა და მეცნიერება) გამოყენებას მის შეზღუდულ კონტექსტში ამჯობინებს იმ ფორმით, როგორც ეს ისლამის ტრადიციონალისტ სწავლულებს აქვთ განმარტებული. შესაბამისად, ისინი ამჯობინებენ მხოლოდ მათთვის ნაცნობი თემების არჩევას, რომლებიც რელიგიის მეცნიერებათა ტექსტებსა და ისლამური მემკვიდრეობის წიგნებშია განხილული, დაწყებული „ილმ“-ისა და ‘ულამჰ’ -ს (სწავლულნი) მაღალი ღირსებებიდან, ცოდნის მიღებას ხელშეწყობით. რელიგიის მეცნიერებების ზოგიერთი სტუდენტი ფანატიზმის სულისკვეთებას ცოდნის ცალკეულ განშტოების მიმართ წარმოაჩენს (მაგალითად, „ფიკჰი“, „ჰადისი“ ან თაფსირი“), და მაინც, მნიშვნელოვანია „ილმის“ მიზანი და დანიშნულება იმდენად, რამდენადაც ღმერთთან კავშირის გაზრდა და მისი შემოქმედებისათვის სარგებლის მოტანაა. ნე-



ბისმიერი ცოდნის ღირებულება იმდენადვე იზრდება, რამდენადაც სასურველი და საჭიროა იგი.<sup>25</sup>

ამ ყველაფრის მიზანი ცოდნისა და აზროვნების ერთმანეთთან შედარება და რომელიმესთვის უპირატესობის მინიჭება არ არის. ასევე არ გვსურს აზროვნებას კულტურასთან, „და‘ვასა“ (რელიგიური მონოდება), ფილოსოფიასთან და ა.შ. შედარებით უპირატესობა მივანიჭოთ, ვინაიდან, ცოდნა არის აზროვნება, კულტურა არის აზროვნება და ფილოსოფიაც აზროვნებაა. თითოეული მათგანი ადამიანის აზროვნების შედეგად მიღებული პროდუქტია სხვადასხვა დონეებსა და მრავალგვარი სპეციფიკაციებით. ჩვენ ვცდილობთ გავუმკლავდეთ ყოველ მათგანს, როგორც ისლამურ აზროვნებას. ‘აღწი იბნ აბნ ტაღიბ „ნაჰჯ ალ-ბაღლაში“ ამბობს: „...არ არსებობს ტაფაკურზე უმაღლესი ცოდნა... და არ არსებობს ცოდნაზე უფრო დიდი კეთილშობილება...“<sup>26</sup>

ფიქრისა და „ილმის“ დიფერენცირების ამოცანა დამოკიდებულია უფრო ტერმინზე, ვიდრე კონცეპტზე. ტერმინი „ილმ“ (მეცნიერება/ცოდნა) საკმაოდ ძველია და იმ ცოდნას მოიცავს, რომელსაც ადამიანი იღებს კონკრეტული საგნის შესახებ მიზანმიმართულად, სპეციფიკური მიზნით და ხასიათდება ორგანიზების, ინსტიტუციების, სასწავლო გეგმის და კონკრეტული მეთოდოლოგიის გარკვეული სახეობით. „ფიქრ“ (აზროვნება), მეორე მხრივ, თანამედროვე ტერმინია, რომელიც გულისხმობს ადამიანის ფიქრის შედეგად მიღებული აღქმების, შეხედულებებისა და პრინციპების ერთიანობას, რომლის მიზანია საგნის აღქმა და მისი ელემენტების, მიზეზების, შედეგების და ამ საგნის არსებულ რეალობასთან ურთიერთობის გაანალიზება.

ამის საფუძველზე ჩვენ ვსვამთ კითხვას: ვინ არის მოაზროვნე? „მოაზროვნე“ იმ პიროვნების აღსანიშნავად არ გამოდგება, ვინც ფიქრობს, ვინაიდან ყველა ადამიანი, ცნობიერად თუ არაცნობიერად, ფიქრობს და, შესაბამისად, თითოეულ მათგანს აქვს აზრი. „მოაზროვნე“ დახასიათება იმ ადამიანს შეესატყვისება, ვინც ფლობს ისეთ ინტელექტუალურ ნაწარმს, რომელიც ხასიათდება მკაფიოებით, მუდმივობით, ერთიანობითა და უნარით შეიმუშავოს აზრი, რომელიც განასხვავებს მას ადამიანების დიდი უმრავლესობისაგან და რაც იძლევა საშუალებას ამ პიროვნებას ეწოდოს მოაზროვნე. ეს არის ინტელექტუალური საქმიანობა, რაც მოაზროვნის პოზიციას აცალკევებს სხვა კატეგორიებისგან, როგორცაა სპეციალისტი, სწავლული, რეფორმატორი, ფილოსოფოსი და სხვა.

### **აზროვნების მოძრაობა და მოძრაობის აზროვნება**

ინდივიდის მიკუთვნება აზროვნების სკოლასთან ან შეხედულებების კონკრეტულ სისტემასთან, გავლენას ახდენს მისი ინტელექტუალური განვითარების პროცესზე. რთულია ისეთი მოძრაობის წარმოდგენა, რომელსაც აზრი არ ასაზრდოებს. საკითხავი ისაა, თუ რა ტიპის აზროვნება იქნება მისაღები მოძრაობისთვის, ვინ არიან მის რიგებში ჩართული მოაზროვნეები, რა ღირებულების და მნიშვნელობის მატარებელია აზროვნება მოძრაობის მიზნებისათვის და რომელი პროგრამები შეუწყობს ხელს ამა თუ იმ აზრის აღორძინებასა და მისი თვალსაწიერის გაფართოებას? აზრი გონების მოძრაობაა, რისი წყალობითაც მოაზროვნე შეიმუშავებს თავის იდეას. შესაბამისად, აზროვნება და მოძრაობა ურთიერთდაკავშირებული კონცეპტებია.

ასევე შესაძლებელია, იდეა მიმართულების გარეშე დარჩეს, თუკი მას არ ეყოლება ის მიმდევრები, რომლებიც მის რეალიზებას მოახდენდნენ. ამ შემთხვევაში, იდეა დაკარგავს იმ ღირებულებასა და მნიშვნელობას, რომლის წყალობითაც იგი იქნებოდა გავლენიანი, ეფექტური და რეალობად აქცევდა ნებისმიერ შესაძლებელ ცვლილებას. აზრი რომ ქცევაში გამოიხატოს, ამისათვის ორი პირობა უნდა შესრულდეს: პირველი, ეს აზრი იმ ადამიანებმა უნდა მიიღონ, რომლებიც მას რეალურ ცხოვრებაში დანერგავენ (სვლა აზრიდან მოქმედებამდე), და მეორე, სვლა აზრიდან მოქმედებამდე რეალობაში უნდა დაინერგოს და განხორციელდეს.

თანამედროვე რეფორმატორულ მოძრაობაში ტერმინი „ჰარაქა“ (მოძრაობა) მიუთითებს არსებული სტატუს კვოს შეცვლის სურვილზე. მაშასადამე, ეს გულისხმობს ჯგუფის ან ორგანიზაციის არსებობას, რომელიც ამ რეალობაში მოძრაობს კონკრეტული საშუალებებით მისი შეცვლის სურვილით. შესაბამისად, ისლამი მოძრაობაა, რომელმაც, მისი ზეგარდმოვლენის დღიდანვე, მიზნად დაისახა ცვლილებების შეტანა არსებულ რეალობაში. საღვთო წერილების მონაცვლეობა რელიგიის მოძრაობაა და ზეგარდმოვლენილი კანონების განახლებაა. ისლამური ისტორია, ადრეული საუკუნეებიდანვე, ოპოზიციური მოძრაობების მოწმე იყო. მოგვიანებით წარმოქმნილი არაერთი ისლამური მოძრაობა პოლიტიკური და რელიგიური რეფორმის თავისი შეხედულების მიხედვით ისახავდა მიზნად. მაგალითად, შეიხ მუჰამმად იბნ ‘აბდ ალ-ვაჰჰჰის მოძრაობა ნაჯდში, შაჰ ვალღ ალლაჰ ად-დეჰლავერს მოძრაობა ინდოეთში, მუჰამმად იბნ ‘ალღ ას-სანუჰსის მოძრაობა ჩრდილოეთ აფრიკაში, რომ აღარაფერი ვთქვათ სუფიურ მისტიციზმზე. გვიანდელი, მეცხრამეტე

საუკუნის ბოლოსა და მეოცე საუკუნის დასაწყისის, რეფორმატორული მოძრაობები წარმოიქმნა კოლონიალიზმისა და მუსლიმი თემის სისუსტის შედეგად, რომლებზეც გავლენა იქონიეს ჯამალ ად-დინ ალ-ავღანიმ და მისმა მოსწავლემ – მუჰამმად ‘აბდუმ, მოგვიანებით, მუჰამმად რაშიდ რიდამ, შემდეგ ჰასსან ალ-ბანნამ და მუსლიმი ძმების მოძრაობის დაარსებამ.

სათაური „მოძრაობის აზროვნება და აზროვნების მოძრაობა“ ნახსენები აქვს ტაჰა ჯაბირ ალაღვანის იმასთან დაკავშირებით, რასაც მან „უმმას მოძრაობა“ უწოდა და რომელიც ძალიან სხმევას იმისკენ მიმართავს, რომ გამოკვეთოს „თანამედროვე და ალტერნატიულ ისლამურ ინტელექტუალურ სისტემა.“ ამის მიზანია „უმმას მოძრაობის გამოკვეთა იმ საჭირო, ინტელექტუალური საზრდოთი, რომელიც მას აკლია.“<sup>27</sup> ის ხაზს უსვამს ისლამური აზროვნების მოძრაობის საფუძვლიანი გამოკვეთვისა და კრიტიკის აუცილებლობას მისი პირველი გამოცხადებიდან დღემდე, და კოლექტიური, სპეციალური ინსტიტუტების საჭიროებას, რათა ისლამური თემის მოძრაობა აუცილებელი ინტელექტუალური ცნობიერებით და წინამძღოლობით აღიჭურვოს.<sup>28</sup>

განსხვავებულ მიდგომას გვთავაზობს აჰმად არ-რაისუნი ნაშრომში „ისლამური მოძრაობების კრიტიკა: მოძრაობის აზროვნებასა და აზროვნების მოძრაობას შორის“, რომელშიც ის აჩვენებს, რომ პოლიტიკით ნიშანდებული ისლამური მოძრაობების განვითარებას არ მიუღწევია მოთხოვნილ სტანდარტებამდე, რაც საჭირო იქნებოდა მოცემულ სფეროში მოაზროვნების, სწავლულებისა და მკვლევარების „შესაქმნელად“ (თუ არ ჩავთვლით რამდენიმე, შემთხვევით „გაჩენილ“ მათგანს). მოძრაობის მამოძრავებელი აზრი, რომელიც რეალურად წარმოიქ-

მნა, თავად მოძრაობასა და ბრძოლის მოთხოვნებს ემსახურებოდა – აზრი, რომელიც მოძრაობის პოზიციებს, არჩევანს და ინტერესებს. ეს არის ის, რასაც აჰმადი „ფიქრ ალ-ჰარაქას“ (მოძრაობის აზროვნება) უწოდებს, რაც უფრო მეტად პარტიულ აზროვნებასა და პარტიზანულ მენტალიტეტს ნააგავს. მოძრაობის ამგვარმა აზროვნებამ ფეხი ვერ აუწყო განვითარებასა და ინოვაციურ პროგრესს, თვით ამ მოძრაობის შიგნით ან გარშემოც კი. არ-რაისუნის მტკიცებით, დღეს საჭიროა მოძრაობის განახლება და „იჯთიჰადი“, თავისუფალი და კრეატიული აზროვნება, „აზროვნების მოძრაობის“ წინა პლანზე წამოწევა, მოძრაობის აზროვნებისადმი დამორჩილების გარეშე.<sup>29</sup>

მიუხედავად იმისა, რომ აზროვნება და მოძრაობა ერთმანეთთან მჭიდროდაა დაკავშირებული, აზროვნება მაინც წინ უნდა გაუძღვეს ნებისმიერ მოძრაობას, რომელიც მიზნად ისახავს რეფორმას, ცვლილებას, ინოვაციას, უწყვეტ პროდუქტიულობასა და წვლილის შეტანას, რომლის საშუალებითაც ეს მოძრაობა წარმოშობს აზრს. თუმცა, როდესაც მოძრაობა უსწრებს წინ აზრს, ხოლო მოძრაობის აზრი მართავს აზრის მოძრაობას, ეს იქცევა რეგრესის, ძალის დაკარგვისა და ინტელექტუალური ერთფეროვნების წინაპირობად, რაც შემდგომში მრავალფეროვან ინტელექტუალურ შესაძლებლობებს განიზიდავს. სწორედ ამ დროს მოძრაობა ხდება შეზღუდული და „მომხარების“ მდგომარეობაში გადადის, რაც მის შესაძლო რესურსებს ამცირებს და იძულებულს ხდის, რომ სხვაზე დამოკიდებული გახდეს, ვინაიდან მას აკლია ინტელექტუალური სიმდიდრე, ინოვაციურობა, განვითარება და განახლება.

## აზროვნების სკოლები

ტერმინი „ინტელექტუალური პროექტი“ აღწერს ინტელექტუალურ განვითარებას („შენებას“) და ინდივიდის წვლილს. თუმცა, ინტელექტუალური პროექტი, შესაძლოა, იმ ჯგუფის ნიშან-თვისებას ატარებდეს, რომლის წევრებიც ერთ საერთო ინტელექტუალურ ღირებულებებს (კონსტრუქციას) იზიარებენ ან აზროვნების ერთსა და იმავე სკოლას მიეკუთვნებიან. აზროვნების სკოლა შესაძლოა იყოს რეფორმატორული ასოციაცია, რელიგიური მოძრაობა, პოლიტიკური პარტია, გარკვეული სპეციალიზაციის სამეცნიერო ჯგუფი ან ფართო ინტელექტუალური მიმდინარეობა, რომელიც საზოგადოების მნიშვნელოვან სეგმენტებს მოიცავს ან რომელიც მთლიანად საზოგადოებაში დომინირებს. აზროვნების სკოლის მიმდევრებს შეუძლიათ გაიზიარონ ერთი კონკრეტული პარადიგმა ან აზროვნების (მაგალითად, სუფიური, სალაფიტური თუ ფილოსოფიური სკოლები) მიდგომა, ან აირჩიონ სხვადასხვა პარადიგმები და მეთოდები შეხედულებების კონკრეტული სისტემის გათვალისწინებით (მაგალითად, სხვადასხვა სამართლებრივი სკოლები – „მაზნაჰიბ“). აზროვნების სკოლების მაგალითებად შეიძლება დასახელდეს მუსლიმ ძმები, ფრანკფურტის ფილოსოფიის სკოლა, ჩიკაგოს ეკონომიკური სკოლა, ვენი წრე და სალაფიტური სკოლა.

აზროვნების სკოლა ხშირად გამორჩეულია საკვანძო პიროვნებებითა და წამომწყებებით, რომელთა ნაშრომებიც შემდგომში სკოლისთვის დამონების მნიშვნელოვან წყაროდ იქცა და რომლებიც საერთო იდეებს, იმედებსა და ამბიციებს იზიარებენ, რასაც სკოლის სხვა მიმდევრებთან თანამშრომლობის დამყარების მიზნით იყენებენ. აზროვნების სკოლებს ჩვეულებ-

რივ შექმნილი აქვთ პროფესიული ან სამეცნიერო კავშირები, რომლებიც აქტიურობას იჩენენ სკოლის ნააზრევის გავრცელებისთვის ისეთი საშუალებების გამოყენებით, როგორებიცაა სამეცნიერო ნაშრომებისა და პერიოდული გამოცემების გამოქვეყნება, კონფერენციებისა და სემინარების ჩატარება.


აზროვნების სკოლის ინტელექტუალური კონსტრუირება არის იდეების (მრწამსი) და მისწრაფებების (გრძნობების) ერთობლიობა, რომელიც პიროვნებას უქმნის წარმოდგენას, უყალიბებს ხედვას საკუთარ ინდივიდუალობაზე, მის საზოგადოებაზე, საზოგადოების ისტორიაზე, ანმყოსა და მომავალზე, მის გარშემო არსებული სამყაროს რეალობასა და ამ რეალობის შესაცვლელად, ასევე მისი პრობლემების გადასაჭრელად საჭირო მეთოდების შესახებ. აზროვნების სკოლის წევრები საერთო იდეებსა და მისწრაფებებს იზიარებენ, მაგრამ ისინი, შესაძლოა, ბოლომდე არ ეთანხმებოდნენ ერთმანეთს, მითუმეტეს, თუ გავითვალისწინებთ პიროვნებებსა და მათ აზრებს შორის არსებულ ბუნებრივ განსხვავებებს. ორმა საკითხმა უნდა იარსებოს დაბალანსებული კომბინაციის სახით: ერთი მხრივ, ინტელექტუალურმა საზოგადოებებმა უნდა ითანამშრომლონ ჯგუფის, საზოგადოებისა ან უმმას საერთო მიზნების მისაღწევად და, მეორე მხრივ, უნარების, შესაძლებლობებისა და მიდრეკილებების მრავალფეროვნება უშვებს სხვადასხვა გამოცდილებების ინტეგრაციას ჯგუფებს, ინდივიდებს, საზოგადოების სეგმენტებსა და იმ თემებს შორის, რომლებიც ქმნიან „უმმას“.

## თავი მესამე

### საზოგადოების ინტელექტუალური კონსტრუქციება და უმმა

#### ინტელექტუალური იდენტობა

ტერმინი „ინტელექტუალური იდენტობა“ გამოიყენება როგორც დიდი, ისე მცირე ჯგუფების აღსაწერად. იგი განსაზღვრავს იდეების ერთობლიობას, რომელსაც ამ ჯგუფის წევრები უჭერენ მხარს, ასევე მათი აზროვნების მეთოდებსა და მათ ინტელექტუალურ განვითარებას („შენებას“), რომელიც მოიცავს მათივე შეხედულებების სისტემას, ღირებულებებსა და ქცევით მოდელს. ეს „კონსტრუქცია“ თავის ფორმას სხვადასხვა წყაროებიდან იღებს, რომლებიც ჯგუფის ისტორიულ მემკვიდრეობასთან ან საგანმანათლებლო და სოციალური მომნიშვნელების მეთოდებთან, ანდაც ზეგავლენის სხვა წყაროებთან ერთად, პოლიტიკური სისტემების მიერ თავსმოხვეულ კულტურასთანაა დაკავშირებული.





საზოგადოებები ჩვეულებრივ ესწრაფვიან თავიანთი ინტელექტუალური და კულტურული იდენტობის შენარჩუნებას და ისინი ამისათვის სხვადასხვა მეთოდებს, საშუალებებსა და პროცედურებს იყენებენ, როგორებიცაა 1) ოჯახში აღზრდა და დამოძღვრა, სადაც ინდივიდი სწავლობს მშობლიურ ენას, სოციალურ ფასეულობებსა და ნორმებს; 2) საგანმანათლებლო პროგრამები, რომლებიც ასწავლის საზოგადოების ისტორიას, სისტემებს, უფლებებსა და მოვალეობებს საზოგადოების შიგნით; 3) საჯარო ან კერძო სამოქალაქო ინსტიტუციები, რომლებიც ფოკუსირებულია კულტურულ, პოლიტიკურ და სოციალურ საკითხებზე, რაც ხელს უწყობს საზოგადოების წევრების ეროვნული იდენტობის ჩამოყალიბებას და 4) კანონები და რეგულაციები, რომლებითაც იმართებიან ადამიანები და რომლებიც მიზნად ისახავს სოციალური ერთიანობის დამკვიდრებას, საზოგადოებრივი ინტერესების დაცვასა და კანონდამრღვევთათვის სასჯელის დაკისრებას.

ასეთი მეთოდები ხელს უწყობს საზოგადოების „ინტელექტუალური კონტრუქციის“ ფორმირებას, სადაც მის წევრებს შორის არსებული საერთო აზრების, გრძნობებისა და ქცევითი ნიმუშების ერთობლიობა ხელს უწყობს ამ საზოგადოებას გამოცალკევებას სხვებისგან, რომელთაგანაც თითოეულს აქვს საკუთარი საზოგადოებრივი, ინტელექტუალური „შენობა“. უმმას ინტელექტუალური კონსტრუქცია იმ დონეზეა შედუღებული, რომ საზოგადოებები ამ უმმას შიგნით თანამშრომლობენ და იზიარებენ საერთო მეთოდებს აღზრდის, საგანმანათლებლო პროგრამების, საჯარო და კერძო ინსტიტუციებისა და ცხოვრებისეული სისტემების საკითხებთან დაკავშირებით.

მუსლიმური უმმა, თავისი კონოტაციებით, როგორც ჩამოყალიბებულია ყურანში, ჰადისებსა და ისლამურ მემკვიდრეობაში, საკუთარი ისტორიის მანძილზე ორი ტენდენციის მოწმე გახდა: პირველი იყო ერთიანობის, მთლიანობისა და სოლიდარობის გამოვლინებები. მეორე კი, შესაბამისად, – თანამედროვე რეალობაში სახელმწიფოებად, საზოგადოებებად, სექტებად, აზროვნების სკოლებად, ეთნიკურ ჯგუფებად და ენებად დაშლა. ჩვენ უნდა წარმოვისახოთ უმმას ინტელექტუალური კონსტრუქციის მნიშვნელობა ორივე მდგომარეობაში – ცალკე და კოლექტიურად.

### **ინტელექტუალური განვითარება სტაგნაცია და განახლებას შორის**

ზოგიერთი მოძრაობა იმით გამოირჩევა, რომ მისი აზროვნების სკოლის კონსტრუირება მისი დამფუძნებლების გარდაცვალების შემდეგაც მიმდინარეობს. ისინი ღრმა კავშირს ამყარებენ აზროვნებისა და საზოგადოების არსებულ რეალობასთან, ინარჩუნებენ მას მუდმივი განახლების მდგომარეობაში. მოძრაობა სტაგნაციაში მაშინ გადადის, როდესაც იგი დიდი ხნის განმავლობაში რჩება უძრავად, შესამჩნევი სიახლის გარეშე, თავის საწყის იდეებს ეჭიდება და გაბატონებულ რეალობასთან კარგავს კავშირს. განახლება („თაჯდრ“) არ ნიშნავს დამფუძნებელთა წვლილის უგულვებელყოფას ან მათი ნააზრევის უარყოფას, მეტიც, ის მოძრაობის აზრის აქტუალობის შენარჩუნების ძალისხმევაა, ვინაიდან საზოგადოების იდენტობასა და მის ინტელექტუალურ კუთვნილებასთანაა გადაჯაჭვული. განახლება მოითხოვს რევიზიას, ფორმულირების შეცვლას, რეფორმირებასა და ადაპტირებას აზროვნებისა და მეთოდოლოგიის

თვალსაზრისით, რათა გაუმკლავდეს ახლად წარმოქმნილ გამონგვევებს და ყურადღება გაამახვილოს მოძრაობის აზროვნების პროცესის დინამიკაზე. ამით კი შექმნის ბალანსის შენარჩუნების საშუალებას ამ ნააზრევის შიგნით კონსტანტებსა და ცვლილებებს შორის.

განახლება, ისლამური აზროვნების ერთ-ერთი ჰოლისტიკური ცნება და მისი ერთ-ერთი სასურველი მიზანია. იგი ფასდაუდებელი პირობაა მუსლიმი საზოგადოების არსებობის შენარჩუნებისა და ადამიანთა აზროვნების ფართო ასპარეზზე მისი ყოფნის უზრუნველსაყოფად. საპირისპიროდ, სტაგნაცია იმ საერთო შეხედულებებს ამახინჯებს, რომლებსაც ადამიანები აყალიბებენ რელიგიის, ცოდნისა და აზროვნების შესახებ. სტაგნაცია აღქმის იმ ზოგიერთ სახეობას მიეკუთვნება, რომლებიც აღარ არის საკმარისი აზროვნებისა და ცხოვრების ურთიერთმიმართების საჩვენებლად, ასევე ცხოვრების რეალობის რეფორმირებისთვის, სადაც აზრი კარგავს მის ღირებულებას და ადამიანები იძულებულნი ხდებიან ეძიონ სხვა აზრი.

ისლამურ აზროვნებაში განახლების მაგალითები მოიცავს ახალ „იჯთიჰადს“ (ძალისხმევას) ტექსტის გააზრების ან ტექსტის კონტექსტთან მიმართების ან ისლამური აზროვნების გარდაქმნის თვალსაზრისით, დაწყებული ინდივიდებისა და საზოგადოების ცხოვრების კერძო საკითხების განხილვით, გაგრძელებული უმმასა და კაცობრიობის ჰოლისტიკური მიზეზებითა და ზოგადი საქმეებით. „იჯთიჰადი“ გვხვდება რელიგიის ცოდნის პროპაგანდისა და აზროვნების ახალი კონცეპტების შემუშავების მიზნით ახალი მეთოდების გამოყენების დროს. ეს უკანასკნელი ისლამურ თემში იდეების თავისუფალ მოძრაობას უწყობს ხელს ისლამის ფარგლებს შიგნით, რაც „უმმას“ ინტე-

რესების წარმატებით რეალიზებას ემსახურება და ა.შ. ასეთი ძალისხმევა მოითხოვს ინდივიდუალური და/ან კოლექტიური საზოგადოებრივი ინტელექტუალური „შენების“ თვითშეფასებასა და პასუხისმგებლობას, რათა გამოიკვილოს, თუ როგორ იზრდება ის რაოდენობრივად და იცვლება ხარისხობრივად.

### მარკეტინგული იდეები

მარკეტინგი არის მეცნიერება საკუთარი კონცეფციებით, პრინციპებით და თეორიებით; ამასთანავე, შეუძლია იამაყოს ისეთი აკადემიური და პროფესიული წიგნებით, პროგრამებითა და დანართებით, რომლებიც დაკავშირებულია საქონლისა და მომსახურების მარკეტინგთან. ანალოგიურად, არსებობს იდეების მარკეტინგი, რომელიც ცოდნის მნიშვნელობის გააზრების შედეგად გაჩნდა და რომლის განვითარებისა და წარმოების პროცესებმაც შესაძლოა მატერიალური შედეგი გამოიღოს. შესაბამისად, არსებობს პატენტები და საავტორო უფლებები, რომლებითაც ხდება იდეის მფლობელის უფლებების რეგისტრირება, და იმ სარგებლისა, რომელიც მათგან შეიძლება მომდინარეობდეს საქონლისა და მომსახურების ბაზარზე. შესაბამისად, აქ ჩნდება ინტელექტუალური საკუთრების და ცოდნის ეკონომიკის კონცეპტები.

იდეის ღირებულება ვერ რეალიზდება, სანამ იგი არ გასაჯაროვდება, გავრცელდება და არ გახდება საზოგადოების კულტურის მნიშვნელოვანი ელემენტი, ან პოლიტიკურად გაზიარებული პერსპექტივა, ანდაც სპეციფიკური სამომხმარებლო პრაქტიკა. ტერმინი „მარკეტინგული იდეები“, თავისი კონოტაციით, მსგავსია იდეების გავრცელების სხვა საშუალებებისა, როგორებიცაა განათლება, აღზრდა, კომუნიკაციები, პროპაგანდა, „ტვინების გამორეცხვა“, გონებრივი დაპროგრამება და

ინტელექტუალური თავდასხმა. მიუხედავად ამისა, ტერმინი „მარკეტინგული იდეები“ ხაზს უსვამს გავრცელებული ან მარკეტინგული იდეების პრაქტიკულ ღირებულებასა და სასურველ სარგებელს.

როგორ უნდა მიხვდეთ ფლობთ თუ არა შესანიშნავ იდეებს, თუ ეს იდეები ქცევისა და ქმედების სახით არ ვლინდება, ან, თუ ამ იდეებს არ გამოხატავთ არ სიტყვებით ან წერილობით? იდეების ღირებულება – მიუხედავად მათი ფასეულობისა – შეიცნობა მხოლოდ ამ იდეების შემქმნელიდან მიმღებამდე ტრანსმისიით ან მისი აზრიდან ქმედებასა და შედეგში გადასვლით.

ადამიანის იდეებს თანაბარი ადგილი არ უჭირავთ საზოგადოებაში, ისინი ვარირებენ მნიშვნელობის, გამჭვირვალობის, სიღრმისა და თვითმყოფადობის ხარისხის თვალსაზრისით. არსებობს მარტივი იდეები, რომლებიც არ იწვევს ცვლილებებს და არსებობს ინოვაციური იდეები, რომლებიც რევოლუციური გზით გარდაქმნის ცოდნას, ქცევასა და საგნებს. წიგნებში ჩამოყალიბებული მეცნიერებები ისეთი იდეებია, რომლებმაც სისტემატიზაციის, კვლევისა და ცდების სტადია გამოიარა. წარმოების, ინდუსტრიებისა და გამოგონებების განვითარება, როგორებიცაა სატრანსპორტო და საკომუნიკაციო საშუალებები, არსებითად, იდეების პრაქტიკულ გამოყენებას წარმოადგენენ, ისე როგორც პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური საქმიანობები იდეების გამოყენებაა. სწავლება და სწავლაც არსებითად იდეების გადაცემის პროცესებია. რასაც ჩვენ ვხედავთ, გვესმის და ვკითხულობთ მედიასაშუალებებით, იდეების გავრცელებას ემსახურება, რომელთაგანაც ზოგი სიმართლე, ზოგი კი – სიცრუე შეიძლება იყოს. ანალოგიურად, ცვლილებების მომხრე რეფორმატორები ჩართულნი არიან ინტელექტუალურ ინიციატივებში, ხოლო ლიდერები მოიპოვებენ ძალასა და

გავლენას საზოგადოებაში თავიანთი იდეებითა და მათი პრაქტიკაში დანერგვის გზით. ამრიგად, ისეთი ინსტიტუციები, როგორებიცაა სკოლები და უნივერსიტეტები, გამომცემლობები, მედიასაშუალებები, სასწავლო ცენტრები, პოლიტიკური პარტიების პლატფორმები და სხვა, იდეების მარკეტინგისთვის ხელსაყრელ საშუალებებს წარმოადგენენ.<sup>30</sup>

### **„უმმასთვის“ ინტელექტუალური და სამეცნიერო ხელმძღვანელობის საჭიროება**

მეცნიერებები ადამიანის აზროვნების პროდუქტია, რომელიც გაჩნდა ორგანიზების, ანალიზის, მოდიფიკაციისა და ცდების საფუძველზე, რამაც იგი იმ დონემდე სრულყო, რომ თითოეულ მეცნიერების დარგში სპეციალიზებული სამეცნიერო ჯგუფისათვის მისაღები გახადა. ეს სამეცნიერო ხელმძღვანელობები ქმნიან შეხედულებების სისტემას იმის დასადგენად, თუ რა უნდა გახდეს ამ მეცნიერების ნაწილი და რა – არა. ინტელექტუალური და სამეცნიერო ხელმძღვანელობები ცოდნის ნაწილობრივ ათვისების მარტივ უნარს გარდაქმნიან ამ ცოდნისა და პოტენციალის ყოვლისმომცველი და პერსპექტიული ხედვების განვითარებისა და გამოყენების უნარად. ამას ისინი აკეთებენ არსებული ინფორმაციის კრიტიკულად გააზრების გზით, მისი საზღვრების გამოკვეთითა და ახალი და რელევანტური ინფორმაციის დამატების წყალობით.

### **„უმმას“ ინტელექტუალური ხელმძღვანელობა**

მუსლიმური „უმმა“ უკანასკნელი საღვთო წერილის მატარებელია და მკაფიო წინასწარმეტყველური წინამძღოლობის მემკვიდრეა. ამ გზავნილის წყარო დაცულია; იგი არაა შერყენი-

ლი ან შეცვლილი. ღმერთმა მუსლიმ საზოგადოებებს დააკისრა ინტელექტუალური წინამძღოლობის მისია. ისტორიულად უმამამ ეს მისია ეფექტურად შეასრულა, შექმნა რა ხელმძღვანელობის, სიქველისა და სამართლიანობის საზოგადოება და გახდა ცოდნისა და პროგრესის კერა, რომლის ინსტიტუტებსა და კოლეჯებშიც ცოდნის მაძიებლები მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან მოდიან, რათა შეიძინონ ცოდნა სხვადასხვა სფეროებში და შეისწავლონ ცივილიზაციური ქცევის უამრავი მნიშვნელობა და მაგალითი მენეჯმენტური, ადმინისტრაციული, ორგანიზაციული და სოციალური ურთიერთობების დარგებში. რა ღირებულების მქონე იქნება ადამიანის განვითარებისთვის „უმმა“, თუ იგი ვერ შეძლებს მასზე დაკისრებული მისიის შესრულებას?

### **სპეციალიზებული ინტელექტუალური წინამძღოლები**

გამორჩეული სპეციალიზებული წინამძღოლები მუსლიმური უმმას ფარგლებში გაჩნდნენ, ყველაზე თვალსაჩინოდ ცოდნის, მეცნიერებისა და აზროვნების სფეროებში. სამოციქულო მემკვიდრეობის შენარჩუნების მგზნებარე სურვილმა გამოიწვია სპეციალიზებული წინამძღოლების გაჩენა, ისლამური ისტორიის პირველივე დღეებიდან, რომლებმაც ჩაინერეს ჰადისები და შუამავლის ბიოგრაფია და რომელნიც დახელოვნებული იყვნენ ჰადისების გადმოცემის, ავთენტურობის დადგენის და კვლევის სფეროებში. ამან საფუძველი ჩაუყარა ჰადისის ახალ მეცნიერებებს, რომელთა მკვლევრებიც, ისლამური აზროვნების სხვადასხვა სკოლებში, აზროვნების სკოლის ინტელექტუალური წინამძღოლები გახდნენ. სხვა ინტელექტუალური წინამძღოლები გამოირჩეოდნენ იურისპრუდენციის დარგებში, რომელთა შორის იყვნენ აზროვნების ოთხი სკოლის, ეგზეგეზის („თაფსირ“)

სკოლის, დოქტრინის („აკრდა), თეოლოგიისა („ქალპმ“) და მისტიციზმის („თასავეუფ“) იმამები. ინტელექტუალური წინამძღოლები არ შემოიფარგლებოდნენ მხოლოდ რელიგიური მეცნიერებებით, არამედ მათ ასევე გააფართოვეს მედიცინის, ასტრონომიის, ოპტიკის, ქიმიის, მეურნეობისა და სხვა საბუნებისმეტყველო, გამოყენებითი და სოციალური მეცნიერებების ჰორიზონტები.

### **ინსტიტუციები და ინტელექტუალური წინამძღოლობა**

თავდაპირველად, მეჩეთი იყო ინსტიტუცია, სადაც ხდებოდა სწავლულთა აღზრდა-განათლება. შემდგომში მისი ფუნქციები გაფართოვდა და დღევანდელ უნივერსიტეტებს დაემსგავსა. ადრეული საგანმანათლებლო მეჩეთის მაგალითებად შეგვიძლია დავასახელოთ აზ-ზაძთუნას მეჩეთი თუნისში, ალ-კარავიდინის მეჩეთი ფესში და ალ-აზჰარის მეჩეთი ეგვიპტეში. მუსლიმებმა ასევე დააარსეს სხვადასხვა სამეცნიერო სფეროსთვის განკუთვნილი საგანმანათლებლო ინსტიტუციები სწავლებისა და სპეციალიზაციის მიზნით, მათ შორის ობსერვატორიები, სასწავლო საავადმყოფოები და საჯარო ბიბლიოთეკები წიგნების შესანახად, გადასანერად და სათარგმნად. ასეთია ბაით ალ-ჰიქმა ბაღდადში და დარ ალ-ჰიქმა კაიროში.

### **ინტელექტუალური ელიტები: ევროპული რენესანსის საფუძველი**

ევროპამ აღიარა ისლამური სამყაროს მიღწევები, განსაკუთრებით ევროპელი დიპლომატიური დელეგაციების გაგზავნის საშუალებით მუსლიმთა სამეფო კარებზე, პირდაპირი კონტაქტების გზით ანდალუსიის ესპანეთთან და სიცილიასთან,



მოგვიანებით კი, ჯვაროსნული ლაშქრობების მეშვეობით. ევროპელმა მონარქებმა გაგზავნეს სტუდენტთა დელეგაციები მეცნიერებების, კულტურისა და დაკვირვების სფეროებში ცოდნის მოსაპოვებლად. ახ. წ. მეთორმეტე საუკუნისთვის ინტელექტუალურმა ავანგარდმა ფორმირება დაიწყო ევროპის სხვადასხვა სამეცნიერო სფეროში. ამ წინამძღოლებმა საფუძველი ჩაუყარეს ინტელექტუალურ ელიტებს, აზროვნების სკოლებსა და საგანმანათლებლო დაწესებულებებს, რომლებმაც სტუდენტები შეამზადა ევროპული ცხოვრების, ყველა სფეროში გავრცელებული, ჩამორჩენილი გარემოებების ტრანსფორმაციისათვის, რასაც ევროპული რენესანსი მოჰყვა.

### **ინდივიდუალური გამჭრიახობა ინტელექტუალური წინამძღოლობის საფუძველია**

თითოეული გამორჩენილი სწავლული ინტელექტუალურ წინამძღოლობას ამყარებს საკუთარ დროსა და სივრცეში. თითოეული სფეროს სპეციალისტები მათ შესაბამის სფეროში ინტელექტუალურ ლიდერებს წარმოადგენენ. პიროვნების როლი სამეცნიერო და ინტელექტუალურ საქმიანობაში განუზომელია. აქ აზრი შემოქმედებითი, განახლებადი და რევოლუციური ხედვაა, რომელიც, პირველ რიგში და დიდწილად მოაზროვნის მიერაა ჩამოყალიბებული<sup>31</sup> – იქნება ეს ინდივიდუალური ინიციატივისა და გულმოდგინების თუ კამათის, დისკუსიისა და სხვებთან ერთად განხორციელებული კვლევის შედეგი. როდესაც სამეცნიერო სფეროში იდეები ყალიბდება, მათი საწყისი ხდება მარგინალური საკითხები. ასეთი იდეები მხოლოდ მაშინ გახდება სამეცნიერო სფეროს განუყოფელი ნაწილი, როდესაც სპეციალიზებული სამეცნიერო ჯგუფი აღიარებს მათ და ამ სფეროს არსებით ელემენტად ჩათვლის. ზრდის, განვითარების და რევიზიისთვის სივრცე ყოველთვის ღიაა ნებისმიერ სფეროში

და ნებისმიერ დროს, როცა კი მოაზროვნე თავისი აზრის სისრულეში მოიყვანს და ახალ ცოდნას გამოიმუშავებს თავის სფეროში.

ადამიანის აზროვნება მხოლოდ იმ სპეციალიზებული მეცნიერებებით არ შემოიფარგლება რომლებიც ჩვენთვისაა ცნობილი (ინტრადისციპლინური), არამედ იგი შეიძლება იყოს ინტერდისციპლინური, დისციპლინათშორისი, მულტიდისციპლინური და ტრანსდისციპლინური. ინდივიდ სპეციალისტებს (მეცნიერებსა და მოაზროვნეებს) შორის თანამშრომლობა თვალსაწიერის გაფართოების გასაღებია. ერთი მხრივ, მეცნიერები უზრუნველყოფენ სპეციალიზებულ ცოდნას რეალობაში არსებული პრობლემების შესახებ, მეორე მხრივ კი, მოაზროვნეები ცდილობენ განჭვრიტონ პრობლემის გადაჭრის შესაძლო გზები ამ რეალობის გამოსწორების მიზნით. ამიტომ, ინტელექტუალური წინამძღოლობა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით ტრანზიციისა და ტრანფორმაციის დროს, რომლებსაც საზოგადოებები განიცდიან.

### **უნივერსიტეტი, როგორც საზოგადოების ინტელექტუალური მმართველობის პლატფორმა**

ისტორიის განმავლობაში უდიდესი ცვლილებები განიცადა უნივერსიტეტის ცნებამ და მისმა მისიამ ადამიანთა საზოგადოებაში. დღესდღეობით უნივერსიტეტი საზოგადოების განუყოფელი ნაწილია იმ სამი ფუნდამენტური ფუნქციის გამო, რომლებიც მას გააჩნია, ესენია: განათლება, მეცნიერული კვლევა და საზოგადოების სამსახური. სამივე მნიშვნელოვან მისიასთან მიმართებით უნივერსიტეტს დღეს ლიდერის პოზიცია უკავია, შეიმუშავებს პერსპექტიულ ხედვებს, უზრუნველყოფს ინტე-

ლექტურული პროდუქტიულობას, რაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია საზოგადოების აწმყოსა და მომავლისთვის.

პედაგოგები და უნივერსიტეტის პროფესორები ასევე არიან ოჯახების, თემების, სოციალური და სპორტული კლუბების, მოხალისეთა ორგანიზაციებისა და პოლიტიკური პარტიების წევრები. ამიტომ ხალხი მიმდინარე მოვლენების გაცნობიერებისთვის მათგან შეფასებას მოელის, და მიიჩნევს, რომ რომ ისინი ბრძნულად იმოქმედებენ სხვადასხვა სიტუაციებთან მიმართებაში. ეს ნამდვილად არის ხელმძღვანელობის ის ფუნქციები, რომლებსაც შესაძლოა პედაგოგები საკუთარი ნებით არ ირჩევენ და ეთანხმებოდნენ, მაგრამ, ამის მიუხედავად, მათ გარშემო არსებული საზოგადოება სწორედ ამას მოელის და მოითხოვს მათგან. პედაგოგები თავიანთ ცოდნასა და გამოცდილებას, ხშირად, წიგნებში და სტატიებში გამოხატავენ, რისი საშუალებითაც ისინი საზოგადოებას უზიარებენ საკუთარ მოსაზრებებსა და სამომავლო ხედვებს სპეციფიკურ საკითხებთან მიმართებაში. ამ ნაშრომებში სპეციალიზებული ცოდნა, პრაქტიკული გამოცდილება და პერსონალური ხედვა ერთიანდება. საზოგადოების ინტელექტუალური წინამძღოლობა სამეცნიერო ინოვაციების ანარეკლია, რაც სწავლულებმა სხვადასხვა საბუნებისმეტყველო, ტექნოლოგიური, სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებებიდან მოიპოვეს. იგი ასევე იმ სულისკვეთების ანარეკლია, რომელსაც ეს მეცნიერებები საზოგადოების იმ რწმენებისგან ითვისებენ, რომლებიც მათ სხვა საზოგადოებებისაგან გამოარჩევს. სწორედ ამ მოცემულობიდან ჩნდება ინტერესი ისეთი ინსტიტუციების მიმართ, რომლებიც ინდივიდების ან კვლევითი ჯგუფების ინოვაციურობას უწყობს ხელს, როგორებიცაა უნივერსიტეტები ან სამეცნიერო-კვლევითი ცენტრები. მართლაც სამწუხაროა, რომ არაბულ და მუსლიმურ

ქვეყნებში უნივერსიტეტებმა არ დაადასტურეს თავიანთი შესაძლებლობები სამეცნიერო და ინტელექტუალური მიღწევების თვალსაზრისით; არც ის ცივილიზაციური ხასიათი გამოავლინეს, რომელიც მათ ინტელექტუალურ იდენტობას გამოხატავს და არც მართვასა და ადმინისტრირებაში, და დამხმარე სისტემების სამეცნიერო და ინტელექტუალური წინსვლის გაადვილებაში გამოიჩინეს თავი. სინამდვილეში, მათ მარცხი განიცადეს, სწორედ, იმ საზოგადოებებში, რომლებიც მხარს უჭერდნენ და ამხნევებდნენ მათ.

### **ინტელექტუალური კაპიტალი**

ტერმინი „ინტელექტუალური კაპიტალი“ ეკონომიკისა და მენეჯმენტის მეცნიერებებში მეოცე საუკუნის ბოლო მეოთხედში გაჩნდა, როდესაც მკვლევრებმა ეს ტერმინი განასხვავეს სხვა ტექნიკური ტერმინებისგან, როგორებიცაა: ბუნებრივი კაპიტალი (ბუნებრივი რესურსები); მატერიალური კაპიტალი (ფული და აქტივები); სოციალური კაპიტალი (სოციალური ურთიერთობები და ქსელები) და ადამიანური კაპიტალი (ადამიანთა აქტივობები, ცოდნა და უნარები). ინტელექტუალური კაპიტალი ვლინდება გარკვეული ორგანიზაციის იმ გამორჩეულ წევრებში, რომლებიც ფლობენ ცოდნასა და ორგანიზაციულ უნარებს, რომელთა საშუალებითაც ისინი შეიმუშავებენ ახალ იდეებს ან აუმჯობესებენ ძველებს, რათა შესაძლებლობები არ გაუშვან ხელიდან. ინტელექტუალური კაპიტალის მნიშვნელოვნება გამომდინარეობს იქიდან, რომ ცოდნა, მეცნიერება და გონება ყველაზე ღირებული საფუძვლები გახდნენ შეჯიბრში ჩართული ძალებისთვის.<sup>32</sup>

ინტელექტუალური კაპიტალი წარმოაჩენს იმას, თუ რა ისეთი განსაკუთრებული ინტელექტუალური უნარ-ჩვევები გააჩნია ჯგუფს, რომლებიც მას სხვებისგან გამოარჩევს განახლებისა და შემოქმედებითი იდეების თვალსაზრისით. მნიშვნელოვანია, რომ ეს კაპიტალი წარმოადგენდეს განახლებად და აქტივიზების უნარის მქონე ელემენტს, რაც უზრუნველყოფს უწყვეტ პროგრესს და საზოგადოების სრულქმნას. მაგრამ თუ მისი წყარო დაიშრიტება და მისი განახლებისა და ინოვაციურობის უნარი გამოილევა, მაშინ იგი დაკარგავს ღირებულებას. კითხვა, რომელიც უნდა დავსვათ, შემდეგია: აქვს თუ არა მუსლიმურ „უმმას“ საკმარისი ინტელექტუალური კაპიტალი, რათა გახდეს კულტურულ-ცივილიზაციური თვალსაზრისით მდიდარი – სრულყოფილების მისაღწევად და ლიდერის პოზიციის დასაკავებლად? „უმმა“ სრულყოფილება და პროგრესი განხორციელდა მაშინ, როდესაც ის ყურანით და სუნათი ხელმძღვანელობდა, მაგრამ დაიკარგა მაშინ, როდესაც უმამ ამ სახელმძღვანელოებს ზურგი აქცია. „უმმა“ განახლებადი კაპიტალი არის ყურანი, მისი სამოციქულო მითითებები და მასთან დაკავშირებული უმდიდრესი სამეცნიერო მემკვიდრეობა. ეს ინტელექტუალური კაპიტალი არ დაკარგულა, რადგანაც იგი ისეთი დომინანტური შეხედულებების სისტემაა, რომელიც სტიმულს აძლევს განახლებადი იდეების შემუშავებას, ხელს უწყობს უწყვეტ შემოქმედებითობას, ინოვაციურობასა და აღმოჩენას და ამალღებს „თაჯდრდისა“ და „იჯთიჰადის“ სულისკვეთებას ნებისმიერი მეცნიერების მიმართულებით, იქნება ეს საბუნებისმეტყველო, სოციალური თუ ფსიქოლოგიური. თუ ეს ინტელექტუალური კაპიტალი ქმედებისა და ზემოქმედების მასტიმულირებელი ვერ გახდება, მაშინ კაპიტალის ვერცერთი ფორმა ვერ მიაღწევს ვერც პროგრესს და ვერც სრულყოფილებას.

## თავი მეოთხე ისლამური ინტელექტუალური განვითარების (კონსტრუქციების) ასახვა

„ინტელექტუალური შენების“ ამსახველი წყაროების, თემების, ტესტებისა და მეთოდების მრავალფეროვნება, აზროვნების პროცესში, ერთიანობისა და ბალანსის მიღწევისა და იმ მონოთეისტური ხედვის ჩამოყალიბების საშუალებას გვაძლევს, რომელიც ისლამურ ინდივიდუალიზმს ახასიათებს. „ინტელექტუალური შენების“ მეთოდი დამოკიდებულია იმ ძირითადი კატეგორიების მრავალფეროვნებაზე, რომლებსაც ზოგადი ინტელექტუალური სქემების ფორმით წარმოვადგენთ. სქემა ის ილუსტრირებული გეგმაა, რომელიც წარმოაჩენს საფუძვლებსა და კონცეპტების წყებას – მათ პოზიციებსა და ურთიერთდამოკიდებულებებს იმ სახით, რომელიც აჯამებს მთავარ იდეას და საშუალებას აძლევს მკითხველს განავითაროს ამ იდეის კონცეპტუალური და შემეცნებითი სურათი – აზროვნების სტრატეგია, რასაც „მეტაკოგნიციას“ უწოდებენ.

### ინტელექტუალური განვითარების წყაროების სქემა

პიროვნება, რომელსაც „ინტელექტუალური შენების“ ბილიკის გაკვალვა სურს, ეძიებს ინფორმაციის, მონაცემებისა და ცოდნის საჭირო წყაროებს. დღესდღეობით, ინფორმაციის სხვადასხვა წყაროა ხელმისაწვდომი. ეს არის ადამიანები, წიგნები, ჟურნალები, პერიოდული გამოცემები და ვებგვერდები. ცოდნის წყაროების კატეგორიებში შედის:

- სპეციალიზებული ცოდნის წყაროები (დისციპლინები), რომლებიც ხელს უწყობს სპეციალიზებულ დისციპლინაში ცოდნის დაგროვებასა და განვითარებას;
- წყაროები დისციპლინურ კულტურაში, რომელიც წარმოადგენს სპეციალობის გაფართოებას, მაგრამ გამარტივებულია არასპეციალისტებისა და ფართო საზოგადოებისათვის (მაგალითად: წიგნები სამედიცინო, ტექნოლოგიური, სამართლებრივი კულტურის შესახებ და ასე შემდეგ...);
- ზოგადი კულტურის წყაროები, რომლებიც არ არის კლასიფიცირებული კონკრეტული დისციპლინის ფარგლებში, მაგრამ მოიცავს ინფორმაციის, თეორიებისა და ზოგადი კულტურული ცხოვრების საჭირო კონცეპტებს (მაგალითად: ისტორია, გეოგრაფია, პოლიტიკა, ეკონომიკა, მედია, ხელოვნება და ასე შემდეგ...);
- ინტელექტუალური ინფორმაციის წყაროები, რომლებიც, ძირითადად, აზროვნების კონკრეტულ სკოლებთანა დაკავშირებული ან ამგვარი სკოლების კრიტიკულ ანალიზს იძლევა. ეს წყაროები, ნაწილობრივ, ემთხვევა ზოგადი კულტურის წყაროებს, მაგრამ ისინი უფრო სპეციფიკური, განსაზღვრული და სიღრმისეულია.

### **ინტელექტუალური შენების ძირითადი საკითხების სქემა**

ისლამურ კონტექსტში უკიდურესი საჭიროებაა წიგნების, სწავლისა და დებატების (რომელიც ინტელექტუალურ შენობას წარმოქმნის) წარმართვისა, რათა მოხდეს ჰოლისტიკური მსოფლმხედველობის რეკონსტრუირება და ინდივიდს საშუალება მიეცეს გაიზაროს საკითხები – განსაკუთრებით ის სადავო თემები, რომლებიც ისლამური მსოფლმხედველობის ფარგლებში წა-

მოიჭრა და რომლებიც სიცხადით, ინტეგრირებულობით და მუდმივობით ხასიათდება. აღნიშნულ საკითხებს შორისაა, მაგალითად:

- „უმმას“ შენების საკითხები, რომლებიც მოიცავს ენას, რელიგიასა და ისტორიას. ეს საკითხები გავლენას ახდენს ინდივიდის, საზოგადოებისა და „უმმას“ იდენტობაზე და განსაზღვრავს ამ იდენტობის ურთიერთქმედებას სხვა ქვეიდენტობებთან და აფილაციებთან, როგორებიცაა ნაციონალიზმი, ტრაიბალიზმი, სექტარიანიული კუთვნილება და სხვა.
- წინააღმდეგობრივი თემები და საკითხები, რომლებიც დებატების საგანი უნდა გახდეს: თანამედროვე მედია ხალხს აცნობს ახალ ამბებსა და მოვლენებს მთელი მსოფლიოდან და ისეთ საკითხებსა და პრობლემებს წამოჭრის, რომლებიც დიდ დებატებს იწვევს. მოაზროვნისთვის საჭიროა ამ საკითხებში ჩაწვდომა და გარკვეული პოზიციის ჩამოყალიბებაც მათ მიმართ. (მაგალითად: საგარეო ურთიერთობები, რელიგიური თავისუფლება, თანაარსებობა, ქალთა ემანსიპაცია, ეკონომიკა, განვითარება და ასე შემდეგ...).
- ინტელექტუალური საკითხების რეპერტუარი: ხელს უწყობს ჰოლისტიკური ხედვის ჩამოყალიბებას და დაბალანსებული ინტელექტუალური კონსტრუქციის წარმოქმნას. ასეთი საკითხები ბევრია, მათ შორისაა: ა) ნაშრომები რეფორმატორულ და აღორძინებისკენ მიმართულ აზროვნებაში, რომლებიც ეხება აზროვნების, ქცევის, ცივილიზაციის, ისტორიის, ფილოსოფიის საკითხებსა და მათ ზეგავლენას; ბ) შესავლები სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებებში, ზოგადი ცნებების, წარ-



მოდგენების, კანონების, თეორიებისა და მათი პრაქტიკული გამოყენების ჩათვლით, პრობლემების აღმოჩენისა და გადაჭრის მიზნით (სოციოლოგიის, პოლიტიკური მეცნიერებების, ჟურნალისტიკის სფეროები) და გ) ლიტერატურა ცვლილებების მეცნიერებებზე, როგორცაა განვითარება, აზროვნების პროცესები, ქცევა, სწავლა, ზრდა და შეცვლა.

ადამიანის აზროვნების ცოდნის შინაარსი ნებისმიერ დისციპლინაში ვარირებს რაოდენობრივი მოცულობისა და თვისებრივი მახასიათებლების მიხედვით. ამ განსხვავებულ დონეებს შორის სტრუქტურული და ფუნქციური ურთიერთობები არსებობს. ცოდნის ამ შინაარსის მთლიანობა შესაძლოა წარმოდგენილი იყოს პირამიდული სტრუქტურის სახით, თავისი ფუძითა და წვეროთი. ნებისმიერი მეცნიერების ფაქტები (და ისინი ბევრია) ფუძეში ძევს. ადამიანის გონება ერთმანეთთან აკავშირებს ფაქტების დიდ რაოდენობას, რომელთაც საერთო მახასიათებლები გააჩნია და მათ ტერმინი „კონცეპტით“ აღწერს.<sup>33</sup> კონცეპტებს პირამიდაში ფაქტების მომდევნო ზედა საფეხური უკავიათ. ცოდნა კორელაციურ და კაუზალურ ურთიერთმართებას ადგენს იმ კონცეპტებს შორის, რომლებიც ფორმულირებულია, როგორც პრინციპები, წესები და მათემატიკური განტოლებები და რომლებიც მეცნიერებაში კანონებს წარმოადგენს. კანონები მესამე დონეს იკავებს პირამიდაში. ფაქტები, კონცეპტები და კანონები აღწერილობით დონეს წარმოადგენენ, რომლებიც გამოხატავენ საგანთა რეალობას. შემეცნებითი პირამიდის წვეროს თეორიების დონე იკავებს, რომელიც საგნების არსებობის მიზეზს ხსნის იმ სახით, როგორცაა ისინი არსებობენ. თეორიები მოიცავს პრინციპებს, რომლებიც ხსნის მეცნიერების ფენომენს.

სხვა მეთოდში, რომელიც ნებისმიერი დისციპლინური ცოდნის დონეებს წარმოადგენს, ცოდნის უმარტივესი ფორმები გამოხატულია *მონაცემებით*, რომლებიც ცოდნის პირამიდაში ფაქტებს შეესატყვისება. ხოლო, ცალკეულ საკითხთან დაკავშირებულ მონაცემთა ერთობლიობა გამოხატულია *ინფორმაციის სახით*.

თუ ინფორმაცია განსაკუთრებული მიზნითაა გამოყენებული, მაშინ იგი მალდება ცოდნის დონემდე. ცოდნის გამოყენებას საკუთარი თავისა და საზოგადოების წინსვლისათვის და მთავარ ეგზისტენციალურ კითხვებზე პასუხის გაცემისთვის მეოთხე დონემდე მივყავართ, რომელიც გამოხატულია, როგორც *სიბრძნე*. აქ, წინა პირამიდასთან საპირისპიროდ, ჩვენ ამ დონის ურთიერთობებს წარმოვადგენთ მნიშვნელოვნებისა და ფუნქციის საფუძველზე – ამობრუნებული პირამიდის სახით და ღია და უსასრულო ჰორიზონტით.

### **ინტელექტუალური განვითარებისთვის (შენებისთვის) საჭირო საშუალებების სქემა**


ინტელექტუალური განვითარების უამრავი საშუალება და ხერხი არსებობს. მაგალითად, არის კითხვა პირველადი საქმიანობა ინდივიდის კულტურული და ინტელექტუალური ფორმირების შესწავლისა და საზრდოობისთვის. კითხვაში არ ვგულისხმობთ გართობას, არამედ უფრო შინაარსობრივ, მიზანმიმართულ და სისტემურ კითხვას (მაგალითად, მჭვრეტელობითი, მეხსიერებასთან დაკავშირებული, პოლისტური ან კრიტიკული კითხვა); კითხვის ისეთი სახეობა, რომელიც ნაკითხული ტექსტის დეტალებს ათავსებს თავის დამონშემების სტრუქტურაში,

ხოლო ამ სტრუქტურას – ეპისტემოლოგიურ სისტემაში, რომელსაც იგი ეკუთვნის.

შემთხვევითი არ არის, რომ კაცობრიობისთვის ზეგადმოვლენილ ღვთის საბოლოო წიგნში პირველი სიტყვაა იმპერატიული ზმნა „იკრა“ (კითხვა). ეს ბრძანება ზედიზედ ორჯერ მეორდება; პირველად შესაქმნისის ღმერთის სახელით ნაკითხვას ეხება, მეორედ კი ჩანერილი გამოცხადების ნაკითხვას: „იკითხე, შენი ღმერთის სახელით, რომელმაც გააჩინა! მან გააჩინა ადამიანი შედედებული სისხლისგან! იკითხე! ღმერთი შენი უსასრულო კეთილშობილების პატრონია, რომელმაც კალმით (წერა) შეასწავლა! შეასწავლა ადამიანს ის, რაც მან არ იცოდა“ (96:1-5). ამრიგად, ის, რაც ნაკითხულია, გამოხატულია ღმერთის უთვალავ ქმნილებებში, მათ შორის ადამიანებშიც. ის, რაც ნაკითხვადია „დანერილია კალმით“, რაც ცოდნისა და სწავლის გასაღებია, იქნება ეს ზეგადმოვლენილი წიგნები, შუამავალთა მიერ გამოცემული თუ სწავლულის ხალხის მიერ ჩანერილი.


ინტელექტუალური კონსტრუქცია მაშინ იძენს ძალმოსილებას, როდესაც ზოგიერთი ტექსტის დროთა განმავლობაში არაერთხელ იკითხება, ან იკითხება ზემოთ ნახსენებ ცოდნის სხვა წყაროების ტექსტებთან ერთად. ამ დროს, მიმდინარეობს განჭვრეტის, დამახსოვრების, დაბალანსების, შედარებისა და ინტეგრირების პროცესები. როდესაც მკითხველი თავის ინტელექტუალურ კონსტრუქციას ახალ იდეებს ამატებს და კითხვიდან წერაზე პროგრესულად გადადის, სავარაუდოდ, მას უნდა ჩამოუყალიბდეს კონტროლირებადი, ორგანიზებული და დახვეწილი იდეები, რის შედეგადაც იქმნება ჩანერილი ცოდნა და ღირებული მასალა, რომელსაც სხვები ნაკითხავენ.

კითხვა საფუძველია ინტელექტუალური შენების პროცესისთვის საჭირო სხვა უმრავლესი საშუალებებისთვის, როგორებიცაა წერა, განჭვრეტა და მეხსიერება. დებატები ასევე საშუალებაა „თაფაქურის“ (აზროვნებაში სხვებთან ერთად ჩართულობა) და „თასაქურის“ (გახსენებაში სხვებთან ერთად ჩართულობა) ინტელექტუალური ინტერაქციისათვის. ამ საშუალებებით ხდება იდეების კრისტალიზაცია და ლექციების, კონფერენციებისა და კვლევის საგნად ქცევა. ამრიგად, ინტელექტუალური კონსტრუქცია, ისე როგორც ინტელექტუალური შენების პროცესი, მუდმივია. ამ პროცესის კიდევ უფრო გაღრმავებისთვის აუცილებელია სწავლულებთან, მოაზროვნებთან, რეფორმატორებთან, ფილოსოფოსებთან, მისტიკოსებსა და მნიშვნელოვან გამოცდილებებთან კავშირი. ადამიანმა უნდა იმოგზაუროს, რათა შეხვდეს მათ და ისწავლოს მათგან.



**ცოდნის პირამიდა და ცოდნის ფუნქცია**

ინტელექტუალური შენობის კოლექტიური რუკა



## „ინტელექტუალური შენების“ საზომი სქემა

ინტელექტუალური შენებისას პროგრამის შემუშავებასა და განხორციელებაზე არანაკლებ მნიშვნელოვანი მისი ეფექტიანობის შეფასების პრაქტიკაა. ინტელექტუალური საქმიანობის, გაზომვისა და ტესტირების ორი სახის უკიდურესი აუცილებლობა არსებობს: 1) საზომი საშუალებები, რომლებიც აფასებს აზროვნების პროცესებს და ინდივიდსა და ჯგუფში გამოვლენილი გონებრივი უნარების ხარისხს და 2) საზომი საშუალებები, რომლებითაც ფასდება ინტელექტუალური კონსტრუქციის შეძენილი შინაარსის დონე. მაგალითებში შედის ექსპერიმენტები, რომლებიც ადგენს უნარებს მეცნიერების, ლოგიკის, შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნების, პრობლემების გადაჭრის შესაძლებლობების ან ჩარჩოებს მიღმა აზროვნების თვალსაზრისით.

ამგვარი ტესტირებების თვისებრივი და რაოდენობრივი სტრუქტურები, ძირითადად, ფსიქოლოგიისა და განათლების სფეროების დასავლურ წყაროებშია ფესვგადგმული. ძალისხმევამ რომ ეს ტესტირებები მუსლიმური ქვეყნების მეცნიერებასა და აკადემიურ საქმიანობაში დანერგილიყო, მარცხი განიცადა და მათი გამოყენება მხოლოდ ენაში, მათემატიკასა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში მოხერხდა. მცირე ძალისხმევას თუ მიმართეს სოციალური მეცნიერებების და, კიდევ უფრო ნაკლები ისლამური მეცნიერებების, განსაკუთრებით კი ისლამური აზროვნების მიმართულებით.

თანამედროვე არაბული ისლამური აკადემიური საზოგადოება მოისაკლისებს სტანდარტულ საზომ საშუალებებს უმრავლეს სფეროებში, განსაკუთრებით ფსიქოლოგიური და გონებ-

რივი გაზომვის თვალსაზრისით. საგანმანათლებლო და სასწავლო პროგრამები, ინტელექტის საზომი ტესტები, დაკვირვების ხელსაწყოები, ასევე გაზომვებისა და შეფასების საშუალებები, რომლებსაც ამგვარი ინსტიტუციები იყენებენ, ძირითადად ინტელექტუალურ და კულტურულ იმპორტს წარმოადგენს. მუსლიმურმა ქვეყნებმა გარკვეული გამოცდილება დააგროვეს საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების – მიზნების, შინაარსისა და მეთოდების თვალსაზრისით. თუმცა, მათი გამოცდილება შეფასების კუთხით, კვლავ რჩება სუსტ რგოლად, განსაკუთრებით, ინდივიდების, ჯგუფების, ინსტიტუციებისა და საზოგადოებების ინტელექტუალური განვითარების საზომი საშუალებების მიმართულებით.

მუსლიმები მოდის კანონმდებლები და პიონერები იყვნენ მეთოდოლოგიური აზროვნების მრავალ სფეროში, ავითარებდნენ რა აზროვნების სისტემებსა და აზროვნების მოქმედების შესაფასებლად საჭირო საშუალებებს. ჰადისების სხვადასხვა მეცნიერებებმა სიახლეები შემოიტანეს კრიტიკული ინოვაციური მეთოდების სახით. *უტულ ალ-ფიკჰის* მეცნიერება იყო სრულყოფილი მეთოდოლოგიური მეცნიერება. სამეცნიერო მეთოდი, რომელიც ემპირიულ დაკვირვებას, ინდუქციურ მსჯელობასა და ექსპერიმენტებს ეყრდნობა, განვითარდა და პროგრესს განიცდიდა მუსლიმთა საზოგადოებაში სხვა ნებისმიერ საზოგადოებაზე უფრო ადრე. ეს დასტურია იმისა, რომ მუსლიმთა ინტელექტი სხვებისაზე არანაკლებ უნარიანია აზროვნების მეთოდოლოგიის, ფიქრის მოდელებისა და საზომი საშუალებების შემუშავების თვალსაზრისით.

ყურანი და სუნა ფასდაუდებელ წყაროებს წარმოადგენენ აზროვნების მეთოდოლოგიის, დედუქციის, იდეების ფორმული-

რებისა და განხორციელების განვითარების თვალსაზრისით, რაც „ცივილიზაციურ შენებას“ („უმრწმ“) უწყობს ხელს. ისლამური აზროვნებაში ფუნდამენტური მეთოდოლოგიაა არის ყურანის გაგების, მის ტექსტებში და თემებში ჩანვდომის მეთოდოლოგია. აქედან გამომდინარე, ჩვენ შეგვიძლია შევქმნათ აზროვნების, კვლევისა და ქცევის სხვა მეთოდები, რომლებიც განსაზღვრავს ინდივიდის, ჯგუფის ან მთლიანი საზოგადოების ინტელექტუალურ კონსტრუქციას და ზომავს აზროვნების გამოყენების ზოგიერთ უნარს, როგორებიცაა კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითი აზროვნება, მიზნობრივი აზროვნება და ა.შ.

### იდების ისტორიული სქემები

ისტორია დაკავებულია იმ სოციალური, ეკონომიკური და ბუნებრივი მოვლენების შესწავლით, რომლებშიც ინდივიდები ან საზოგადოებები ჩართული არიან სხვადასხვა ეპოქაში. ეს ასევე ეხება იდეების შესწავლას, ღირებულებებისა და მრწამსის ჩათვლით, ვინაიდან მოვლენები ისტორიაში თავისთავად ინდივიდთა იდეების, ადამიანთა ცხოვრებაზე მათი გავლენის გამოხატულებაა, მათი ნვლილია ცივილიზაციის მახასიათებლების ფორმირების პროცესში მათ ეპოქასა და შემდგომ ხანებში. ეს იდეები დაკავშირებულია მათი წარმოქმნის პირობებსა და მათი ევოლუციის ფაქტორებთან და წარმოადგენენ იმ ინტელექტუალური მიმდინარეობების ნაწილს, რომლებიც დომინირებენ დროის მომდევნო პერიოდებში. ამ ყველაფერს შეისწავლის დისციპლინა, რომელსაც „იდების ისტორიის მეცნიერება“ ეწოდება.



იდეების ისტორიის მეცნიერება აგებულია ძირითადი ინტელექტუალური ბლოკებისა და ერთობებისგან. ამ დარგის სპეციალისტი ცდილობს აღმოაჩინოს ინტელექტუალური ერთობები (ფაქტები, ცნებები, კანონები, მეცნიერების თეორიები), მათი სიმყარე, თანმიმდევრულობა, თუ რა ხდება მათი კორექციით და განცალკევებით, რაც მათი, როგორც ერთობების გამოყენების საშუალებას იძლევა ადამიანური კულტურებისა და ცივილიზაციების აღზევებისა და დაცემის კვლევის ანალიზისას.<sup>34</sup>

იდეების ისტორია ხაზს უსვამს იდეების ზეგავლენას ეპოქალურ ცვლილებებზე, რომელთა მონმენიც არიან სახელმწიფოები და ხალხები. სპეციალისტებისთვის მნიშვნელოვანია იდეების განვითარების გზისათვის თვალის გადევნება მათ შესაბამის სფეროებში. ცოდნა, თითოეულ სფეროში, ურთიერთმონაცვლე მოვლენების მეშვეობით იქმნებოდა ეპოქათა მანძილზე. ეს მოვლენები იყო იდეები, რომელთა მატერიალიზება მოხდა ისტორიაში ჩანერილ რეალობებში. პოლიტიკური იდეების ენციკლოპედია, რომელიც საფრანგეთში გამოქვეყნდა, ამის შესატყვისი მაგალითია.<sup>35</sup> იგი აღწერს პოლიტიკური იდეების ისტორიას ევროპაში, კლასიკური ხანის საბერძნეთიდან მეთვრამეტე საუკუნემდე. თანამედროვე პოლიტიკური იდეები სხვა არაფერია თუ არა ამ იდეების განვრცობა და პროგრესირება. იდეების ისტორია განუყოფელია ინსტიტუციების, საზოგადოებების, აზროვნების სკოლების, ეკონომიკური მოვლენების ისტორიისგან, ასევე ფილოსოფიის, რელიგიის, ლიტერატურისა და ტექნოლოგიების ისტორიისაგან.<sup>36</sup>

## გეოგრაფიული აზროვნების სქემები და აზროვნების გეოგრაფია

გეოგრაფიული აზროვნება გულისხმობს ცოდნას, რომელსაც ადამიანები იღებებენ დედამიწის, მათი საცხოვრისის და მასზე ზემოქმედების საშუალებების შესახებ, რომელთაც საკუთარი საჭიროებების დასაკმაყოფილებს მიზნით იყენებს. ეს ცოდნა ადამიანებმა მეცნიერებათა სახით შემოინახეს დედამიწაზე ცხოვრების დაწყების დღიდანვე. ზოგიერთი, „პირველი ჭეშმარიტად გეოგრაფიული კვლევები ოთხი ათასზე მეტი წლის წინ ჩატარდა.“<sup>37</sup> ეს ტერმინი ასევე მოიცავს ფილოსოფიურ იდეებსა და თეორიებს, რომლებიც დაკავშირებულია დედამიწის ფორმირებასთან და აქ სიცოცხლის ფორმების შექმნასთან. ამასთანავე, მეოცე საუკუნეში დაიწყო უფრო მეტად ყურადღების გამახვილება ადამიანის სიცოცხლესა და მის მოთხოვნებზე სივრცულ გარემოში, ვიდრე თავად გარემოს დეტალებზე. გეოგრაფიულმა აზროვნებამ ყურადღება უპირველესად გამახვილა ისეთ ანთროპოცენტრულ კონცეპტებზე, როგორებიცაა შეზღუდული ბუნებრივი რესურსები, სიღარიბე, გარემოს დეგრადაცია, სოციალური და ეკონომიკური ფენომენები და ბუნებრივი გარემოს კვლევები.

გეოგრაფიული აზროვნება ეხება გეოგრაფიას და ამ მეცნიერების მრავალ განშტოებას, რომელთა შორისაცაა ადამიანთა ურთიერთქმედებები და გეოგრაფიულ გარემო. მრავალფეროვანი კონცეპტები და აზროვნების სკოლები წარმოიქმნა ამ ურთიერთობის ახსნის, განსაკუთრებით კი ტერმინ „აზროვნების გეოგრაფიის“ განმარტების მიზნით. თანამედროვე მიდგომები ამტკიცებს, რომ სხვადასხვა გეოგრაფიულ გარემოში ერების და ხალხების ინტელექტუალური კონსტრუქციის მრავალფე-

როვნება და განსხვავებულობა არ არის აუცილებლად გეოგრაფიული მდებარეობის, კლიმატისა და ტოპოგრაფიის გავლენის შედეგი, არამედ ისინი უფრო სხვა ფაქტორებითაა განპირობებული.<sup>38</sup>

გეოგრაფიული აზროვნების ძირითადი საკითხები გავრცელდა გეოგრაფიის სხვადასხვა განშტოებებში – გეოპოლიტიკაში, პოლიტიკურ გეოგრაფიასა და კულტურულ გეოგრაფიაში. პოლიტიკური გეოგრაფია მოიცავს გეოგრაფიული გარემოს გავლენის შესწავლას პოლიტიკურ იდეებსა და ქმედებებზე.<sup>39</sup> კულტურული გეოგრაფია არკვევს გეოგრაფიის მნიშვნელოვნებას ადამიანის ფენომენის ახსნისთვის და იმას, თუ როგორ ხდება კულტურების გავრცელება სივრცეში, როგორ ანიჭებს კულტურები სივრცეს აზრს როგორ აყალიბებენ კულტურები სხვადასხვა იდენტობებს, რომლის საშუალებითაც ადამიანი შეიცნობს საკუთარ თავსა და სხვებს.

ფილოსოფიის, მედიის და რელიგიის კვლევებში მთავარი კონცეპტია „მსოფლმხედველობა“ (გერმანულად Weltanschauung). მსოფლმხედველობები ისეთივე მრავალფეროვანია, როგორც კულტურული გარემო, ცივილიზაციის დონეები და საზოგადოებაში დომინირებადი აზროვნების ნიმუშები, განსაკუთრებით კი რელიგიური აზროვნება. მსოფლმხედველობა არის ყოვლისმომცველი იდეა, რომელსაც ინდივიდები ქმნიან საკუთარი თავისთვის, საკუთარი თავისა და მათ გარშემო არსებული გარემოს შესახებ. იგი ასევე აღწერს ჯგუფის, საზოგადოების ან „უმმას“ ცნობიერების კოლექტიურ მდგომარეობას, რომელიც საერთო ხედვას იზიარებს სამყაროზე. ამასთანავე, ამ ცნების ძირითადი მნიშვნელობები მკვეთრად არის გადაჯაჭვული იმ ფილოსოფიურ და რელიგიურ მრწამსთან და იდეებ-

თან, რომლებიც ცდილობს მთავარ ეგზისტენციალურ კითხვებს უპასუხოს.

### იდეების გათავისების წესები

აზროვნების უნარი კაცობრიობას მას შემდეგ ახასიათებს, რაც ღმერთმა ჩვენ შეგვქმნა, ჩაგვაბარა დედამიწა და დაგვაჯილდოვა საკუთარი თავის და გარშემო არსებული სამყაროს შეცნობის უნარით. ღმერთმა მოგვცა თავისუფლება – ავირჩიოთ სწორი გზა ან გადავუხვიოთ მას. რამდენადაც ღმერთის წინაშე ჩვენი ანგარიშვალდებულება ინდივიდუალურ პასუხისმგებლობას წარმოადგენს, შესაბამისად, ბუნებრივია, რომ ადამიანთა უნარი გაგებისა და აღქმის თვალსაზრისით განსხვავდება, ისე როგორც ჩვენი დამოკიდებულება მორჩილებასა და ცოდვებს მიმართ. შუამავალი ავტორიტეტს წარმოადგენდა ისეთი იდეების მიღების დროს, რომლებიც უკავშირდებოდა ღვთის რჯულს, რწმენასა და თაყვანისცემას. მიუხედავად ამისა, ის ზოგჯერ იცვლიდა საკუთარ შეხედულებებს და იგი კომპანიონების იდეებს იზიარებდა ამქვეყნიურ ცოდნასა და გამოცდილებასთან დაკავშირებულ საკითხებთან მიმართებით, რამდენადაც ღვთისგან ნაბრძანები ჰქონდა, რომ მათთვის ეკითხა რჩევა (სურა ალ იმრანი 3:159).

ისლამური აზროვნებაში არსებობს უნივერსალურ საფუძვლები, რომლებიც მიღებულია მრავალი ადამიანი მიერ, ისინი წარმოადგენს ამოსავალს იდეების მიღების ან უარყოფისთვის. მაგალითად, ისლამის ბურჯებს და „რმზნის“ (რწმენა) საყრდენებს მუსლიმთა უმრავლესობა იზიარებს. თუმცა, ყურანისა და ჰადისების წმინდა ტექსტებში ინტერპრეტაციისა და მსჯელობის თვალსაზრისით არსებულ განსხვავებებს მაინც ვხვდებით,

რაც რეალობის განსხვავებული აღქმითა და ამ რეალობის კონტექსტისადმი ტექსტის მისადაგების მეთოდებითაა განპირობებული.

იდეების მიღების კრიტერიუმები და წესები ფართოდ ვარირებს როგორც რელიგიურ, ისე არარელიგიურ ჯგუფებში. ახალი იდეის მიღების კრიტერიუმი არის ის, თუ რამდენად ჰარმონიულად ერწყმის ეს იდეა ჯგუფის სხვა იდეებს. მიუხედავად ამისა, პრინციპმა „აზროვნების თავისუფლება“ დაიწყო საკუთარი გზის გაკვალვა მრავალი ჯგუფის აზროვნებაში, სადაც იდეებისთვის, რომლებიც ჯგუფის გაბატონებულ ნააზრევს ეწინააღმდეგება, განხილვის უფლება არსებობს და, შესაძლოა, მათი მიღებაც მოხდეს. ეს კი თავისთავად გამოიწვევს ჯგუფის აზროვნების ცვლილებასა და განვითარებას.

იდეების გათავისების წესებისა და პარამეტრების შესახებ მსჯელობის პროცესში, განხილვის საგანია აზროვნების თავისუფლების საკითხი და მისი ჩარჩოები. იგი მჭიდროდაა დაკავშირებული რწმენისა და გამოხატვის თავისუფლების საკითხებთან. ისლამური პერსპექტივიდან, აზროვნების თავისუფლება არის მოვალეობა და თავყანისცემის დადგენილი ფორმა და არა მხოლოდ სამართლებრივი ან სოციალური უფლება. ფიქრი და სიღრმისეული გაცნობიერება რწმენის ბურჯები და რწმენის გათავისების საფუძველია. მოსალოდნელია, ამგვარი აზრებიდან გარკვეული სახის ეჭვები და უნდობლობა გაჩნდეს, თუმცა არსებობს მათთან გამკლავების მეთოდები. გამოდის, რომ ინტელექტუალური თავისუფლების საკითხებთან გამკლავების საფუძველი და გადამწყვეტი ფაქტორი არ არის მეორეხარისხოვანი სამართლებრივი ნორმები, რომლებიც რელიგიური ფათვებიდან მომდინარეობს, არამედ ეს არის რაღაც, რაც საჭიროა შარიათის იმ საერთო მიზნების („მაკჰსიდ“) მისაღწევად, რომლებიც ინდივიდს, „უმმას“ და კაცობრიობას ეხება.<sup>40</sup>

## თავი მხუთე აზროვნება და ენა

ენობრივი უნარები ოთხი კატეგორიისაა: მოსმენა, ლაპარაკი, კითხვა და წერა. შეუძლებელია წარმოვიდგინოთ მწერალი, რომელიც რაიმეს წერს „აზროვნების“ შესახებ მასზე ფიქრის გარეშე ისე, რომ ამ ენობრივი უნარებიდან ერთს ან უფრო მეტს არ იყენებს. ენათმეცნიერები ამ ოთხ უნარს იმ თანმიმდევრობით აწყობენ, რა თანმიმდევრობითაც ისინი წარმოიქმნება ინდივიდის ლინგვისტური განვითარების დროს. მოსმენა და კითხვა ინდივიდის ინტელექტუალური საყრდენის ჩამოყალიბების ფუნდამენტური საშუალებებია. თუმცა, ჩვენ არ შეგვიძლია ამ საყრდენის ამოცნობა, თუ პიროვნება არ ლაპარაკობს ან არ წერს.

ენა ფორმაა და აზრი – შინაარსი, რომელიც ამ ენობრივ ფორმაში ჩაედინება. შინაარსი იღებს ფორმის სახეს და განისაზღვრება მისი სიცხადისა და ხარისხის მაჩვენებლებით. ურთიერთობა ენასა და აზროვნებას შორის ორმხრივი და ინტეგრაციულია. ორმხრივია, რადგან ერთი გავლენას ახდენს მეორეზე და ინტეგრაციულია, ვინაიდან ერთს ესაჭიროება მეორე. აქედან გამომდინარე, ერთის სიმდიდრე ამდიდრებს მეორეს. ენა აზროვნებას ემსახურება, რადგან იგი ხელს უწყობს მავანის იდეების გამოხატვას და მათ დანერგვას ლინგვისტური არსებობის სფეროში, სადაც იდეა ხდება კომუნიკაციის სუბიექტი. აზროვნება ასევე ემსახურება ენას, რათა შეარჩიოს ყველაზე ზუსტი და მკაფიო არტიკულაცია და ტერმინოლოგია აზრის მისანიჭებლად. მაშასადამე, აზრი ქმნის ენას და, ასევე, თავად იქმნება ენის მიერ, პროცესი ორმხრივია.

## აზროვნებისა და ენის ურთიერთკავშირის ისტორიული განზომილება

ყურანი ხაზს უსვამს აზროვნებისა და ენის ურთიერთკავშირს: „და შეასწავლა ადამს ყველა სახელი“ (2:31). ღმერთმა შექმნა ადამიანები და ასწავლა მათ „ბაჰან“ (დახვეწილი მჭერმეტყველება და გამოთქმა): „მწყალობელმა ალლაჰმა გააჩინა ადამიანი, შეასწავლა მას ყურანი და მჭერმეტყველება“ (55:1-4). ღმერთი აკავშირებს ენას, ლინგვისტურ უნარს, „ბაჰანთან“: „და ჩვენ არ წარგვიგზავნია არც ერთი შუამავალი, თუ არა თავისი ხალხის ენით, რათა განემარტა მათთვის“ (14:4).

ამ ურთიერთკავშირისადმი ინტერესი კაცობრიობის ისტორიაში უხსოვარი დროიდან ჩნდება, განსაკუთრებით, სოკრატეს, არისტოტელესა და, შემდგომი პერიოდის, ბერძენ და რომაელ ფილოსოფოსთა ეპოქაში. დღემდე განხილვის საგანს წარმოადგენს ამ ურთიერთკავშირის შესახებ სამი ტრადიციული კითხვა: ენის წარმომავლობა (იქნება ეს ბუნებრივი თუ ტრადიციული), მისი კანონზომიერება და სტრუქტურა. ტერმინი „ლოგოსიც“ კი, დასავლური აზროვნების ისტორიაში ერთდროულად ენის, რაციონალურობისა და აზროვნების გამოსახატავად გამოიყენებოდა.<sup>41</sup> ლინგვისტური აზროვნების შესახებ დებატები გრძელდებოდა ისტორიის მანძილზე: ალ-ბასრასა და ალ-ქუფას გრამატიკოსებს, დასავლური აზროვნების სკოლების სხვადასხვა ლინგვისტებს (აღსანიშნავია დებატები ჟან პიაჟესა და ნოამ ჩომსკის შორის 1975 წელს),<sup>42</sup> და დღესდღეობით მოდერნისტ არაბ ლინგვისტებს შორის, რომლებიც ორიენტირებულნი არიან თანამედროვე დასავლური მეთოდოლოგიის დანერგვაზე არაბულ ლინგვისტურ აზროვნებაში.<sup>43</sup>

ისლამური მემკვიდრეობაში ასევე უხვად არის ნაშრომები, რომლებიც განიხილავს ადამიანური ენის წარმომავლობასა და მის ურთიერთკავშირს აზროვნებასთან, გაგებასა და აღქმასთან. ასეთი ნაშრომები იკვლევს არაბული ენის სტრუქტურას, მის მეცნიერებებს და მის როლს ყურანის შინაარსის გადმოცემის თვალსაზრისით. ასეთებია აბუ ალ-ასვად ად-დუ'ალის (გარდ. ჰ. 69 წ.), ალ-ხალილ იბნ აჰმად ალ-ფარაჰიდის (გარდ. ჰ. 175 წ.) და მისი სტუდენტი სიბჰანჰის (გარდ. ჰ. 180 წ.) ნაშრომები. მნიშვნელოვანი ინტელექტუალური წვლილი შეიტანეს ალ-ჯაჰიზმა (გარდ. ჰ. 255 წ.), ალ-ჯურჯანმა (გარდ. ჰ. 474 წელი) და იბნ ჯინნიმ (გარდ. ჰ. 392 წ.).

იბნ ხალდუნმა ენები განიხილა, როგორც ნაწარმოები ჩვევები (უნარები), რომლებიც ყალიბდება და ისწავლება ათვისებითა და გამეორებით და რომლის მიზანია აზრის გამოხატვა. გამოხატვის ხარისხი დამოკიდებულია ამ ჩვევის სრულყოფაზე.<sup>44</sup> ალ-ლაზალმ განმარტა ეგზისტენციალური კავშირი აზროვნებას, ცოდნასა და ენას შორის და ერთმანეთისგან გამოასხვავა ინდივიდუალური, რაციონალური და ლინგვისტური არსებობა.<sup>45</sup> მუსლიმმა სწავლულებმა არაბული ენა დააკავშირეს არა მხოლოდ აზროვნებასა და გონებასთან, არამედ რელიგიასთანაც. იბნ თაიმიდა მიიჩნევდა, რომ საკუთრივ არაბული ენა რელიგიიდან მომდინარეობდა, რადგან ყურანისა და სუნას გაგება არის ვალდებულება, რომლის შესრულებაც შეუძლებელია არაბული ენის ცოდნის გარეშე. იგი დასძენს.<sup>46</sup> იგი დასძენს: „არაბული ენა არის ისლამისა და მისი ხალხის სიმბოლო, ვინაიდან ენა იმ ყველაზე დიდი სიმბოლოთა შორისაა, რომლითაც ერები გამოირჩევიან.“<sup>47</sup>



### „ბაჰანი“ აზროვნებასა და ენას შორის

ტერმინი „ბაჰანი“ რჩეული სიტყვაა ყურანში, რომელიც „ბანა“ ფუძისგან ნაწარმოებ სხვა ფორმებთან ერთად 257-ჯერ გვხვდება სხვადასხვა სახელობითი და ზმნური ფორმებით გარკვეულობის, განმარტების და ინდივიდუალურობის აღსანიშნავად, ისევე როგორც საშუალებისა და ენისა, რომლითაც რაღაცეები ხდება ცხადი და ადვილად გასაგები. „ბაჰანი“ თავად ყურანის აღწერის მიზნითაც კი გამოიყენება: აი, ესაა გაკვეთილი (განმარტება) კაცობრიობისთვის (ადამიანებისათვის) და გზა ჭეშმარიტი და შეგონება ღვთისმოშიშთათვის (3:138). მისი სიტყვები და მინიშნებები არ ატარებს იდუმალ ფარული მნიშვნელობებს, არამედ ისინი მკაფიო და ადვილად აღსაქმელი აიებია, რომლებიც მჭერმეტყველების სხვადასხვა ხარისხში გამოვლინდა, რასაც ისინი აჰყავს სასწაულებრივი განუმეორებლობის დონემდე.

არაბული ენის მკვლევრებმა განავითარეს „ბაჰანის მეცნიერების“ ფართო დარგი მისი თემების, მიზნებისა და საფუძვლების დეტალური აღწერით. მრავალი წიგნი, როგორც კლასიკური, ასევე თანამედროვე, ამ დარგში დაიწერა. მათ შორისაა ალ ჯურჯანის ასრარ ალ-ბალა (მჭერმეტყველების საიდუმლოებანი), რომელიც ყურანის აიებთან დაკავშირებით „ბაჰანის“ ეფექტურობას ხსნის: ალ-ჯაჰიჯის „ალ-ბაჰანი ვა ათ-თაბინ“ ხსნის ალ-ბაჰანს, როგორც მნიშვნელობის მაჩვენებელს, ხოლო ათ-თაბინს – მის შემდგომ განმარტებად. ალ-ჯაჰიჯი განმარტავს, რომ „ალ-ბაჰანი არის კოლექტიური სახელი ყველაფრისა, რაც მორგებულ ნილაბს ხსნის ფარულ მნიშვნელობას და შინაგან აზრს ავლენს... ეს ხდება იმიტომ, რომ ორივეს მიზანი – მო-

საუბრისაც და მსმენლისაც – ერთია – გაიგოს და გაუგონ. ყველაფერი რისი საშუალებითაც მიიღწევა გაგება და აზრის ცხადყოფა „ბაჰანი“<sup>48</sup>. ალ-ჯაჰიზი ვერბალურ და არავერბალურ საშუალებებს (წარმოთქმა, ჟესტიკულაცია, თითებზე თვლა იგივე „დაქტილონომია“, წერა და ემოციური მდგომარეობა „ანიხბა“) ენაში გამოვლენილ ადამიანურ გამოხატულებებად მიიჩნევს.<sup>48</sup>

მწერლობას განსაკუთრებული სტატუსი უკავია ლინგვისტური „ბაჰანის“ ხელოვნებასთან მიმართებით. ალ-ხატაბ ალ-ბაღდადი (გარდ. ჰ. 463 წელს) ხაზს უსვამს მის მნიშვნელოვნებას შუამავლის ჰადისის ციტირებით: „შეკარი (ჩაინერე) ცოდნა წერილობით“.<sup>49</sup> იბნ ხალდუნი წერის მნიშვნელოვნებას ამალღებს, როდესაც მას სიკეთისმქმნელ ხელობებს შორის მოიხსენიებს. იგი ამბობს: „წერის ხელოვნება და წიგნის შექმნა, რაც წერაზეა დამოკიდებული, ადამიანის საზრუნავ საგნებს ინარჩუნებს და იცავს დაზიანებისაგან... ისინი წიგნებში გრძელდება აზროვნებისა და კვლევის შედეგად. ეს იდეებისთვის საჭირო წესრიგს ამყარებს.“<sup>50</sup>

### **თეორიები აზროვნებისა და ენის ურთიერთმიმართების შესახებ**

აზროვნება არის ფსიქოლოგიური, სოციალური და ლინგვისტური საქმიანობა, აქედან გამომდინარე, ფსიქოლოგიის, სოციოლოგიისა და ენათმეცნიერების კვლევის საგანია და გამოიყენება სხვა დისციპლინებში, როგორებიცაა მედია, პოლიტიკა, ეკონომიკა და სხვ. მრავალი დასავლური ფსიქოლოგიური სკოლა და თეორია წარმოაჩენს თავის ხედვას აზროვნებასა და ენას შორის არსებული ურთიერთკავშირის შესახებ. მუსლი-

მი ინდივიდის ინტელექტუალური განვითარების მიზნით, სასურველია ამ თეორიების ზოგად პრინციპებს თავად გაეცნოთ და მათ კრიტიკულად და ანალიტიკურად მიუდგეთ, ისლამური მსოფლმხედველობის შესაბამისად. სწორედ ამას აკეთებს მუსლიმი ფსიქოლოგი მალიქ ბადრი თავის ფსიქოლოგიურ კვლევებსა და ფსიქოთერაპიის პრაქტიკაში. ბადრი ეთანხმება იმ აზრს, რომ არსებობს მჭიდრო ურთიერთკავშირი ადამიანის აზროვნებასა და ენას შორის, რადგან „ენა არის არა მხოლოდ ადამიანის მიმართვისა და კომუნიკაციის ძირითადი საშუალება, არამედ აზროვნებაში გამოყენებული საბაზისო სისტემა.“<sup>51</sup>

მოცემული ცხრილი მოკლედ გადმოსცემს ცნობილ თეორიებს აზროვნებისა და ენის ურთიერთკავშირის შესახებ. „მაკპსიდის“ საკითხებს საჭიროა დაემატოს დამატებითი პარამეტრები, უფლებებისა და თავისუფლებების ჩათვლით.

მახასიათებლები	გარდაცვალება	დამფუძნებლები	თეორია
ენა არის ქცევის ტიპი, რომელიც მოიპოვება იმიტაციით, განმტკიცებითა და განმეორებით.	1958/1990	უოტსონი/სკინერი	ბიჰევიორიზმი
ენა არის იდეების ისტორია, რომელიც ვითარდება ბიოლოგიურ განვითარებასთან ერთად. აზროვნება, ენაზე ადრე წარმოიქმნება.	1980	პიაჟე	გენეტიკური ეპისტემოლოგია (კოგნიტური განვითარება)
ენის დანიშნულება არის კომუნიკაცია და გამოხატვა. ენა განსაზღვრავს აზროვნებას. ენის სტრუქტურა გავლენას ახდენს მსოფლმხედველობაზე.	1939/1941	სეპირ-ჟორფი	ლინგვისტური დეტერმინიზმი და ლინგვისტური რელატივიზმი
ენას გააჩნია სიღრმისეული სტრუქტურა და ზედაპირული სტრუქტურა. ეს არის თანდაყოლილი, ბიოლოგიურ/გენეტიკური მემკვიდრეობა, რომელიც უნივერსალურია ყველა ადამიანისთვის.	–	ჩომსკი	ბიოლოგიური მემკვიდრეობა/უნივერსალური გრამატიკა

დღეს შემადრწუნებელ დანაკლისს წარმოადგენს ისლამური ფსიქოლოგიური სკოლის არარსებობა. თუმცა, წარსულში მუსლიმი სწავლულები სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციას გვთავაზობდნენ აზროვნებისა და ენის ურთიერთმიმართებასთან დაკავშირებით. მაგალითად, იბნ ჯინნიმ განიხილა საკითხი, ადამიანური ენა საყოველთაო შეთანხმების საფუძველზე შეიქმნა თუ ღვთიური ზემოთაგონებისა და გამოცხადების გზით, თუ ღმერთმა დააჯილდოვა ადამიანები ენის შესწავლის უნარით? ამ ურთიერთკავშირში ენა არის წარმოქმნილი, დაწერილი, დახატული და ანიმაციური სიმბოლოებით გამოსატყუი. ის ქმნის იმ ბაზისს, რომელსაც ადამიანი ფლობს აზროვნებით, ცოდნით თუ კულტურით და ა.შ., შესაბამისად, ენა ყველა კულტურული სიმბოლოს დედაა.<sup>52</sup>

მრავალი თეორია და დისკუსია, რომლებიც ცდილობენ ენისა და აზროვნების ურთიერთმიმართების გაგებას, სავარაუდოდ, კვლავაც გააგრძელებენ არსებობას, არ აქვს მნიშვნელობა, მომდინარეობს ეს წმინდა ბიოლოგიური, ბუნებრივი და სოციალური მიდგომიდან, თუ ისეთი მიდგომიდან, რომელიც რელიგიურ ინტერპრეტაციას ითვალისწინებს. იმის გათვალისწინებით, რომ ამ საკითხის მკვლევრები სხვადასხვა დისციპლინებს მიეკუთვნებიან, ნაკლებად სავარაუდოა, რომ რომელიმე თეორიამ საბოლოოდ გადაწყვიტოს აღნიშნული პრობლემა. თითოეული თეორია მხოლოდ საკითხის გარკვეულ ასპექტს განმარტავს და არა თავად საკითხს მთლიანობაში. საკითხი აქტუალური რჩება ინტელექტუალური ძალისხმევის, დებატებისა და დიალოგის თვალსაზრისითაც და განა ეს არაა ადამიანური ცოდნის ბუნება?!

ამასთანავე, ენისა და აზროვნების ურთიერთდამოკიდებულების შესახებ არსებული პრინციპების მთელი წყება, რომელიც საჭიროა მუსლიმთა ინტელექტუალური განვითარებისთვის, შედარებით უდავოდ რჩება. პირველი, რთულია ადამიანის აზროვნების საკითხის განხილვა მის მიერ ლინგვისტური გამოხატულების გარეშე და აზროვნების გავლენის უგულებელყოფა ენის გამდიდრებაზე. ეს ურთიერთობა არის ორმხრივი და ინტეგრაციული. მეორე, ჩვენ გვნამს, რომ ღმერთმა შექმნა ადამი – კაცობრიობის მამა და უბოძა მას ენობრივი ნიჭი. მესამე, ეს ენობრივი უნარი (ან ჩვევა) არის ადამიანის ყოფის ღვთაებრივად შექმნილი, თანდაყოლილი, გენეტიკური „დიზაინის“ ნაწილი. იგი დაკავშირებულია სმენის, ხედვისა და მეტყველების საშუალებებთან, რომელთაგან თითოეული ენისა და აზროვნების ფუნქციის შესასრულებლადაა მომართული. მეოთხე, გონივრულია ვიფიქროთ რომ ადამიანთა ენა თავდაპირველად ერთი იყო, ხოლო, შემდეგ, როდესაც ხალხი სხვადასხვა გეოგრაფიულ არეალში გაიფანტა, დიალექტები ერთმანეთს გაემიჯნა და, საბოლოოდ, განსხვავებულ ენებად ჩამოყალიბდა. მეხუთე, ადამიანებმა, დროთა განმავლობაში, ისწავლეს ენები და იყენებდნენ მათ საკუთარი მსოფლალქმის გადმოსაცემად იმის საფუძველზე, რასაც ისინი ისმენდნენ მათ გარშემო არსებულ ლინგვისტურ გარემოში.

### **აზროვნება და პროგრესი ლინგვისტური უნარების თვალსაზრისით**

ენა არის კომუნიკაციის, აზრის გამოხატვისა და აზროვნების საშუალება. ადამიანს აქვს მოქნილობის უნარი შეიმუშავოს იდეები და გამოხატოს ისინი მკაფიოდ, დამაჯერებლად და ეფექტურად, რამდენადაც იგი ფლობს ენის ლექსიკას, სტრუქტურას

ტურასა და ტექსტებს. მაგალითად, არაბული ენისადმი ინტერესი გამოიხატება გრამატიკისა და სინტაქსის, განსაკუთრებით, ფილოლოგიური წესების სწორ გამოყენებაში. ზოგიერთი იდეა კომფორტულად გვიჯდება გონებაში და ადვილად გვამახსოვრდება, თუკი ის დაბალანსებულადაა ფორმულირებული, მაგალითად, როდესაც ტექსტი პოეტური სტროფების სახითაა მოცემული.

არაბულ ენაში ყურანის მუდმივი რეციტაცია და დამახსოვრება ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა, რათა ადამიანმა განივითაროს ლინგვისტური უნარები, გამართულად იმეტყველოს და წარმოთქვას, ცხადად გამოხატოს, გაიმდიდროს აზროვნება და გაიმრავალფეროვნოს ზეპირი მეტყველება და წერიტი ლექსიკა. იბნ ალ-ასირი (გარდ. ჰ. 637) განმარტავს ყურანის გავლენას ენობრივი უნარების განვითარებაზე. ეს განხორციელებულია „ყურანში გამოხატული მჭერმეტყველური დისკურსის რიტორიკისა და საიდუმლოების შეცნობით და მისი აღქმით იმ ზღვად, საიდანაც მარგალიტები და ძვირფასი ქვები მოიპოვება, რათა დავნერგოთ ისინი საკუთარ მეტყველებაში. დისკურსის ხელოვნების სხვადასხვა სფეროებისთვის მხოლოდ ყურანიც საკმარისია, როგორც წყარო და საშუალება.“<sup>53</sup> მრავალი გზა არსებობს წერილობითი უნარების გასაუმჯობესებლად, თუმცა, იბნ ალ-ასირის თქმით, „საკითხის თავი, ხერხემალი და ფუძე სამი საშუალებაა: ყურანის დამახსოვრება, შუამავლის ჰადისების დანწერილებით შესწავლა და პოეზია.“<sup>54</sup>

ადამიანთა შორის ინტელექტუალური ურთიერთქმედება საჭიროებს მრავალი საშუალების გამოყენებას. თითოეული საშუალება ასრულებს სპეციფიკურ როლს, რომლიც შესრულება ცხვას არ შეუძლია. მაგალითად, ამგვარი ურთიერთქმედებისთვის არ არის საკმარისი მხოლოდ ზეპირსიტყვიერი კომუ-

ნიკაცია, ან მის ნაცვლად მხოლოდ ჩანერა. ზეპირსიტყვიერება და წიგნიერება ორი ინტეგრირებული საშუალებაა და თითოეული განსხვავებულ როლს ასრულებს. სოციოლინგვისტური კვლევების თანახმად, ყველა ენის დასაბამი ზეპირი მეტყველებაა, მაგრამ ადამიანთა საზოგადოებების მიერ შექმნილი ათასობით ენისგან მხოლოდ რამდენიმე ენა შენარჩუნდა, ვინაიდან ენები, რომლებზეც არასდროს არაფერი დაწერილა – გაქრა. ასეთი კვლევები ხაზს უსვამს, რომ „წერა – სიტყვის გავრცელება სივრცეში – ზრდის ენის პოტენციალს თითქმის უსაზღვროდ და ახდენს აზროვნებას რესტრუქტურისაციას... წერა (ტრანსდიალექტურ ენას) ანიჭებს ძალას, რისი მიცემაც არცერთ ზეპირ დიალექტს არ ძალუძს.“<sup>55</sup>

მწერლობის ღირებულება გამომჟღავნებულია მისი განგრძობადი გავლენით დროთა განმავლობაში. დაწერილი ტექსტის უარყოფა და სრული გაბათილებაც კი არ უშლის ხელს მისი გავლენის შენარჩუნებას. ვინაიდან, წერა ცნობიერებას ამალვლებს,<sup>56</sup> ონგი ამბობს: „ეს კიდევ ერთი მიზეზია წიგნების დანვისა: როდესაც ტექსტი იმას გადმოსცემს, რაც მთელმა მსოფლიომ იცის რომ სიცრუეა, ეს დარჩება სიცრუედ მანამ, სანამ ეს ტექსტი იარსებებს. ტექსტები, თავისი არსით წინააღმდეგობრივია.“<sup>57</sup>

მიუხედავად იმისა, რომ ზეპირსიტყვიერება უფრო ახლოს დგას ადამიანის ინსტინქტთან, მწერლობა მაინც განვითარდა ადამიანის გამოცდილებისა და ტექნოლოგიების აკუმულირების შედეგად, კვლავაც და კვლავაც განმეორების უნარით. ზეპირსიტყვიერებისა და წერის ტექნოლოგიები კიდევ უფრო დაიხვეწა და ხელმისაწვდომი გახდა მოსმენისა და წაკითხვის თვალსაზრისით, ნებისმიერ დროს და ნებისმიერი რაოდენობით. ახალი ტექნოლოგიები მსმენელთა და მკითხველთა აუდიტორიას

საშუალებას აძლევს უშუალო ურთიერთქმედებაში შევიდეს მასალასთან, გამოხატოს საკუთარი აზრი, იმსჯელოს, დაეთანხმოს ან უარყოს იგი. ყველაფერი ეს ხელმისაწვდომი გახადა ელექტრონულმა გამოცემებმა და გლობალურმა ქსელებმა, რომელზე წვდომაც მილიონობით ადამიანს აქვს ნებისმიერ დროსა და ნებისმიერი ადგილიდან. ეჭვგარეშეა, რომ ეს საშუალებები მნიშვნელოვან როლს ასრულებს როგორც ენობრივი უნარ-ჩვევების, ისე ინდივიდუალური ინტელექტუალური განვითარების თვალსაზრისით.

### **ინტელექტის და ენის ბოროტად გამოყენება**

ენა გადმოსცემს მნიშვნელობებს, რომლებიც ღირებულებებისა და სანდოობის მიხედვით განსხვავდება. ეს ვარიაცია შესაძლოა დამოკიდებული იყოს ენის მომხმარებელზე და ენის გამოყენებისას მის მიზანზე. ფრაზა შეიძლება იყოს გულწრფელი ან ცრუ. სიცრუე შესაძლოა მომდინარეობდეს უცოდინრობიდან ან იყოს წინასწარგანზრახული. არჩეული სიტყვები შეიძლება გამოხატავდეს კეთილშობილურ ან მავნებლურ მიზანს. ეს სიტყვები შესაძლოა იყოს მკაფიო და გაცხადებული ან ფარულ ზრახვებს გულისხმობდეს. ზოგიერთი ადამიანი განმარტავს სიტყვებს ისე, რომ მათი კონტექსტიდან ამოგლეჯა ხდება. ეს ასახავს ინტელექტუალური და ენობრივი უნარების ბოროტად გამოყენებისა და მანიპულაციის შემთხვევებს.

ენა, ასევე, ადრესატის აზროვნებასა და ქცევაზე განსაკუთრებული გავლენის მოხდენის საშუალებაა. შესაბამისად, რეკლამის, პროპაგანდისა და მედიის სპეციალისტები, პოლიტიკოსები და მქადაგებლები დიდ ყურადღებას უთმობენ ისეთი სიტყვების შერჩევას, რომლებიც სასურველ გავლენას მოახდენს ადრესატთა გულებსა და გონებაზე. ეს ლინგვისტური მტაცებ-



ლობის სიმძიმე, დღესდღეობით, უფრო აქტუალური გახდა ახალი ტექნოლოგიებითა და მედიასაშუალებებით, რომლებიც გონების დაპროგრამებასა და იდეოლოგიურ დამუშავებას ცდილობს. თუმცა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ადამიანები ადვილად დათმობენ თავიანთ ღრმა რწმენას ლინგვისტური პროცესების გავლენის გამო, პირიქით, მოსალოდნელია, რომ ადამიანები, რომელთაც გარკვეული ცოდნა აქვთ ენობრივი დისკურსის შესახებ, უარყოფენ ან წინააღმდეგობას გაუწევენ იმას, რაც მათ მრწამსს ეწინააღმდეგება.

### შინაგანი მეტყველება, როგორც „ქალპმ ნაფსრ“

მუსლიმმა თეოლოგებმა მგრძნობიარე ადამიანური მეტყველება (წერიითი ან ზეპირი ენა, რომელიც გრძნობებით იმართება, „ალ-ქალპმ ალ-ჰისსრ“) განასხვავეს შინაგანი მეტყველებიდან („ალ-ქალპმ ან-ნაფსრ“). ეს უკანასკნელი, მომდინარეობს ყურანის, როგორც „ღვთის სიტყვის“ აღწერიდან, რომელიც ადამიანური მეტყველებისგან განსხვავდება. ეს არის ენით გამოუთქმელი სიტყვა ღვთის არსებაში, რომელიც მარადიულია, დასაბამი არ აქვს და სიტყვიერი ან წერილობითი ფორმით არ გამოიხატება.

ღვთიური, შინაგანი მეტყველების ცნება აისახა ადამიანის ლაპარაკზე. თეოლოგები თვლიდნენ, რომ ადამიანის მგრძნობიარე მეტყველება („ქალპმ ჰისსრ“) შინაგანი ფსიქოლოგიური და სულიერი არსის გამოვლინებაა. მათ განიხილეს „ქალპმ ნაფსრ“ შინაგანი ბუნება, არსი, მახასიათებლები და შეადარეს „ქალპმ ჰისსრ“. ამ საკითხთან დაკავშირებით პირველი, გამოჩენილი თეოლოგები იყვნენ ‘ადად ად-დინ ალ-რჯი (გარდ. ჰ. 756 წელს), სა‘დ ად-დინ ათ-თაფთაზანი (გარდ. ჰ. 792 წელს) და

ამ-შარნიფ ალ-ჯურჯანი (გარდ. პ. 816 წელს). ისინი ყურადღებით აკვირდებოდნენ ფსიქოლოგიურ და მენტალურ საფუძვლებს, რომელზეც დაშენებულია მგრძნობიარე მეტყველების კონცეპტი. ეს შინაგანი მეტყველება უკავშირდება გარემოსა და გრძნობებით აღქმულ ფენომენებს, რომლებიც ფსიქოლოგიურ რეაქციებს წარმოქმნის, რაც მგრძნობელობითი მეტყველების გაღვივებას იწვევს.

არსებობს მეტყველება, რომელიც ენის საშუალებით გამოითქმის („ქალამ ლაფზი“) და არსებობს შინაგანი დიალოგი („ჰადრს ან-ნაფს“), რომელიც არ გამოითქმის; ზოგიერთი მას „ქალამ ნაფსი“ ან „ჰადრს ან-ნაფსის“ უწოდებს. ამ დროს ინდივიდი საკუთარ თავს ესაუბრება, რასაც ის ხმამაღლა არ ამბობს. მხოლოდ ღმერთმა იცის რას გამოხატავს იგი საუბარში და რას მალავს საკუთარ თავში.

### **ორენოვნება, დიგლოსია და მათი გავლენა აზროვნებაზე, კულტურასა და იდენტობაზე**

არ არსებობს სისტემურად განსაზღვრული გზა, რომლითაც გამოიყენება ტერმინები „დიგლოსია“ და „ორენოვნება“. შეხედულებები მათი გავლენის შესახებ ინდივიდებსა და საზოგადოებებზე ვარირებს.<sup>58</sup> ზოგადად, დიგლოსია გულისხმობს ერთ ენაში ორი ლინგვისტური დონის არსებობას, რომლებიც სხვადასხვა პირობებში გამოიყენება, განსხვავებული მაღალი (ლიტერატურული) და დაბალი სალაპარაკო ენის ნაირსახეობებით, როგორცაა არაბული ფუტჰჰა (კლასიკური/სტანდარტული) და შმიდა (სალაპარაკო).<sup>59</sup> მეორე მხრივ, ორენოვნება ორი განსხვავებული ენის არსებობას გულისხმობს: ადგილობრივი და

სხვა (ანუ უცხო ენა, რომელიც გამოიყენება სპეციფიკურ სფეროებში ან მეორე ენა, რომელიც გავრცელებულია საზოგადოებაში ან მათ შორის, ვინც ორ ენას ითვისებს ორენოვან გარემოში აღზრდის ან სწავლის საშუალებით).<sup>60</sup> ფსიქოლოგიის, ენათმეცნიერებისა და სოციოლოგიის დარგებში ჩატარებული მრავალი კვლევა ცხადყოფს ორენოვნებისა და დიგლოსიის როგორც დადებით, ისე უარყოფით გავლენას ინდივიდის სწავლაზე, პიროვნებად ჩამოყალიბებასა და კუთვნილებაზე, ასევე საზოგადოებაზე, მის ერთიანობასა და მისი იდენტობის სტაბილურობაზე.<sup>61</sup> ის, რაც აქ ჩვენ გვაინტერესებს, არის ამ მოვლენის გავლენა აზროვნების პროცესზე და იდეების გამოხატვისას სიზუსტესა და სიცხადეზე.

ენის სასაუბრო და კლასიკურ ფორმებს შორის სივრცე ამჟღავნებს თანდათანობითი შემცირების ტენდენციას განათლების გავრცელების, ცნობიერების ამაღლებისა და კულტურული ცოდნის ზრდასთან ერთად. პოლიტიკური გადანწყვეტილებები ხელს უწყობს ამ სივრცეში ხიდის გადებას და დიგლოსიის შედეგად წარმოქმნილი ზოგიერთი პრობლემის გადაჭრას. მეორე მხრივ, ორენოვნება ქმნის საკვანძო ენობრივ, ფსიქოლოგიურ და სოციალურ პრობლემებს ორი ენის ურთიერთშევესებისა და ურთიერგადაფარვის გამო. ენის დაკარგვის პროცესი ერთ-ერთი ასეთი დიდი ყურადღების ქვეშ ქვეშ მოქცეული პრობლემაა.<sup>62</sup>

ორენოვნება და დიგლოსია ნათელს ფენს იმ რთულ სიტუაციას, სადაც ენობრივი შეუსაბამოებები აზრთა სხვადასხვაობაში აისახება. კულტურული ზემოქმედება მრავალნაირ გავლენას ახდენს აზროვნების ინდივიდუალურ გზაზე, რაც ხშირად „ინტელექტუალურ დიაგლოსს“ იწვევს. მაგალითად, მალიქ ბენნა-

ბი უცხო ენის გამოყენებას კოლონიალიზმის ერის იმპლანტად მიიჩნევს, რომელმაც ზეგავლენა მოახდინა კოლონიზებული ქვეყნის კულტურულ და ინტელექტუალურ სტრუქტურებს. იგი ამტკიცებს, რომ ორენოვნება ხელს უწყობს ტერმინების დამახინჯებას, მათი მნიშვნელობისა და შინაარსის შეცვლასა და შემოქმედებითი შესაძლებლობების მოსპობას. საბოლოო ჯამში – „ორენოვნებას შუძლია ისეთი შედეგების გამოწვევა, რომლებიც ყველაზე მეტადაა შეუთავსებელი ეროვნულ კულტურასთან.“<sup>63</sup>

აღნიშნული არ ამცირებს უცხო ენის შესწავლის მნიშვნელობას კულტურული და ინტელექტუალური ცოდნის გაზრდის მიზნით, თუმცა, უცხო ტერმინების ხშირი გამოყენება, განსაკუთრებით საუბრისას, მიუთითებს ადამიანის არაადეკვატურობასა და აზრის მშობლიურ ენაზე გადმოცემის უნარის ნაკლებობაზე.

თავი მეთხუთსე

**ანალიტიკური ცენტრები და  
ინტელექტუალური ბანკოთარების  
ლაბორატორიები**

**იდეების განვითარება: ინდივიდუალურ  
შემოქმედებითობასა და ინსტიტუციურ მუშაობას შორის**

ისტორიის უმეტეს დროში, აზრის წარმოება ინდივიდუალური აქტივობა იყო. თუმცა, სოციალური ცხოვრების ზოგიერთი ასპექტი კოლექტიურ აზროვნებას საჭიროებს, იქნება ეს ინდივიდის მიერ შემოთავაზებული იდეები თუ საზოგადოებრივი საჭიროება. ზოგიერთი კოლექტიური აზრი დაგეგმვის გარეშე, სპონტანურად მიიღწევა, ზოგიერთის შემთხვევაში კი აუცილებელია დაგეგმვა, შეთანხმება, როლების განაწილება და ასე შემდეგ. ამ გზით ატარებენ კვლევას ანალიტიკური ცენტრები. თანამედროვე საზოგადოებები აფასებენ კოლექტიურ აზროვნებას, გუნდურ და ინსტიტუციონალურ მუშაობას, აზრის წარმოებისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესს. კვლევითი ცენტრების დღევანდელი კონცეფცია არც მუსლიმურ და არც დასავლურ სამყაროში არ გავრცელებულა. ასეთი ინსტიტუტები თანამედროვე დაწესებულებებია, რომლებიც აუცილებლობისა და გამოცდილების დაგროვების გამო შეიქმნა.

ისტორია ამასთანავე ადასტურებს ისეთი ანალიტიკური ცენტრების მოდელების არსებობას, რომლებიც კოლექტიური აზროვნების, დიალოგის ან დებატების სწავლებაზე მუშაობ-

დნენ, როგორცაა მაგალითად, პლატონის დიალოგები და არისტოტელეს დისკუსიები ძველ საბერძნეთში. მუსლიმური ცივილიზაციისთვის უპირველესი მაგალითია იმამი აბუ ჰანიფა ან-ნუ'მანი, რომელიც რთავდა თავის სტუდენტებს დისკუსიებსა და დებატებში, უფლებას აძლევდა მათ ინდივიდუალური შეხედულებები გამოეთქვათ მოცემულ საკითხთან დაკავშირებით, განეხილათ იგი მისი ჰოლისტიკური გაგების მისაღწევად, რის შემდეგაც იგი თავად წარმოადგენდა საკუთარ მოსაზრებას.<sup>64</sup> მისი სწავლების მეთოდი კოლექტიურ სწავლებას უფრო წააგავდა, ვიდრე ლექციის წაკითხვას. სწორედ მისმა თანამოაზრებმა და სტუდენტებმა ჩაწერეს მისი „ფიკჰი“ და დააფიქსირეს მისი მოსაზრებები, ხშირად ერთმანეთთან გავლილი კონსულტაციების შედეგად. ამგვარად, აბუ ჰანიფას „ფიკჰის“ ჩაწერა და ტრანსმისია იყო კოლექტიური „ფიკჰის“ ფორმა. აზრის შემუშავების სხვა ფორმაში, იხვან ას-საფამ, ბასრაში არსებულმა მუსლიმი ფილოსოფოსების საიდუმლო საზოგადოებამ, გადანაცვლიტა საკუთარი კოლექტიური შეხედულებები გამოეხატა იმ სახით, რომლითაც ამ ჯგუფის წევრთა ვინაობა იფარებოდა. ანალოგიურად, ლონდონში ბაზირებულმა საერთაშორისო საქმეთა სამეფო ინსტიტუტმა შექმნა „ჩეთემ ჰაუსის წესი“ (1926), რათა მომხსენებელთა ანონიმურობა დაეცვა და ინფორმაციის საჯაროობისა და გაცვლისთვის ხელი შეეწყოს. მას შემდეგ, რაც დისკუსია კონკრეტულ დასკვნას აღწევს, იგი ხდება ინსტიტუტის პოზიცია.<sup>65</sup>

### **სპეციალიზაციის, საქმისადმი ერთგულების და გუნდური მუშაობის მნიშვნელობა**

პროფესიული სპეციფიკის მქონე ანალიტიკურ ცენტრებში მუშაობა სრული სამუშაო დროით დატვირთვას ამ საქმიანობა-

ში საჭირო ცოდნისა და უნარების შექენისთვის. ამ პროფესიის ღირებულება შეესაბამება მის მიერ შემუშავებული იდეების ღირებულებას. ყურანში ღმერთი მუსლიმებს ავალებს იმის უზრუნველყოფას, რომ ჯგუფები, რომელთაც ევალებათ რელიგიის სწავლა და სწავლება ომის დროსაც აქტიურნი დარჩნენ, რაც იმას ნიშნავს, რომ ცოდნისა და სწავლის ერთგულება არანაკლებ მნიშვნელოვანია და ცოდნის, კულტურისა და ცივილიზაციის შესაქმნელად ძალისხმევის გაღება ნებისმიერ დროსაა საჭირო და არა მხოლოდ მაშინ, როდესაც გარემოებები საჭიროებს პრობლემების გადაჭრას, როდესაც გადანყვეტილების მიღებაა საჭირო ცვლილებისა და რეფორმისთვის. „უმმას“ ასევე ესაჭიროება ჯგუფი, რომელიც მიზნად დაისახავს პერსპექტიული იდეებისა და სტრატეგიული ხედვების შემუშავებას საზოგადოების წინსვლის მიზნით.

ამ პროგრესის განხორციელების გზაა სხვადასხვა სფეროში საქმისადმი ერთგული სწავლულებისა და მკვლევარების მობილიზება, რომლებიც კოლექტიურად და წინდახედულად იმუშავენ ურთიერთშეთანხმებული გეგმის საფუძველზე. ეს არის ანალიტიკური და კვლევითი ცენტრების საქმე. ანალიტიკურ ცენტრებში მუშაობა სამსახურით უზრუნველყოფის საშუალება არ არის, არამედ ეს არის ისეთი კომპეტენციების შერჩევა, რომლებიც მნიშვნელოვან სასიცოცხლო ბაზისს წარმოადგენს აზრის შემუშავების მნიშვნელოვან საკითხებზე, რათა გადანყვეტილების მიმღებ პირებს წარედგინოს, როგორც მყარი საფუძველი გონივრული და დაბალანსებული გადანყვეტილებების მიღებისთვის.

ისლამური ისტორია მომსწრეა ინსტიტუციური მუშაობის ისეთ ნიმუშებისა, როგორებიცაა მეჩეთი, ბაზარი, სკოლები, სა-

სამართლოები და „ალ-ჰისბა“ (საზოგადოებრივი ანგარიშვალდებულება), თუმცა ზოგიერთი სფერო მოისაკლისებდა ინსტიტუციურ სტრუქტურას, მიუხედავად კოლექტიური აზროვნებისა და გუნდური მუშაობის აუცილებლობისა მათი ამოცანების განსახორციელებლად. მაგალითად, „იჯმპ“ (კონსესუსი), „იჯ-თიჰანდ“ (ინტელექტუალური განსჯა) და „შურა“ (კონსულტაცია). განვითარებას ეს ნაკლოვანება თან სდევდა, მიუხედავად იმისა, რომ წინასწარმეტყველის და მართლმორწმუნე ხალიფების ეპოქიდან მოყოლებული ამ სფეროებში ორგანიზების, სისტემატიზაციისა და კოდიფიკაციის პირველად შექმნის უამრავი მაგალითი არსებობს.

იმ კოლექტიური ინტელექტუალიზაციის მნიშვნელობა, რომელსაც ჯგუფი იყენებს, იდეების მეთოდოლოგიის საფუძველზე შემუშავებაა, რომელიც ავტორიტეტულ ხედვას ქმნის და ეს მიდგომა ორგანიზებულობის მაღალი დონითა და სანდოობით ხასიათდება. სანიმუშოა გუნდი, რომელიც სხვადასხვა გამოცდილებისა და წარმომავლობის მქონე წევრებისაგან შედგება, რომლებიც ერთად აღწევენ სასურველ მიზნებს, და არ ქმნიან ამა თუ იმ სპეციალიზაციისა თუ გამოცდილების არაფრისმომცემ ასლებს.

### **ანალიტიკური ცენტრების ევოლუცია და მათი ტენდენციები**

იდეების ისტორიის შესახებ არსებული წყაროები არაა თანმთხვევი თანამედროვე მსოფლიოში ანალიტიკური ცენტრების წარმომავლობასთან დაკავშირებით. წყაროების ადრეული ნიმუშები მოიცავს „აფრიკელი მონებით ვაჭრობის გაუქმების საზოგადოებას“,<sup>66</sup> რომელიც დაარსდა 1787 წელს, „გაერთიანებუ-



ლი სამეფოს სერვისების ინსტიტუტს“ (RUSI), რომელიც დაარსდა 1831 წელს, სამხედრო მეცნიერების კვლევის<sup>67</sup> და „ფაბიანელთა სოციალისტური საზოგადოებას“, რომელიც დაარსდა ლონდონში 1884 წელს.<sup>68</sup> ანალიტიკური ცენტრების მეორე ტალღა მეოცე საუკუნეში წარმოიქმნა, ამის მაგალითია კარნეგის ფონდი საერთაშორისო მშვიდობისათვის, რომელიც 1910 წელს დაარსდა ვაშინგტონში. წყაროების თანახმად, დღეისთვის ცნობილი პირველი კვლევითი ცენტრი, „ანალიტიკური ცენტრის“ სტანდარტებით, არის ვაშინგტონში მდებარე ბრუკინგის ინსტიტუტია, დაარსებული 1916 წელს.

ანალიტიკური ცენტრების კავშირი მთავრობებთან და სახელმწიფო უწყებებთან ანგარიშგასაწევ ფენომენად იქცა უმეტეს ქვეყნებში, ვინაიდან ისინი ოფიციალურ პირებს სპეციალიზებულ ცოდნას უზიარებენ. ეს კი კონკრეტული გადაწყვეტილებების მიღებას ემსახურება. სხვა ანალიტიკური ცენტრების ინტერესის სფეროს უფრო ფართო კვლევები წარმოადგენს, რომლებიც შეეხება საჯარო პოლიტიკას, სტრატეგიულ ხედვებს, ეკონომიკურ თუ სოციალურ საკითხებს. გარდა ამისა, შესაძლოა, ანალიტიკური ცენტრები მოქიშპე პოლიტიკურ პარტიებთან და უნივერსიტეტებთან იყვნენ აფილირებული, ანდაც სრულიად ავტონომიურად არსებობდნენ. თუმცა, ობიექტური და უტყუარი ინფორმაციის მინოდების უზრუნველყოფის მიზნით, ანალიტიკურ ცენტრებს უნდა მიეცეს ფართო ინტელექტუალური თავისუფლება, ბიუროკრატიული ბარიერების გარეშე. მეტიც, არსებობს სხვადასხვა ორგანიზაციები, რომლებიც ანალიტიკური ცენტრების მიერ შექმნილ ცოდნას ყიდულობენ და მათგან რეკომენდაციებს იღებენ მთავრობებში, პოლიტიკურ პარტიებსა და მსხვილ კომპანიებში გადაწყვეტილების მიმღებ პირთათვის.

ანალიტიკური ცენტრების მიზნები ფართოდ ვარირებს და დამოკიდებულია ინტელექტუალური და პოლიტიკური შეხედულებების სისტემების, ფინანსური წყაროებისა და ინტერესების მრავალგვარობაზე. მიუხედავად ამისა, ანალიტიკური ცენტრების უმრავლესობა საერთო მიზნებსაც იზიარებს, რომელთა შორისაცაა 1) იდეების შემუშავება სამიზნე ჯგუფებისთვის კვლევის განხორციელების საფუძველზე. 2) მკვლევართა უნარების გაუმჯობესება ინტერესის სფეროებში კვლევების განხორციელებისას. 3) კონკრეტული ჯგუფების ან საზოგადოების ინფორმირება, განათლება და სამეცნიერო ჯგუფის იდეების პოპულარიზაცია გამოცემებით და მედიის საშუალებით.

თუმცა, ბევრმა სამეცნიერო ჯგუფმა თავისი მისია – გადაეცა ნეიტრალური პოლიტიკური იდეები, რათა ხელი შეეწყოს გადაწყვეტილების მიღების პროცესისთვის – ჩაანაცვლა ახალი მისიით, გადაიქცა ლობისტურ და ზენოლის ჯგუფად, რომლებიც მხარს უჭერენ შერჩევით პოლიტიკურ კურსს საშინაო თუ საერთაშორისო საკითხების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას. ანალიტიკური ცენტრები დაკავშირებულია კომუნიკაციის ქსელებთან და გავლენას ახდენს გადაწყვეტილებათა მიმღებებზე საჯარო, კერძო და მედიის სექტორებში. ამგვარად, ანალიტიკური ცენტრის არაობიექტურობა ხელს უწყობს „იდეათა ომს“ მეტოქე პარტიებსა და დაინტერესებულ წრეებს შორის.

ანალიტიკური ცენტრები ასევე გახდა ჰაბები იმ მოაზროვნეთათვის, რომლებიც ავლენენ ავანტიურისტულ იდეოლოგიურ მიდრეკილებებს, მსხვილ კორპორაციებისთვის ან იარაღისა და თავდაცვის მრეწველობისთვის; მათთვისაც, ვინც მსოფლიო წესრიგის შეცვლისკენ ისწრაფვის ისეთი პოლიტიკური და სამ-

ხედრო გადანყვეტილებების მიღების ხარჯზე, რომელთაც მთელი მსოფლიოს მომცველი გავლენა გააჩნიათ.

ინტერესებით და გავლენის მოპოვებით განპირობებულმა კონკურენციამ ევროპასა და შეერთებულ შტატებს შორის, ბევრი ფარული მოქიშპე ინტელექტუალური სქემა გამოავლინა, რაც ანალიტიკური ცენტრების მოღვაწეობის შედეგია და რასაც ორი ფრანგი ავტორი უწოდებს „იდეების ომის ტვინებს“.<sup>69</sup> ანალიტიკურმა ცენტრებმა ასევე შესაძლოა ხელი შეუწყონ საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებას ან მის მანიპულირებას, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მათ იდეებს მედიაში ფართო გამოძახილი აქვს.<sup>70</sup> თუმცა, ყველა კვლევითი ცენტრი ასეთი როდია. ასობით ანალიტიკური ცენტრი დასავლეთში ცდილობს ააგოს სტრატეგიული „ინტელექტუალური შენობა“, რათა ემსახუროს მსოფლიოს და საშუალება მისცეს მას გაუმკლავდეს სოციალურ, ეკონომიკურ და გარემოსთან დაკავშირებულ გამოწვევებს.<sup>71</sup>

თუ კვლევითი ცენტრების ევოლუცია ასახავს საზოგადოების „ინტელექტუალური აღმშენებლობის“ სიმდიდრეს, მაშინ შეიძლება ითქვას, რომ მუსლიმური სამყაროს საზოგადოებები, დიდწილად, ინტელექტუალურად ღარიბია. აუცილებელია მრავალი სპეციალიზირებული ანალიტიკური ცენტრის შექმნა, რომლებიც არა მხოლოდ შეიმუშავებს და განავითარებს იდეებს კოლექტიური კვლევითი პროექტების საშუალებით, არამედ უზრუნველყოფს ეპისტემოლოგიურ საფუძვლებს შესაბამისი გადანყვეტილებების მისაღებად, რაც ამ საზოგადოებების წინსვლას შეუწყობს ხელს.

## კვლევა ანალიტიკური ცენტრების თემატიკის შესახებ

ანალიტიკური ცენტრების რიცხვი მთელ მსოფლიოში გეომეტრიული პროგრესიით გაიზარდა, მათი ინტერესები გამრავალფეროვნდა და მათი გავლენის სფერო საგანგაშოდ გაფართოვდა პოლიტიკურ და ეკონომიკურ მოვლენებსა და ცვლილებებზე მათი ზეგავლენის უნარის თვალსაზრისით. ამიტომ, დღესდღეობით, სხვადასხვა კვლევითი ჯგუფები აქტიურად იკვლევენ ანალიტიკური ცენტრების თემატიკას, მათი მუშაობის ბუნებასა და მიზნებს, მათ მიერ წამოჭრილ კითხვებს და შექმნილ წინააღმდეგობებს, განსაკუთრებით საზოგადოებრივი აზრისა და მედიის „მანიპულირებასთან“ დაკავშირებით და იმ რეკომენდაციების ბუნებას, რომლებსაც ისინი წარუდგენენ პოლიტიკისა და ბიზნესის სფეროში გადანყვეტილებების მიმღებ პირებს. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ანალიტიკური ცენტრების ფინანსურ წყაროებსა და ამ წყაროების გამჭვირვალობის დონეს. ასეთი კვლევითი ჯგუფების მაგალითებია: *Transparify* (ჯორჯია), ედმონდ ჯ. საფრას ეთიკის ცენტრი ჰარვარდის უნივერსიტეტში (აშშ) და ვინ გაფინანსებს: გაერთიანებული სამეფოს კამპანია ანალიტიკური ცენტრების გამჭვირვალობისთვის.

2014 წელს, *Transparify*-მ გამოაქვეყნა 47 ქვეყანაში არსებული 169 ანალიტიკური ცენტრების გამოკვლევის შედეგი, რითაც დადასტურდა, რომ მრავალი მნიშვნელოვანი ანალიტიკური ცენტრი არ არის ფინანსურად გამჭვირვალე. კვლევამ აჩვენა, რომ 169 ანალიტიკური ცენტრიდან მხოლოდ 21-ია მაღალ დონეზე გამჭვირვალე (მოიცავენ 16 ქვეყანას), 14 – დიდწილად გამჭვირვალე, ხოლო 134 მოქცეულია დაფინანსების საკითხებთან მიმართებით შეზღუდული ინფორმაციას გაცემასა და და-

ფინანსების შესახებ შესაბამისი ინფორმაციის დაფარვას შორის. გამოკითხვამ მონტენეგროში უფრო მეტად გამჭვირვალე ანალიტიკური ცენტრები გამოავლინა, ვიდრე ამერიკის შეერთებულ შტატებში, თუმცა ამერიკის შეერთებული შტატების შემთხვევაში მათი საერთო რაოდენობა შვიდჯერ მეტია. მოხსენებაში ნათქვამია, მიუხედავად იმისა, რომ ანალიტიკურ ცენტრებს შეუძლიათ პოზიტიური როლი შეასრულონ პოლიტიკოსების, მედიისა და საზოგადოებისთვის დამოუკიდებელი და საფუძვლიანი კვლევის შემუშავების პროცესში, მათი დაფინანსების წყაროების გამჭვირვალობის ნაკლებობამ „შეიძლება წამოჭრას კითხვები ფარული დღის წესრიგის შესახებ და ამით დააზარალოს მთლიანად სამეცნიერო ცენტრის სექტორის ეფექტურობა.“<sup>72</sup>

გლობალური მასშტაბით ანალიტიკური ცენტრების, მათი მიზნების, ტენდენციების, გავლენისა და საქმიანობის შესწავლის თვალსაჩინო ძალისხმევის მაგალითს წარმოადგენს პენსილვანიის უნივერსიტეტის ანალიტიკური ცენტრი და სამოქალაქო საზოგადოებების პროგრამა (TTCSP). იგი ანალიტიკური ცენტრების ყოველწლიურ გლობალურ ინდექსს აქვეყნებს, სადაც ხაზგასმულია პროგრამის დევიზი: „გადე ხიდი ცოდნასა და პოლიტიკას შორის არსებულ უფსკრულზე“. მის 2013 წლის ანალიტიკური ცენტრების გლობალურ ინდექსში, ექსპერტთა დიდმა ჯგუფმა დაასახელა და რანჟირება მოახდინა 6,826 კვლევითი ცენტრისა კრიტერიუმების ვრცელი ჩამონათვალის საფუძველზე, რომლებიც შეეხება ცენტრების საქმიანობის ხარისხს, მენეჯმენტს, დამოუკიდებლობას, მრავალფეროვნებასა და ეფექტურობას. ანალიტიკური ცენტრები ცენტრები ასევე ფასდება გეოგრაფიული რეგიონებისა და კვლევის სფეროების შესაბამისად.<sup>73</sup>

ამ ინდექსის მნიშვნელობა არა მხოლოდ მის შედეგებშია, არამედ მის მეთოდოლოგიაშიც, რომელიც ხასიათდება კონტროლის, კრიტერიუმებისა და განსაზღვრული პროცედურების მაღალი ხარისხით, რომლებიც მრავალი ექსპერტის მიერაა შემუშავებული. ამ ტიპის კვლევა აფრთხილებს ანალიტიკური ცენტრის მენეჯმენტს მათი მუშაობის შესახებ მრავალ საკითხთან დაკავშირებით, რომლებიც ადრე პრიორიტეტული არ იყო. ინდექსის კატეგორიებისა და კრიტერიუმების მნიშვნელოვან ასპექტებზე დასმული შეკითხვები ხელს უწყობს ანალიტიკური ჯგუფს მუშაობაში პრიორიტეტების გადაფასებასა და რესტრუქტურისზაციას.

ბუნდოვანებამ შეიძლება, ასევე, გარკვეული სამეცნიერო ცენტრების მუშაობა შემოფარგლოს და ეს ბუნდოვანება მათი ზეგავლენის გასაღებია. ანალიტიკური ცენტრები დიდ გავლენას ახდენს მოქალაქეების მიერ სამყაროს აღქმაზე და მთავრობების, ბიზნესისა და მედიის პოლიტიკას აყალიბებს. მიუხედავად იმისა, რომ ანალიტიკური ცენტრების გავლენა ამერიკის პოლიტიკურ სისტემაზე და პოლიტიკაზე ღრმა იყო, ამ ფენომენის ანალიზი მეტად ვიწრო თვალსაზრისს მოიცავს. კვლევების თანახმად, ანალიტიკური ცენტრები უკეთესადაა აღჭურვილი საგარეო საკითხების შესწავლისთვის, ვიდრე საკუთარი ხარვეზების ანალიზისთვის. ეს გამოკვეთს ანალიტიკური ცენტრების საჭიროებას, პოლიტიკური რეკომენდაციების შედეგები მიმართონ უპირველესად უსაფრთხოების, თავდაცვის, ეკონომიკისა და გარემოს დაცვის სფეროებისაკენ. აღნიშნული ქმედება აუცილებელია, ვინაიდან ანალიტიკური ცენტრები, ხშირად, კონკურენციას უწევენ პოლიტიკის დარგში შემუშავებულ რეკომენ-

დაციებს გადაუდებელ და სასიცოცხლო საკითხებზე რეაგირების თვალსაზრისით.<sup>74</sup>

### ანალიტიკური ცენტრები და მედია

ანალიტიკური ცენტრები დიდად არიან დამოკიდებული მედიაზე. ზოგიერთ ანალიტიკურ ცენტრსა და მედიასაშუალებას შორის არსებობს საერთო იდეოლოგიური ტენდენციები, განსაკუთრებით სატელევიზიო ქსელები, რომლებსაც მილიონობით ადამიანი უყურებს და უფრო ახალი – ელექტრონული მედია, რომელიც ადვილად ხელმისაწვდომია მთელი მსოფლიოს მასშტაბით. მედია რეგულარულად იწვევს ანალიტიკური ცენტრების ექსპერტებს და ყურადღების ცენტრში აქცევს ამ ინსტიტუციების მიერ მომზადებულ ანგარიშებსა და რეკომენდაციებს. არაერთი მედიასაშუალება პირდაპირ ასოცირდება ანალიტიკურ ცენტრებთან; ცნობილი ჟურნალები ქვეყნდება ანალიტიკური ცენტრების მიერ და მრავალი ჟურნალისტი სათავეშიც უდგას ანალიტიკურ ცენტრებს, ან იკავებს უფროსი მკვლევრის პოზიციას, ხოლო მრავალი საჯარო ფიგურა ფართო წარმომადგენლობით სარგებლობს როგორც ანალიტიკურ ცენტრებში, ასევე მედიაში.

მარკეტინგის იდეები, თუ როგორ ხდება მატერიალური პროდუქციის რეალიზაცია, საკმაოდ სადავო ცნებაა. ამის მიუხედავად, ანალიტიკურ ცენტრებსა და მედიას შორის ურთიერთობა აშკარად სიმბიოზურია. ჟურნალისტები, როგორც წესი, ექსპერტებსა და ანალიტიკური ცენტრების მკვლევრებს ინფორმაციის მიღების მიზნით მიმართავენ, მათი ახალი ამბების მოხსენებების ან სვეტების შესავსებად. ამის სანაცვლოდ, ანალიტიკური ცენტრის მკვლევრები დიდებასა და რეპუტაციას

იძენენ მედიასაშუალებების დახმარებით, სადაც მათ იწვევენ, როგორც „ექსპერტებს“, რომელთა მიერაც წარმოსახული პერსპექტივები წინა პლანზეა წამოწეული ახალ ამბებში, სატელევიზიო თოკშოუებში, რადიოსა და პრესაში. ბოლო წლებში, ანალიტიკური ცენტრების ზოგიერთ ექსპერტისთვის ფართო ასპარეზი შეიქმნა ელექტრონულ მედიაში, ზოგიერთი სხვა ანალიტიკური ცენტრი კი ქმნის რეგულარულ მედია პროგრამებს ტელევიზიასა თუ ინტერნეტის ქსელში. მრავალრიცხოვანი გამოკვლევებით დოკუმენტურად დადასტურა მედიის მხრიდან რეგულარული მიკერძოება და ის, თუ როგორ ყალიბდება საზოგადოების აღქმები იმის საფუძველზე, რასაც ადამიანები ისმენენ პოლიტიკოსებისა და პოლიტიკური მიმომხილველებისგან ან ანალიტიკური ცენტრის მკვლევრებისაგან.<sup>75</sup>

### ანალიტიკური ცენტრები არაბულ სამყაროში

ანალიტიკური ცენტრები ასახავს საზოგადოების სამეცნიერო, კულტურულ და ცივილიზაციურ პროგრესსა და სიცოცხლისუნარიანობას. ამასთანავე, სამწუხაროა დაკვირვება არაბული ძალისხმევის სიმწირეზე კვლევებსა და შესწავლაში, განსაკუთრებით ისეთ თემებთან დაკავშირებით, რომლებიც ანალიზსა და სტატისტიკას ეხება რეგიონის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან საკითხებთან მიმართებით. ამ ტიპის მონაცემები მეტ-ნაკლებად ემყარება ინდივიდუალურ გამოცდილებასა და პირად შთაბეჭდილებებს.<sup>76</sup> მკვლევარს, რომელიც ეძიებს შესაბამის ინფორმაციას არაბული სამყაროს შესახებ, დასჭირდება უცხოური ინსტიტუციების მიერ ჩატარებულ კვლევებზე დაყრდნობა.



კვლევებით მოპოვებული ინფორმაცია უნდა ემსახურებოდეს არაბული ქვეყნების ოფიციალურ პირებს გადაწყვეტილებების მიღების საფუძველის სახით. რეალობას კი ის წარმოადგენს, რომ ასეთი გადაწყვეტილებების უმეტესობა დამოკიდებულია გადაწყვეტილების მიმღებთა პირად „განწყობაზე“, ან მათ გარშემო მყოფებზე, მათ შორის უცხოელი კონსულტანტებზეც.<sup>77</sup> მონაცემთა საჭიროების შემთხვევაში, არაბი გადაწყვეტილების მიმღები პირები, ხშირად, საერთაშორისო ორგანიზაციების (მაგალითად, მსოფლიო ბანკის, საერთაშორისო სავალუტო ფონდის) ანგარიშებს ან დასავლური ანალიტიკური ცენტრების ანგარიშებს ეყრდნობიან. საგულისხმოა, რომ ასეთი ინსტიტუციები ხშირად სწავლობენ არაბულ ქვეყნებს, როგორც შუა აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთ აფრიკის (MENA) რეგიონის ნაწილს, რომელიც მოიცავს ისრაელს, თურქეთს, ირანს. ამრიგად, უცხოურ კვლევებში, კონკრეტულად არაბული სამყაროს შესახებ მონაცემების მოსაძიებლად, საჭიროა დამატებითი ძალისხმევის განწევა არაბული ქვეყნების მონაცემების მთლიანი რეგიონის მონაცემებისაგან გამოსაცალკევებლად. მაგალითად, 2013 წლის გლობალური „Go To Think Tank–ის“ ინდექსის ანგარიშში არ არსებობს სპეციალური კატეგორია არაბული სამყაროს ანალიტიკური ცენტრებისთვის, არამედ მოიცავს არაბულ ქვეყნებს MENA-ს რეგიონის ფარგლებში. მიუხედავად იმისა, რომ MENA-ს ტოპ 50 ანალიტიკური ცენტრის სათავეშია ალ-აჰრამის პოლიტიკური და სტრატეგიული კვლევების ცენტრი (ეგვიპტე), არაარაბულ ქვეყნებს, მაგალითად თურქეთს, 4 ანალიტიკური ცენტრი აქვს ტოპ 50-ეულში, ისრაელს – 11, ირანს – 1, დანარჩენი კი არაბული ქვეყნებზე მოდის. MENA-ს ანალიტიკური ცენტრების ხუთეულში შედის ბრუკინგსის დოჰას ცენტრი (კატარი) და კარნეგის ახლო აღმოსავლეთის ცენტრი (ლიბანი). ორივე ამერიკის შეერთებულ შტატებში არსებული ანა-

ლიტიკური ცენტრების ფილიალებია. იმავდროულად, აღსანიშნავია, რომ ბევრი არაბი ან არაბული წარმოშობის პირი მუშაობს და პროფესიულად იხვეწება უცხოურ ანალიტიკურ ცენტრებში და ბევრმა მათგანმა დასავლეთშიც კი დააარსა ასეთი ცენტრები.

არაბულ სამყაროში „კვლევითი სიღარიბე“ აშკარად იკვეთება არაბული ანალიტიკური ცენტრების მოკრძალებული რაოდენობის მიხედვით, სხვა ქვეყნებთან შედარებით. ეს სიღარიბე, ასევე, თვისებრივი თვალსაზრისითაც აისახება; არაბული ანალიტიკური ცენტრები მოკრძალებულია და ქვედა ადგილებს იკავებს სამუშაოს ხარისხთან დაკავშირებული კრიტერიუმების თვალსაზრისით. შეიძლება ითქვას, რომ არაბულ ქვეყნებში ანალიტიკური ცენტრების მიერ წარმოებული კვლევების უმეტესობა მეტად სუსტია კვლევის დიზაინისა და მეთოდოლოგიის თვალსაზრისით. მაშინაც კი, როდესაც მაღალი ხარისხის კვლევაა განხორციელებული, ის იშვიათად აღწევს გადაწყვეტილების მიმღებ პირამდე, ხოლო თუ მიაღწევს, მათ ინფორმაციის წყაროებად იყენებენ და არა გადაწყვეტილების მისაღებ რეკომენდაციებად.<sup>78</sup>

მიუხედავად იმისა, რომ ანალიტიკური ცენტრები არაბულ ქვეყნებში ბოლო წლების მანძილზე საკმაოდ მომრავლდა და ფართოდ გავრცელდა, ეს განვითარება შეიძლება სამი ასპექტის მიხედვით შევაჯამოთ: 1) არაბულ დედაქალაქებში უცხოური ანალიტიკური ცენტრების ფილიალების შექმნა; 2) ადგილობრივი ანალიტიკური ცენტრების დაარსება, რომლებიც სამეცნიერო საქმიანობას უცხოური სამეცნიერო ცენტრების თანამშრომლობით და მათგან გულუხვი დაფინანსების მეშვეობით, წარმართავენ და 3) კვლევის, კონსულტაციისა და ტრენინგის ადგილობრივი ცენტრების შექმნა, რომლებიც ბაზარზე საკუთარ თავს წარადგენენ უცხოური გამოცდილებით თავის მო-

წონებით, განსაკუთრებით ადამიანური განვითარების ან საპროექტო მენეჯმენტის სატრენინგო პროგრამების სფეროში. ამ პროგრამებში გამოყენებული მასალა დიდწილად ნათარგმნ ტექსტებზეა დამოკიდებული და მათი სერთიფიკატები აკრედიტირებულია უცხოური ინსტიტუციების მიერ.

### **მუსლიმური საკითხები დასავლურ სამეცნიერო ცენტრებში**

ტერმინი „ცივილიზაციათა შეჯახება“ ფართოდ გამოიყენებოდა მეოცე საუკუნის ბოლო მეოთხედის განმავლობაში, ისლამისა და დასავლეთის ურთიერთობის შესახებ დისკურსის ფარგლებში, რა სახითაც მას პროპაგანდა გაუწიეს ამერიკელმა მოაზროვნეებმა ბერნარდ ლიუისმა<sup>79</sup> და სემუელ ჰანტინგტონმა.<sup>80</sup> ორივე აშშ-ის კონსერვატიული ანალიტიკური ცენტრების ექსპერტია. ამ მიმართულებით ინტერესი გაძლიერდა 2001 წლის 11 სექტემბრის თავდასხმების შემდეგ და მოგვიანებით „არაბული გაზაფხულის“ გარდაქმნების პერიოდში.<sup>81</sup> ზემოთ აღნიშნული საკითხები არა მხოლოდ პოლიტიკური და სამხედრო გადაწყვეტილების მიმღებთა, არამედ ასევე მთლიანად იდეოლოგიური და ინტელექტუალური სპექტრის ყურადღების ცენტრში მოექცა.

ვაშინგტონში, ჯორჯ ვაშინგტონის უნივერსიტეტის ორმა პროფესორმა 2014 წელს ჩატარებული კვლევის ფარგლებში, „ისლამური ინდექსი“ იმ გარემოების შეფასების მიზნით გამოიყენა, თუ რამდენად შეესაბამებიან ქვეყნები ყურანის იდეალებს საზოგადოების ეკონომიკური მიღწევების, მმართველობის, ადამიანის პოლიტიკური უფლებებისა და საერთაშორისო ურთიერთობების სფეროებში. სხვადასხვა ქვეყნებში განხორციელებული 208 კვლევის შედეგების თანახმად, „მუსლიმური ქვეყ-

ნები უკიდურესად ცუდად მოქმედებენ“ და ცდილობენ რელიგიის გამოყენებას ძალაუფლების ინსტრუმენტად. ერთ-ერთი ავტორი აღნიშნავს – „მრავალი ქვეყანა, რომელიც ისლამს აღიარებს და ისლამურად მოიხსენიება, უსამართლო, კორუმპირებული, განუვითარებელია და, სინამდვილეში, არანაირი თვალსაზრისით „ისლამური“ არ არის.<sup>82</sup>

ნებისმიერი კვლევის შედეგები განისაზღვრება იმ კითხვების ტიპის მიხედვით, რომელზეც პასუხის გაცემასაც ცდილობს აღნიშნული კვლევა. როდესაც კითხვები ფოკუსირებულია პოლიტიკასა და მმართველების ხარისხზე, მონაცემები საკმაოდ განსხვავებული იქნება იმ შედეგებისგან, რომლებსაც იმ შემთხვევაში ვიღებთ, თუ კითხვები ფოკუსირდება ჩვეულებრივი ადამიანების გრძნობებსა და ქცევაზე. როდესაც არამუსლიმი მკვლევრები ატარებენ კვლევებს მუსლიმურ სამყაროში ისლამისადმი ერთგულების რეალობის შესახებ, წამოჭრილი საკითხები განსხვავებულია და, შესაბამისად, შედეგებიც საკმაოდ სხვადასხვაგვარია. მაგალითად, „Pew Research Center-ის“ მიერ 2013 წელს ჩატარებულმა გამოკითხვამ არ დასვა კითხვები პოლიტიკისა თუ მმართველების შესახებ და, შესაბამისად, მისი შედეგები დამარწმუნებელი იყო ისლამური განწყობების მიმართ – აღმოჩნდა, რომ მთელ მსოფლიოში მუსლიმთა უმეტესობა საკუთარი რწმენის უპირობოდ ერთგულია და სურს, რომ ისლამურ მოძღვრებებს ექვემდებარებოდეს მათი პირად ცხოვრება და საზოგადოებებიც.<sup>83</sup> ამრიგად, სუბიექტურობის გამო, ძნელია იმ კითხვებისა და განსჯის კრიტერიუმების ფორმულირება, რომლებსაც სასურველ პასუხებამდე მივყავართ. სინამდვილეში, საკმაოდ, მარტივია ისეთი კითხვების შემუშავება, რომლებიც სასურველ შედეგებამდე მიდის.

ცნობილი ანალიტიკური ცენტრები მსოფლიოში

მიზნები	ქვეყანა	დაარსების თარიღი	სახელი
კვლევების ჩატარება და ხელის შეწყობა ეკონომიკის, სამთავრობო ადმინისტრირების, პოლიტიკურ და სოციალურ მეცნიერებათა დარგებში.	აშშ	1916	ბრუკინგსის ინსტიტუტუცია <sup>84</sup>
ღია დებატები (Chatham House Rule), ენერგეტიკის, გარემოს, რესურსების, გლობალური ეკონომიკის, უსაფრთხოების, საერთაშორისო სამართლისა და რეგიონალური კვლევები.	გაერთიანებული სამეფო	1920	საერთაშორისო საქმეების სამეფო ინსტიტუტი (Chatham House) <sup>85</sup>
სოციალური მეცნიერებების განვითარება, ჩინეთის პროგრესის მდგრადობა ცოდნის, განათლებისა და გლობალური კონკურენციის გზით. ყურადღება გამახვილებულია მარქსიზმ-ლენინიზმსა და მათ ძედუნის ნააზრევზე დაფუძნებულ პერსპექტიულ სტრატეგიებზე.	ჩინეთი	1977	ჩინეთის სოციალური მეცნიერებებათა აკადემია (CAAS) <sup>86</sup>
ომის პრევენცია, მსოფლიო მშვიდობის, საერთაშორისო თანამშრომლობის, სამოქალაქო საზოგადოების, საერთაშორისო ორგანიზაციების, ეკონომიკური ძალებისა და ტექნოლოგიური განვითარების ხელშეწყობა.	აშშ	1910	კარნეგის ფონდი საერთაშორისო მშვიდობისათვის <sup>87</sup>
მთავრობის, მრეწველობისა და აკადემიური წრეების გამოცდილება საგარეო პოლიტიკისა და უსაფრთხოების საკითხების გადასაჭრელად. მთავრობისთვის რეკომენდაციების წარდგენა, რაც მიზნად ისახავს საზოგადოებისათვის საერთაშორისო ურთიერთობების რესურსად ყოფნას.	იაპონია	1959	იაპონიის საერთაშორისო საქმეების ინსტიტუტი(JIIA) <sup>88</sup>
სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებების გამოყენება არაბულ სამყაროში ძირითადი საკითხების პოლიტიკური ანალიზისათვის. სოციალური, პოლიტიკური და კულტურული პოლიტიკის გაანალიზება და არაბთა ურთიერთობის შესწავლა მეზობლებთან და დასავლეთთან	კატარი	2010	კვლევისა და პოლიტიკური სწავლების არაბული ცენტრი <sup>89</sup>

ეგვიპტის, არაბეთის რეგიონის და მსოფლიოს სტრატეგიული პოლიტიკური, სამხედრო და სოციალური საკითხების შესწავლა. მოიცავს პროგრამებს ისრაელის სასწავლო კურსებზე და არაბულ კვლევებს.	ეგვიპტე	1968	ალ-აპრაამის პოლიტიკური და სტრატეგიული კვლევების ცენტრი <sup>90</sup>
ნარმოადგენს ხიდს დაზვერვასა და პოლიტიკურ გაერთიანებებს შორის. აშშ-ში კოორდინირებს დაზვერვას და სამთავრობო ორგანიზაციებსა და პოლიტიკურ პარტიებს შორის ურთიერთობას. ამზადებს სამომავლო ხედვებს .	აშშ	1979	დაზვერვის ნაციონალური საბჭო <sup>91</sup>

### შემაჯამებელი შენიშვნები

ინტელექტუალური განვითარება („შენება“) არის პროცესი, რომელსაც ახასიათებს ორგანიზებულობა და ერთიანობა, ფუნდამენტური შეხედულებების სისტემასთან ერთად, რაც მას სპეციფიკურ აღწერილობას ანიჭებს და სხვებისგან განასხვავებს. მყარი ინტელექტუალური კონსტრუქცია („ნაგებობა“) მუდმივად იცვლება მომცველობისა და სიღრმის თვალსაზრისით. ამ „შენების“ საგანი არის აზროვნება, რომელიც ადამიანის განმასხვავებელი მახასიათებელია, რომლითაც ის შემოქმედმა და აჯილდოვანა. ეს ნდობაა, რომელზეც თითოეულმა ადამიანმა მაქსიმალურად უნდა იზრუნოს, რომ გაამართლოს იგი ჯანსაღი ზრდის, განვითარებისა და გაუმჯობესების მოთხოვნების შესაბამისად.

ამ წიგნის შინაარსი, სავარაუდოდ, უამრავ კითხვას წამოჭრის და მკითხველის, იდეების სქემის, ძირითადი ინტელექტუალური თვისებების გადახედვასა და ხელახლა თავმოყრას გამოიწვევს. მკითხველს, შესაძლოა, სურვილი გაუჩნდეს, განიხილოს

მისი შინაარსი ოჯახის წევრებთან ან კოლეგებთან ერთად, რათა ამ საკითხთან დაკავშირებით შემდგომში „თაფაქურსა“ და „თასაქურში“ ჩაერთოს. მკითხველებმა შეიძლება გაიხსენონ ინტელექტუალური ელემენტები, რომლებიც ამ მასალაში ვერ იპოვეს. ამრიგად, მათ შესაძლოა ახალი ამოცანა დაისახონ – ამ ელემენტების სხვა ნაშრომებში მოძიებისა. შეიძლება, ამ კონტექსტში, სხვა თემებიც გაიხსენონ, რომლებიც ადრე აქვთ ნაიკითხული და შეამჩნიონ ამ მასალისა და სხვათა მსგავსებები და განსხვავებები. ამ მსგავსებისა და განსხვავების გათვალისწინებით, მკითხველებს შეუძლიათ ამ წიგნს ადგილი მიუჩინონ მანამდე ნაკითხული ნაშრომების რომელიმე კატეგორიაში. ეს წიგნი ისლამური აზროვნების კატეგორიაშია მოქცეული, მაგრამ ის სპეციფიკური ისლამური აზროვნების სკოლას მიეკუთვნება. ამრიგად, მკითხველს შეუძლია დაფიქრდეს ავტორთა და მოაზროვნეთა გამოჩენილ სახელებზე, რომლებიც, ასევე, ამ სპეციფიკურ ინტელექტუალურ სკოლას წარმოადგენენ.

ეს მენტალური ასოციაციების, გონების ამოქმედების, იდეების გაცვლის, და ფიქრის გადაცემის მაგალითებია. ეს ყველაფერი კი ადამიანის მენტალური აქტივობის გამოხატულებაა, რომელიც ასახავს ადამიანის ინტელექტუალური შესაძლებლობების ჯანსაღად გამოყენების უნარს. ამ საქმიანობის განხორციელებისას ნებისმიერი სისუსტე აზროვნების პროცესების ორგანიზების ხარვეზის შედეგია, რომლის მოგვარებაც აუცილებელია.

იმედია, მკითხველმა მიიღო სათანადო ინფორმაცია საზოგადოებაში ინტელექტუალური ელიტის პოზიციისა და მათი ინტელექტუალური კონსტრუქციების სხვადასხვა დონის შესახებ ფართო მასებთან შედარებით. საზოგადოებისთვის ბუნებრივია

მდგომარეობა, როდესაც ინტელექტუალური განვითარების დონე განსხვავებულია ინდივიდთა და ჯგუფთა შორის. ასეთი განსხვავება პოზიტიური ასპექტია, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ თითოეულ ინდივიდი ფლობს გარკვეულ ინტელექტუალურ უნარებს და თითოეულ ადამიანს აქვს თავისი როლი საზოგადოებაში. ეს როლები ინტეგრირებულია საზოგადოებაში ინტელექტუალური ფუნქციების შესასრულებლად. იმედი გვაქვს, ადამიანი სიღრმისეულად ფიქრობს საკუთარ ინტელექტუალურ კონსტრუქციებზე. შეიძლება მავანმა იკითხოს: რას ვფლობ იდეებისა და აზრის თვალსაზრისით? რომელი აზროვნების სკოლაა ყველაზე ახლოს ჩემს აზროვნებასთან? რა არის ინტელექტუალური რუკის მახასიათებლები და ძირითადი ელემენტები, რომელიც წარმოადგენს ჩემი იდეების მთლიანობას? რა ფაქტორებმა იმოქმედა ამ რუკის ჩამოყალიბებაზე? როგორ, როდის და რამდენად იმოქმედა ამ ფაქტორებმა ჩემს ინტელექტუალურ რუკაზე? ამ დროს, შესაძლოა, მავანი შეეცადოს გამოკვეთოს ის ინტელექტუალური პოზიცია, რომლის განსახიერებაც სურს: მეცნიერი, ინტელექტუალი, ადვოკატი, რეფორმატორი, ფილოსოფოსი ან მოაზროვნე და ასე შემდეგ...

მკითხველმა შესაძლოა ეჭვქვეშ დააყენოს აზროვნებასა და ქცევას შორის კავშირი, მათი თანმიმდევრულობა და განსხვავებები. შეიძლება, გაიხსენოს საზოგადო მოღვაწეთა მაგალითები, რომლებიც წარმოადგენენ ორივე შემთხვევას, როდესაც აზროვნება და ქცევა თანმიმდევრული ან არათანმიმდევრულია. ბუნებრივია, რომ მავანს შეეძლოს იმ მდგომარეობის განჭვრეტა, რომელიც სურს ან თავისთვის აირჩიოს ამგვარი. შეიძლება, სხვა სახის კითხვებიც გაჩნდეს ადამიანის ინდივიდუალურ პიროვნულ მახასიათებლებთან დაკავშირებით: მაგალითად, როგორია ურთიერთქმედება პიროვნების ინტელექტუალურ და



ემოციურ კონსტრუქციებს შორის და როგორ მოქმედებს ისინი ინდივიდის პიროვნულ მახასიათებლებზე. ასეთი კითხვები აერთიანებს როგორც სუბიექტურ, ისე ობიექტურ იდეებს ინტელექტუალური განვითარების დროს.

თუ ამ ნაშრომმა შეძლო მკითხველში ასეთი კითხვები აღძრა და მათ პასუხების მოძიების მოტივაცია მისცა, მაშინ შეიძლება ჩაითვალოს, რომ მიზნების ნაწილი მიღწეულია.

### ავტორი

ფათჰი ჰასან მალკავი არის იორდანიაში დაბადებული პედაგოგი და უნივერსიტეტის პროფესორი, დოქტორის ხარისხით განათლების მეცნიერებაში და მეცნიერების ფილოსოფიაში (მიჩიგანის სახელმწიფო უნივერსიტეტი, აშშ, 1984). იგი არის ავტორი ოცდაათზე მეტი სასკოლო და საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოსი განათლების მეცნიერებასა და კვლევის მეთოდოლოგიაში, ასევე სამოცზე მეტი სტატიის და სამეცნიერო მოხსენებისა, რომლებიც გამოქვეყნებულია აკადემიურ ჟურნალებში ან წარმოდგენილია კონფერენციებზე. ის ასევე რედაქტორია კონფერენციების მასალებისა და სემინარების თვრამეტი ტომისა ისლამურ განათლებასა და ისლამურ ეპისტემოლოგიასთან დაკავშირებით. ამჟამად ის არის ისლამური აზროვნების საერთაშორისო ინსტიტუტის მკვლევარი და არაბული ენის აკადემიის წევრი (მაჯმა' ალლულა ალ-არაბია) იორდანიაში.

## შენიშვნები

<sup>1</sup> ალ-ჰაჯარი იბნ ჰაჯარი ამბობს „ფათჰ ალ-ბარნი“ (13/283): იბნ ‘აბბას ჰადისი არის *მავეჟუფი* (შენწყვეტილი ჰადისი) და მისი გადმომცემთა ჯაჭვი სანდოა.

-Ibn Ḥajar al-‘Asqalānī Aḥmad ibn ‘Alī (d. 853 AH), Faṭḥ al-Bārī bi Sharḥ Ṣaḥīḥ al-Bukhārī (The Victory of the Creator: Commentary on Ṣaḥīḥ al-Bukhārī), edited by ‘Abd al-‘Aziz ibn Baz and Fu‘ad ‘Abd al-Baqi (4th edn., Beirut: Da‘r al-Kutub al-‘Ilmiyyah, 2012), Kitaḥ al-Tawḥīd, Hadith No. 7402, vol.13, p.326

სხვა ჰადისის მიხედვით: „...მე ჩავეფლე საკუთარ აზრებს (თავაქქართუ) და გავაცნობიერე რომ სამყარო წარმავალი და სასრულია...“ იმავე ჰადისის სხვა თხრობაში, „მე ჩავეძიე ჩემს საქმეებს (ნაჯართუ) და გავაცნობიერე რომ სამყარო წუთიერია...“ , სადაც ტერმინი *ნაჯარ* ტერმინი *თავაქქურის* ნაცვლად არის გამოყენებული ორ ადგილას.

- Imam Aḥmad ibn Ḥanbal, Musnad al-Imām Aḥmad Ibn Ḥanbal (Riyadh: Bayt al-Afkār al-Duwalīyyah, 1998), Musnad al-Madanniyyin, Hadith (16695) p.1184.

<sup>2</sup> Al-Ḥārith ibn Asad al-Muḥāsibī, Al-‘Aql wa Fahm al-Qur‘ān (Reason and the Understanding of the Qur‘an), edited and introduced by Hussayn al-Quwwatli (Damascus: Da‘r al-Fikr, 1971), p.20

<sup>3</sup> იქვე, გვ. 235-236.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 266-268.

<sup>5</sup> იქვე, გვ. 275.

<sup>6</sup> Al-Ḥārith ibn Asad al-Muḥāsibī, Risālat al-Mustarshidīn (Treatise for the Seekers of Guidance), edited and with commentary by ‘Abd Al-Fattah Abu Ghuddah (5th edn., Cairo: Dār al-Salām al-Islāmiyyah, 1983), pp.97-99.

<sup>7</sup> Al-Ḥārith ibn Asad al-Muḥāsibī, Al-Waṣāyā: al-Naṣā’ih, al-Qaṣd wa al-Ruju‘u ila Allah, Bid’ Man Anāba ila Allah, Fahm al-Ṣalāt, al-Tawahhum (The Book of Spiritual Counsels), edited, commentary and an introduction by ‘Abd Al-Qādir Aḥmad ‘Atā (Beirut: Dār al-Kutub al-‘Ilmiyyah, 1968), p.247.

<sup>8</sup> Abu Ḥāmid al-Ghazālī, Iḥyā’ ‘Ulūm al-Dīn (Revival of the Religious Sciences), (Beirut: al-Maktabah al-‘Asriyyah, 2004), vol.5, pp.3-34.

<sup>9</sup> ٥٣٣٥، ٨٣.7-8.

<sup>10</sup> Ibn Qayyim al-Jawziyyah, Abu ‘Abd Allah Muḥammad ibn Abū Bakr ibn Ayyoub, *Miftāḥ Dār al-Sa‘ādah wa Manshūr Wilayat al-‘Ilm wa al-Ira‘dah* (The Key to the Abode of Happiness and the Decree of the Sovereignty of Notes BIB Intellectual Building\_Layout 1 09/06/2020 17:44 Page 57 Knowledge and Will), edited by ‘Abd al-Rahman ibn Hassan ibn Qa‘id (Riyadh: Da‘r ‘A‘lam al-Fawa‘id), p.124

<sup>11</sup> ٥٣٣٥ ٨٣.606-607.

<sup>12</sup> Ibn Qayyim al-Jawziyyah, Abu ‘Abd Allah Muḥammad ibn Abū Bakr ibn Ayyoub *Al-Fawā‘id* (A Collection of Wise Sayings), edited by Muhammad ‘Aziz Shams (Makkah: Dār ‘A‘lam al-Fawa‘id, 1429 AH), pp.252-253.

<sup>13</sup> ‘Abd al-Raḥmān Ḥelali, *Iqtirān al-Imān bi al-‘Amal al-Ṣaḥīḥ fī al-Qur‘ān al-Karīm wa Dalālatuh al-Ḥaḍāriyyah* (The Association of Faith with Good Action in the Holy Qur‘an and its Civilizational Meanings), *Majalat Ja‘mi‘at Dimashq li al-‘Ulu‘m al-Iqtisādiyyah wa al-Qānūniyyah* (University of Damascus Journal of Economics and Law), 2011, vol.27, issue 3, pp.439-463.

<sup>14</sup> Aḥmad ibn ‘Ali ibn Thābit al-Khatīb al-Baghdādi (d. 463 AH), *Iqtisā‘ al-‘Ilm al-‘Amal* (Knowledge Necessitates Action), edited by Muhammad Nasiruddin al-Albani (Damascus: al-Maktab al-Islāmī, 1984).

<sup>15</sup> Abū al-Qāssim al-Ḥussain ibn Muḥammad ibn al-Mufaḍal al-Rāghib al-Isfahānī (d. 502 AH), *Tafṣīl al-Nash‘atayn wa Taḥṣīl al-Sa‘adatayn* (The Explication of the Two Forms of Emergence and the Acquisition of the Two Forms of Happiness), (Beirut: Dār Maktabat al-Ḥayāt, 1983), pp.85-86. .

<sup>16</sup> Abū ‘Umar Yūsuf ibn ‘Abd al-Barr (d. 463 AH), *Jame‘ Bayān al-‘Ilm wa Faḍluh* (A Compendium Elucidating the Nature of Knowledge and Its Immense Merit), edited by Abu al-Ashbal al-Zuhairi (1st edn., Dammam: Dar Ibn al-Jawī, 1994), *Bāb Jam‘ fī Faḍl al-‘Ilm*, vol.1, Hadīth number 214,p.202

<sup>17</sup> Tāhā ‘Abd al-Raḥmān, *Su‘āl al-‘Amal: Baḥṡ al-Uṣūl al-‘Amaliyyah fī al-Fikr wa al-‘Ilm* (The Question of Action: A Search for the Practical Fundamentals in Thought and Knowledge), (Casablanca and Beirut: al-Markaz al-Thaqāfī al-‘Arabi, 2012), p.

<sup>18</sup> Muḥammad ibn Isma‘īl al-Bukhārī, *Ṣaḥīḥ al-Bukhārī* (Damascus: Da‘r Ibn Kathīr, 2002), *The Book on Aḥkam*, ٥٣٣٥٨٥ ٤٥٨٦٥, ٥٥٨٦٥ ٥٥٨٦٥ ٥٥٨٦٥-

ნებ შეუძლია თუ არა მოსამართლეს გამოიგანოს განაჩენი ან სამართლებრივი დასკვნა გაბრაზებულ გულზე, Hadith number 7158, p.1768.

<sup>19</sup> Mathew McKay, Martha Davis, and Patrick Fanning, *Thoughts and Feelings: Taking Control of Your Moods and Your Life* 4th edn., (New Harbinger Publications, 2011).

<sup>20</sup> იქვე, გვ.115.

<sup>21</sup> Al-Bukhari, Ṣaḥīḥ al-Bukhārī, Kitāb Bid' al-Waḥī, Bāb Faḍl man Istabra' ila Dīnih, Hadith Number 52, p.20

<sup>22</sup> Malik Badri, *Contemplation: An Islamic Psychospiritual Study*, Trans. Abdul-Wahid Lu'lu'a, (Herndon, VA: International Institute of Islamic Thought, 2000), pp.30-31.

<sup>23</sup> Malik Bennabi, *Shurūṭ al-Naḥḍah (The Conditions of Renaissance)*, (Damascus: Dār al-Fikr, 1986), p.63.

<sup>24</sup> Tawfiq al-Tawil, *Ussul al-Falsafah (Foundations of Philosophy)*, (Cairo: Dār al-Naḥḍah al-'Arabiyyah, 1976), p.217.

<sup>25</sup> 'Ali ibn Ibrahim al-Namlah, *al-Fikr Bayna al-'Ilm wa al-Sulṭah: Min al-Taḍādum ila al-Ta'āyush (Thought between Knowledge and Authority: From Clash to Coexistence)*, 2nd edn., (Riyadh: Obaykan Publishing House, 2007), pp.12-16 .

<sup>26</sup> 'Alī ibn Abī Ṭālib (Amīr al-Mu'minīn), *Nahj al-Balāgha (The Path of Eloquence)*, Selection by al-Sharif al-Radi, and commentary by Imam Muhammad 'Abduh, (Beirut: Dār al-Ma'rifah), vol.4, p.27 .

<sup>27</sup> Taha Jabir Alalwani, *Islāḥ al-Fikr al-Islāmi Bayna al-Qudurāt wa al-'Aqaba t: Waraqat 'Amal (Reform of Islamic Thought between Capabilities and Obstacles: A Working Paper)*, Islamization of Knowledge Series No. 10, 2nd edn., (Herndon, VA: IIIT, Riyadh: al-Dār al-'Alamiyyah li al-Kitāb al-Islāmiyyah, 1994), p

<sup>28</sup> იქვე, გვ.44.

<sup>29</sup> Ahmad al- Raysu ni, "Fī Naqd al-Ḥarakah al-Islāmiyyah: Bayna Fikr al-Ḥarakah wa Ḥarakat al-Fikr" (Critique of Islamic Movements: Between the Thought of the Movement and the Movement of Thought). This article was published on Al-Raysūni's website, dated 11/5/2005 within a series of articles critiquing Islamic movements. Available on the link: (retrieved December 20, 2016)

<http://www.widesoft.ma/raissouni/def.asp?codelangue=6&info=347>

<sup>30</sup> იხილეთ ამ კონტექსტში, 'Abd Allah ibn Salim Ba-Hammam, *Sawwiq Fikrak: Taswīq al-Afkār – Jawlah bayna (Market your Thought: The*

Marketing of Ideas – A Tour of the Sciences), (Riyadh: Private and Electronic publishing, 1430 AH).

<sup>31</sup> საგულისხმოა, რომ გამომგონებლობასა და სამეცნიერო აღმოჩენებისთვის ჯილდოები გაიცემა ინდივიდსა და ინდივიდთა მცირე ჯგუფებზე. მაგალითად, ნობელის პრემიას ქიმიის დარგში, თითქმის, ყოველწლიურად გასცემენ, 1901 წლიდან მოყოლებული. 2012 წლამდე შემდეგნაირად გადანაწილდა: 63-ჯერ ერთ მეცნიერს, 23-ჯერ მეცნიერთა ორკაციან ჯგუფს, 18-ჯერ მეცნიერთა სამკაციან ჯგუფს (პრიზი, სხვადასხვა წლებში, ჯამში, 8-ჯერ არ გაიცა). იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც პრიზი ორ და სამკაციან ჯგუფებს გადაეცემოდათ, ეს სულაც არ ხდებოდა მხოლოდ მათ შორის თანამშრომლობიდან გამომდინარე, არამედ თითოეული მეცნიერის ინდივიდუალური დამსახურების საფუძველზე. იხილეთ ნობელის პრიზის მფლობელნი ქიმიის დარგში, [http://www.nobelprize.org/nobel\\_prizes/chemistry/laureates/](http://www.nobelprize.org/nobel_prizes/chemistry/laureates/)

<sup>32</sup> ‘Adel Harhush al-Mafraji and Ahmad ‘Ali Saleh, Ra’s al-Māl al-Fikri: Turuq Qiyasuh wa Asālīb al-Muḥafazah ‘Alayh (Intellectual Capital: Means of Measuring and Preserving It), (Cairo: al-Munazamah al-Arabiyyah li al-Tanmiyah al-Ida riyyah, 2003), pp.8-18 .

<sup>33</sup> ტერმინი „კონცეპტის“ გამოყენება განსხვავდება ეპისტემური სფეროს მიხედვით. ლოგიკაში იგი შემეცნებითი აღქმაა. ენაში კი ტერმინოლოგიურ-იდომატური მნიშვნელობაა, რომელიც უკავშირდება გამობხატვას, რაც, თავის მხრივ, ზოგად სემანტიკურ ველზე მიუთითებს. იხ Su‘ad Korim, “Al-Dirāsah al-Mafhūmiyyah: Muqārabah Taḥwīriyyah wa Manhajiiyyah” (The Conceptual Study: A Representational and Methodological Approach), Majalat Islāmiyyat al-Ma‘rifah, (al-Ma‘had al-‘Alamī li al-Fikr al-Islāmi, No.60, Spring 1431 AH/2010 AC), p.65.

<sup>34</sup> ინტელექტუალური ერთეულის მაგალითია ბიოლოგიური ევოლუციის იდეა, ანუ დარვინის თეორია, რომელიც ისეთი თეორიის სახით დაიწყო, რომელიც ცოცხალი არსების ევოლუციას აანალიზებს. ეს თეორია მალე ფართოდ გავრცელდა სხვა მეცნიერებებში და მისი სანყისი ბიოლოგიის მეცნიერებიდან სოციოლოგიასა და პოლიტიკურ მეცნიერებებში შეაღწია, საიდანაც სოციალური დარვინიზმისა და პოლიტიკური დარვინიზმის თეორიები წარმოიშვა.

<sup>35</sup> Jean Touchard, Tarīkh al-Afkār al-Siyāsīyyah (The History of Political Ideas), trans. Najī al-Darawshah, (Damascus: Da‘r al-Takwīn, 3 vols.,

2010). See the original in French, Jean Touchard, *Histoire des idées politiques*, 6th edn., (Des origines au XVIIIe siècle, P.U.F., Paris, 1978).

<sup>36</sup> იქვე, (არაბული ვერსია), ტომი 1, გვ.6.

<sup>37</sup> Lalita Rana, *Geographical Thought: A Systematic Record of Evolution* (New Delhi: Concept of Publishing Company, 2008), p.5 .

<sup>38</sup> ამ კონტექსტში, იხილეთ: Richard Nisbett, *The Geography of Thought: How Asians and Westerners Think Differently and Why* (London: Nicholas Brealey Publishing, 2003).

<sup>39</sup> ამასთან დაკავშირებით, იხილეთ: Mike Crang, *Cultural Geography 1st edn.*, (London & New York: Routledge, 1998). p.2..

<sup>40</sup> ამასთან დაკავშირებით, მაგალითის სახით, იხილეთ: Jamal al-Din ‘Atiyyah, “Dawābīṭ al-Ḥurīyya t al-Fikrīyyah” (The Rules of Intellectual Freedoms), *Majalat al-Muslim al-Mu’āsir* (Journal of the Contemporary Muslim), (Issue Number 99, year 25, January-March 2001), pp.167-196.

<sup>41</sup> Roy Harris and Talbot J. Taylor, *Landmarks in Linguistic Thought Volume I: The Western Tradition From Socrates To Saussure* (History of Linguistic Thought), 2nd edn., (London & New York: Routledge, 1997), vol.1, pp. XIII-XV; 21-28. წიგნი განიხილავს ნაშრომებს, რომლებიც განმარტავენ ენის როლს ადამიანის აზროვნებასა და საზოგადოებაში, უძველესი ფილოსოფოსებიდან ბიბლიამდე, შუა საუკუნეებიდან მეც-ხრამეტე საუკუნემდე. II ტომი განიხილავს ამ სფეროში განეულ ძალისხმევას მეოცე საუკუნეში.

<sup>42</sup> იხილეთ: Piattelli-Palmarini (ed.), *Language and Learning: The Debate Between Jean Piaget and Noam Chomsky 3rd edn.*, (Harvard University Press, 1980).

<sup>43</sup> Nihad Musa, “Al-Maghmūr fi Dā’irat al-Nūr” (The Submerged in the Circle of Light), Prelude in al-Zabn, Imad Ahmad, al-Tafkīr al-Lisānī ‘inda ‘Ulamā’ al-‘Aqlīyāt al-Muslimīn (Muslim Theological Scholars’ Linguistic Thinking), (Amman: Da r al-Nu r al-Mubīn, 2014), pp.4-17.

<sup>44</sup> Abd al-Rahmān Ibn Khaldūn, *The Muqaddimah: An Introduction to History*, trans. Franz Rosenthal, (Princeton, NJ: Princeton University Press, Bollingen Series XLIII, 2nd printing of 2nd edn., 1980), vol.3, pp.342.

<sup>45</sup> Abū Ḥāmid al-Ghazālī, *The Ninety-Nine Beautiful Names of God* (Al-Maqṣad al-Asnā fi Sharḥ Asmā’ Allah al-Ḥusnā) Translated with notes by David B. Burrell and Nazih Daher, (Cambridge: The Islamic Text Society, reprint 2007), pp.6-7.

<sup>46</sup> Ibn Taymiyyah, *Iqtidā' al-Ṣirāt al-Mustaqīm li Mukhālafat Aṣḥāb al-Jahīm* (The Necessity of the Straight Path in Opposing the People of Hell), edited by Nasir ibn 'Abd al-Karim al-'Aql, (Riyadh: Maktabat al-Rashīd, n.d.), vol.1, p.469.

<sup>47</sup> ٥٣٣٥, ٥٣, 462.

<sup>48</sup> Abu 'Uthmān 'Amrū ibn Baḥar Al-Jāhi: (d.255 AH), *Al-Bayān wa al-Tabyīn* (Clarity and Clarification), edited and explained by 'Abd al-Salam Harun, 7th edn., (Cairo: Maktabat al-Khānjī, 1998), vol.1, p.76.

<sup>49</sup> Abū Bakr Aḥmad ibn 'Alī ibn Tha'bit al-Khatīb al-Baghdādī (d.463 AH), *Taqyīd al-'Ilm* (The Writing of Knowledge), edited and commentary by Yusuf al-'Ash (Aleppo: Dār al-Wa'ī, 1975), p.116.

<sup>50</sup> Ibn Khaldūn, *The Muqadimmah*, vol.2, p.356

<sup>51</sup> Badri, *Contemplation*, p.15

<sup>52</sup> Mahmoud Dhaouadi, “‘Wa ‘Allama A'dam al-Asmā' Kulaha' fī Mīzān al-Rumūz al-Thaqāfiyyah” (“And He Taught Adam All the Names” in the Scale of Cultural Symbols), *Islāmiyyat al-Ma'rifah* (Islamization of Knowledge journal), (Issue 75, Year 19, Winter 1435 AH/2014 AC), pp.161-186 .

<sup>53</sup> Diyā' al-Dīn ibn al-Athīr (d. 637 AH), *Al-Mathal al-Sā'ir fī Adab al-Ka'tib wa al-Shā'ir* (The Current Model for the Literary Discipline of the Scribe and Poet), introduction and commentary by Ahmad al-Hufī and Badawi Tabanah, (Cairo: Da'r Nahdat Miṣr li al-Ṭab' wa al-Nashr, no publishingdate), p.61 .

<sup>54</sup> ٥٣٣٥, ٥٣, 102

<sup>55</sup> Walter J. Ong, *Orality and Literacy: The Technologizing of the World* (London & New York: Methuen & Co., 1982), pp.7.

<sup>56</sup> ٥٣٣٥, ٥٣, 81.

<sup>57</sup> ٥٣٣٥, ٥٣, 77-78.

<sup>58</sup> Ng Bee Chin and Gillian Wigglesworth, *Bilingualism* (New York: Routledge Applied Linguistics Series, 2007), pp.58. Also see: Carol Myers-Scotton, *Multiple Voices: An Introduction to Bilingualism* (New York: Blackwell Publishing Ltd, 2006), pp.16-34, pp.35-66. .

<sup>59</sup> ٥٥٥٥٥٥: Ibrahim Kayid Mahmud, “Al-'Arabīyyah al-Fuṣḥā bayna al-Izdiwājīyyah al-Lughawīyyah wa al-Thunā'īyyah al-Lughawīyyah” (Fuṣḥā [Classical] Arabic between Bilingualism and Diglossia), *al-Majallah al-'Ilmīyyah li Jami'at al-Malik Faīṣal* (Al-'Ulūm al-Inṣānīyyah wa al-Idārīyyah) (The Scientific Journal of the King Faisal University, Humanities



and Management Sciences), (vol.3, issue 1, Dhū al-Ḥijjah 1423AH/March 2002), pp.53-108.

<sup>60</sup> „Nihād al-Mūsā, Mākāna wa Mā Huwa Kā'in wa Mā Yanbaghī An Yakūn” (What Was, What Is, And What Ought to Be), Nadwat al-Izdiwājīyyah fī al-Lughah al-‘Arabīyyah (Symposium on Diglossia in the Arabic Language), (Amman: University of Jordan, 1988), p.84.

<sup>61</sup> მაგალითისთვის იხილეთ: Muhammad Raji al-Zughul, “Al-Izdiwājīyyah fī al-Lughah al-‘Arabīyyah” (Diglossia in the Arabic Language), Paper presented in Nadwat al-Izdiwājīyyah fī al-Lughah al-‘Arabīyyah (Symposium on Diglossia in the Arabic Language), (Amman: University of Jordan, 1988)

<sup>62</sup> Chin and Wigglesworth, Bilingualism, pp.71-78. ასევე იხილეთ: Emanuel Bylund, “Maturational constraints and first language attrition”, (Language Learning; 59(3), September 2009), pp.687-715.

<sup>63</sup> Malek Bennabi, Le problème des idées dans le monde musulman (Hydra-Alger: El Bay'inate, 1990), p.48. Also available in Arabic, Malik Bennabi, Mushkilat al-Afkār fī al-‘Ālam al-Islāmī, trans. Bassam Baraka and Ahmad Sha'bu, introduced by ‘Umar Masqawi (Damascus: Dār al-Fikr, 1988), pp.115-122 (in French), and pp.137-144 (in Arabic).

<sup>64</sup> Muhammad Abu Zahra, Imam Abu Hanifa: His Life, Opinions, and Fiqh (London: Maktabah Publications, n.d., originally published 1945), ch.2, p.9.

<sup>65</sup> იხილეთ: Chatham House Rule, The Royal Institute of International Affairs, (retrieved February 12, 2017) <http://www.chathamhouse.org/about/chatham-house-rule>

<sup>66</sup> Lawrence W. Reed, A Student’s Essay That Changed the World: The Inspiring Story of Thomas Clarkson, 4th printing, (Midland, MI: Mackinac Center for Public Policy, 2009), pp.3-4.

<sup>67</sup> Salman Shaikh, “Think Tanks: A Social Good for the Global Community,” The Brookings Institution, April 6, 2014, (retrieved February 12, 2017), <https://www.brookings.edu/opinions/think-tanks-a-social-good-for-the-global-community/>

<sup>68</sup> ფაბიანელთა საზოგადოებამ ხელი უფრო მეტად შეუწყო ევოლუციურ სოციალიზმს ბრიტანეთში, ვიდრე რევოლუციურ გარდაქმნას. იხილეთ: Andrzej Diniejko, “The Fabian Society in Late Victorian Britain,” The Victorian Web, (retrieved February 12, 2017) <http://www.victorianweb.org/history/fabian.html>

<sup>69</sup> Stephen Boucher and Martine Royo, *Les think tanks: Cerveaux de la guerre des idées*, 3rd revised augmented version, (Editions du Félin, 2012, originally published 2006).

<sup>70</sup> იხილეთ: Kathleen A. Frankovic, “Exit Polls and Pre-Election Polls,” in *The SAGE Handbook of Public Opinion Research*, Wolfgang Donsbach and Michael W. Traugott (eds.), (London: SAGE Publications, 2008), pp.570-579.

<sup>71</sup> აშშ- ში ამ ტიპის 1800-ზე მეტი ანალიტიკური ცენტრი არსებობს. მათგან თითქმის 400-ის სათავე ოფისია ვაშინგტონში, გადანყვეტილების მიღების ცენტრის მახლობლად, განსაკუთრებით: Brookings Institute, RAND Corporation და Carnegie Endowment for International Peace. ევროპაში ასევე 1200-ზე მეტი ასეთი ტიპის ანალიტიკური ცენტრია, ჩინეთში კი დაახლოებით 425.

<sup>72</sup> Transparify, *How Transparent are Think Tanks about Who Funds Them?* (Tbilisi, Georgia: Transparify, May 7, 2014), p.3.

<sup>73</sup> James G. McGann, 2013 *Global Go To Think Tank Index Report* (Philadelphia, PA: Think Tanks and Civil Societies Program, University of Pennsylvania, 2014).

<sup>74</sup> ნიგნებს შორის, რომლებშიც შესწავლილია სამეცნიერო ცენტრები და დასაშვლია შეკითხვები მათი მენეჯმენტის შესახებ, უნდა დასახელდეს: Donald Abelson, *A Capitol Idea: Think Tanks and US Foreign Policy* (Montreal: McGill-Queen’s University Press, 2006). Murray Weidenbaum, *The Competition of Ideas: The World of the Washington Think Tanks* (Piscataway, NJ: Transaction Publishers, 2011). Thomas Medvetz, *Think Tanks in America* (Chicago: University of Chicago Press, 2012).

<sup>75</sup> იხილეთ, მაგალითად, Edward S. Herman and Noam Chomsky, *Manufacturing Consent: The Political Economy of the Mass Media* (New York: Pantheon, 2002)

<sup>76</sup> აქ შეიძლება გამონაკლისი დავუშვათ არაბულ სამყაროში იმ ოპოზიციური ძალების შესახებ მონაცემებსა და ანალიზთან დაკავშირებით, რომლებზეც მთავრობები და უსაფრთხოების ინსტიტუტები მუშაობენ ეფექტურად დოკუმენტირებისა და შესწავლისთვის.

<sup>77</sup> იორდანიაში ანალიტიკური ცენტრების როლის შესახებ თავის კვლევაში ვალიდ აბდ ალ-ჰადი მიდის დასკვნამდე, რომ სამეფოში გადანყვეტილების მიმღები პირი არ ეყრდნობა სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული კვლევითი ცენტრების მიერ ჩატარებულ მონაცემებსა და შედეგებს. მაგალითად, გადანყვეტილების მიმღების გადანყვეტი-

ლება მთავრობების დანიშვნისა და განთავისუფლების შესახებ არ არის დაკავშირებული საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგებთან, რომელიც ჩაატარა იორდანის უნივერსიტეტის სტრატეგიული კვლევების ცენტრმა მთავრობებისა და პრემიერ მინისტრების პოპულარობის შესასწავლად. იხილეთ: Walid Abd al-Hadi, “Dawr Marākiz al-Abhāth fī Ṣinā’at al-Qarār al-Siyāsī al-Urduni 1989-2010,” (The Role of Research Centers in Jordanian Political Decision-Making 1989-2010), in the Series of the Program Al-Abhāth ‘an Ṣun’ al-Siyāsāt al-‘Ammah fī al-‘Alam al-‘Arabī (Research on Public Policy-Making in the Arab World), (Beirut: The Issam Fares Institute for Public Policy and International Affairs at the American University of Beirut, October 2012), Working paper No. 11, pp.13-14.

<sup>78</sup> Abd al-Hadi, “Dawr Marākiz al-Abhāth fī Ṣinā’at al-Qarār al-Siyāsī al-Urduni 1989-2010,” p 18.

<sup>79</sup> იხილეთ Bernard Lewis, “The Roots of Muslim Rage,” *The Atlantic*, September 1990, (retrieved February 12, 2017), <https://www.theatlantic.com/magazine/archive/1990/09/the-roots-of-muslim-rage/304643/>

<sup>80</sup> Samuel P. Huntington, “The Clash of Civilizations?”, *Foreign Affairs*, Summer 1993 issue, (retrieved February 12, 2017), <https://www.foreignaffairs.com/articles/united-states/1993-06-01/clash-civilizations>.

<sup>81</sup> მაგალითად, იხილეთ ეგვიპტეში 2011 წლის 25 იანვრის რევოლუციის სამი გამორჩეული ამერიკული კვლევითი ცენტრის პერსპექტივის კვლევა. Marwa ‘Abd al-‘Aziz, “Al-‘Askar wa al-Ikhwān: Ru’yat Marākiz al-Abhāth al-Amrīkiyyah li Mustaqbal Misr Ba’d al-Thawrah” (The Military and the Brotherhood: The Perspective of US Think Tanks for the Future of Post-Revolution Egypt), *Majallat al-Siyāsah al-Duwalīyyah* (Cairo: al-Ahram Foundation, July 7, 2014).

<sup>82</sup> Patsy McGarry, “Ireland Closest to Islamic Economic Teachings,” *The Irish Times*, June 9, 2014, (retrieved February 12, 2017) <http://www.irishtimes.com/news/social-affairs/religion-and-beliefs/ireland-closest-to-islamic-economic-teachings-1.1826354>

აგრეთვე იხილეთ ინტერვიუ პროფესორ ჰოსეინ ასკართან BBC-ზე, ირლანდია ლიდერობს „ისლამურობის“ ინდექსში, BBC, 4 ივნისი, 2014, (12 თებერვალი, 2017), <http://www.bbc.co.uk/programmes/p020c0sq>

<sup>83</sup> Pew Research Center, *The World's Muslims: Religion, Politics and Society, Polling and Analysis*, April 30, 2013

<sup>84</sup> <https://www.brookings.edu/about-us/brookings-institution-history/> (12 February, 2017).

<sup>85</sup> <https://www.chathamhouse.org/About> (12 February, 2017).

<sup>86</sup> [http://casseng.cssn.cn/about/about\\_cass/](http://casseng.cssn.cn/about/about_cass/) (12 February, 2017).

<sup>87</sup> <http://carnegieendowment.org/> (12 February, 2017).

<sup>88</sup> <http://www2.jiia.or.jp/en/aboutus.php> (12 February, 2017).

<sup>89</sup> <http://english.dohainstitute.org/content/2dc3bc49-a4ef-42fe-83d2-806148106b7d> (12 february, 2017).

<sup>90</sup> <http://acpss.ahram.org.eg/> (12 February, 2017).

<sup>91</sup> <https://www.dni.gov/index.php/about/organization/national-intelligence-council-who-we-are>(12 February, 2017).

<sup>92</sup> <http://carnegieendowment.org/> (retrieved February 12, 2017).

<sup>93</sup> <http://www2.jiia.or.jp/en/aboutus.php> (retrieved February 12, 2017).

<sup>94</sup> <http://english.dohainstitute.org/content/2dc3bc49-a4ef-42fe-83d2-806148106b7d> (retrieved February 12, 2017).

<sup>95</sup> <http://acpss.ahram.org.eg/> (retrieved February 12, 2017).

<sup>96</sup> <https://www.dni.gov/index.php/about/organization/national-intelligenceco-uncil-who-we-are>



გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი, 0186, ა. ჰოლიბოროსკაისის №4, ☎: 5(99) 17 22 30, 5(99) 33 52 02

E-mail: [universal505@ymail.com](mailto:universal505@ymail.com); [gamomcemlobauniversali@gmail.com](mailto:gamomcemlobauniversali@gmail.com)

იასი-ს წიგნების ადაპტირებული სერია წარმოადგენს ინსტიტუტის ძირითადი პუბლიკაციების ღირებულ კოლექციას, რომელიც შემოკლებული ფორმით არის დაწერილი, რათა მკითხველს სრული ვერსიის შესახებ ძირითადი წარმოდგენა შეუქმნას.

აღნიშნული ნაშრომის საგანია აზროვნება, ადამიანის განმასხვავებელი ნიშან-თვისება, რომლითაც შემოქმედმა განადიდა კაცობრიობა.

წიგნი ცდილობს უზრუნველყოს ინტელექტის განვითარების (შენების) სიღრმისეული ანალოზი. ადამიანის ინტელექტს აღვივებს მისი გარემოცვა, რეალობისა და საკუთარი თავის აღქმის საჭიროება და ცოდნის სურვილი. ამ წიგნის თემაა ის, თუ როგორ ეთავსება ადამიანი ამ რეალობას, როგორ ხსნის, ახარისხებს და ცნობიერებაში ათავსებს ინფორმაციას, როგორ იღებს გადაწყვეტილებებს და როგორ მოქმედებს, რა ღირებულებების საფუძველზე გამოაქვს დასკვნები? ნაშრომი ასახავს შინაგანი კომუნიკაციის ბევრ საინტერესო ასპექტს, მათ შორის, ლოგიკის მუშაობას და, დღევანდელ, საინფორმაციო ეპოქაში, სხვების მიერ ინფორმაციის კონტროლსა და მანიპულირებას პირადი სარგებლის მიზნით. რა იგულისხმება ცნებაში „აზროვნება“? რა ადგილი უჭირავს და რა კავშირშია იგი ცოდნის, კულტურის, ფილოსოფიის, ლიტერატურისა და ფიკციის (დრამა გაგება, იურისპრუდენცია) ცნებებთან - სწორედ, ეს ჩამონათვალი წარმოადგენს ნაშრომის ფარგლებში დასმულ საკითხთა ნუსხას.



International Institute  
of Islamic Thought

ISBN 978-9941-33-279-1



9 789941 332791